ლიტერატურული საქართველო

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

7 ივნისი, 2013 წ. №47 (3657) გამოცემის 77-ე წელი ფასი 1 ლარი

ათი ყველაზე პატიოსანი კაცი საქართველოში!
(ახალი ვერსია)



თამაზ წივწივაძე

ძვირფასო მკითხველო!

წინამდებარე წერილი ეძღვნება დიდი გიორგი ჭყონდიდელის სულიერ მემკვიდრეებს ანუ დღევანდელ ეკლესიაში მოღვაწე იმ სასულიერო პირებს, რომლებმაც ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ღირსება სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებს ფეხქვეშ არ გაათელინეს!..

* * *

მართლაც უცნაურად არის ეს ცხოვრება მოწყობილი – აქამდე გაზეთის გამოცემა მქონდა შეჩერებული და არც ის ვიცოდი, რამე რომ დამეწერა, სად უნდა გამომექვეყნებინა!

ახლა, როცა გაზეთი აღდგა, უკვე ის აღარ ვიცი, რა უნდა დავწერო ახლად აღდგენილ ამ გაზეთში!

როგორც ჩანს, წერა-კითხვასაც ადვილად გადამაჩვიეს დაშნაკ-ცუტუნების ამ პირდაპირმა შთამომავლებმა!..

ამიტომ, ვიდრე ჩვეულ ძალას ავკრეფდე და ძველებურად ფორმაში ჩავდგებოდე, იქამდე გაზეთის რამდენიმე ნომერში ჩემ მიერ ადრე გახმაურებულ ზოგიერთ თემას მივუბრუნდები და, როგორც ახალ ქინძში გადახალისებული ძველი ბოთლის ტყემალი, ისე მოკაზმული უნდა მოგართვა, ძვირფასო მკითხველო!..

და ის „ათი ყველაზე პატიოსანი კაცი საქართველოში“, ვინც ჩვენი ქვეყანა დაქცევის პირას მიიყვანა და მეც ეს უბედურება დამმართა (წერა-კითხვას გადამაჩვია!) თქვენს თვალწინ უნდა ვამხილო!..

მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ ხალხმა, დღემდე რომ სააკაშვილის ნაცში იყვნენ შეყუჟულები, ამასწინათ, რუსთაველის პროსპექტზე, საკუთარი სატელიტი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოკრებილი პედარასტები და ლესბოსელები გამოიყვანეს და ქართველ ხალხს, ენის მაგიერ, ტაკუნები გამოუყვეს!..

ერთი სიტყვით, თბილისში, გეიპარადმა, ისე ბათქა-ბუთქით ჩაიარა, რომ სქესობრივი უმცირესობის წარმომადგენლებმა, სეირის საყურებლად ქუჩაში გამოფენილ ადამიანებს, თავიანთი სხეულის ნაწილებიდან, არათუ პირველადი, მეორადი სასქესო ორგანოების შეთავაზებაც კი ვერ შებედეს!..

ეგ კი არა, ღარიბაშვილის მდიდრულად აღკაზმულ პოლიციასა და პატრიოტულად განწყობილ საეკლესიო პირებს რომ არ ემარჯვათ, რუსთაველის პროსპექტზე, დღის მეორე ნახევრიდან გვიან ღამემდე, უფასო ტრაკების ცვენას სათვალავი არ ექნებოდა!...

ყოველივე ამან კი, მე პირადად, სოდომ-გომორში დატრიალებული ის საბედისწერო შემთხვევა გამახსენა – ერთ-ერთი წესიერი კაცის, ლოტის სახლში თავშეფარებულ ანგელოზებს ადგილობრივი პედარასტები რომ მიუხტნენ და მასპინძელს სტუმრების გადმოცემა მოსთხოვეს!..

თუმცა, გაცილებით აჯობებს, ეს ტრაგიკული ამბები მეტი სიზუსტით აღვწეროთ, ხოლო უკეთესი ეფექტის მისაღწევად, ცოტა შორიდანაც დავიწყოთ!..

* * *

ძვირფასო მკითხველო!

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენთანაც და უცხოეთშიც, წინასაახალწლო დღეებში ქვეყნდება იმ „ათი საუკეთესო სპორტსმენის“ სია, რომლებმაც სხვაზე უკეთ გამოიჩინეს თავი იმავე წლის საერთაშორისო ასპარეზობებში!

ამავე პრინციპით დგინდება „ათი საუკეთესო პოლიტიკოსის“, „ათი ყველაზე მდიდარი კაცის“ და ა. შ. სიები!

სამწუხაროდ, დედამიწის ზურგზე ჯერ არავის მოფიქრებია დაედგინა და გამოექვეყნებინა „ათი ყველაზე პატიოსანი კაცის“ სია – ცალკე აღებულ ერთ ქვეყანაში ან, თუნდაც, რომელსამე კონტინენტზე!

ეს ნაკლი აუცილებლად უნდა გასწორდეს!

ამ მიზნით ჩემ მიერ ადრე დაარსებულ ფასიან პარლამენტში გარკვეული სამუშაოები უკვე ტარდება – დროებით შევაჩერეთ მინისტრების საპარლამენტო მოსმენა და მთელი ყურადღება ათი ყველაზე მართალი კაცის გამოსავლენადაა მიმართული!

სხვათა შორის, ეს ფასიანი პარლამენტის უბრალო ახირება არ გახლავთ!

თუ გახსოვთ, სოდომი და გომორი ღმერთმა იმიტომ დააქცია, იმ ქალაქებში ათი მართალი კაცი რომ ვერ ნახა!

არადა, ცოდვათა ჩადენის მხრივ დღევანდელ საქართველოში არც ისე კარგად გვაქვს საქმე, ღვთის რისხვა თავიდან რომ ავიცილოთ!

ამიტომ, ვიდრე ღმერთი ჩვენს სამაგალითო დასჯას გადაწყვეტდეს, იქნებ იქამდე გვემარჯვა და იმ ათიოდე მართალი კაცის გამოვლენა მოგვესწრო, განრისხებულ უფალს წინ რომ დავახვედრებდით და ვეტყოდით:

– აჰა, უფალო, ათი მართალი კაცი საქართველოში და, თუნდაც ამათი სიწმინდის გამო გვაპატიე ცოდვანი ჩვენი და ნუ დააქცევ ქვეყანას ჩვენსას!

ხოლო, თუ რატომ მაინცდამაინც ათი მართალი კაცის გამოვლენა გვჭირდება, ესეც სოდომის მაგალითზე გამოჩნდება, რომლის დაქცევის სცენა ზედმიწევნით უნდა აღვადგინოთ, ამ მიზნით, თუნდაც ბიბლიური ისტორიის XIX საუკუნის ხელნაწერების გამოყენებაც დაგვჭირდეს!

* * *

სოდომის და ახლო ქალაქების მცხოვრებლები მეტად ბოროტნი, ბიწიერნი და საშინლად გარყვნილნი იყვნენო, – გვამცნობენ ბიბლიური ისტორიის XIX საუკუნის ხელნაწერები, – უფალი ხედავდა, რომ შეუძლებელი იყო მათი სწორ გზაზე მოქცევა. ხოლო ცოდვანი ისეთი მძიმე იყო, რომ მათი ქვეყანაზე დარჩენა საშიში ხდებოდა: სხვებიც მათ მაგალითს წაჰბაძავდნენ და მთელი ქვეყანა გაირყვნებოდა, ამიტომ უფალმა გადაწყვიტა სამაგალითოდ დაესაჯა ისინი, ხოლო რაში მდგომარეობდა ეს საშინელი სასჯელი, გამოჩნდება შემდეგი ორი მოთხრობიდან...

* * *

ძვირფასო მკითხველო!

ვიდრე შემდეგ ორ მოთხრობას შედარებით წვრილად მოგიყვებოდეთ, – იქამდე ერთი შეკითხვა მაქვს – ქალაქ სოდომში არსებული იმჟამინდელი სახელისუფლებო თავაშვებულობა ერთი წლის წინანდელ საქართველოს მდგომარეობას არ გაგონებთ?

ჰოდა, განვაგრძოთ თხრობა!

უფლის სტუმრობა აბრამთან
(დაბ. 18, 1 -32)

აბრამი და მისი ცოლი, სარა, გახდნენ ღირსნი მეტად დიდი პატივისა, მათ თავის სადგომში სტუმრად მიიღეს უფალი ღმერთი, იგი გამოეცხადა მათ უბრალო სახით: შუადღე იყო და აბრამი იჯდა თავის კარვის კარებთან, მაღლა აიხედა და მახლობლად დაინახა სამი მგზავრი. წამოდგა მაშინვე, მიეგება მათ წინ, მიწამ

▶▶ დის თავი დაუკრა და მიმართა თხოვნით მას, რომელიც უფროსს ჰგავდა:

საქართველოს მწერალთა ეროვნულმა აკადემიამ ორგანიზაციის საპატიო წევრებად მოიწვია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები – შეთავაზება პატივით იქნა მიღებული და თანამშრომლობაზე დაგვთანხმდა აკადემიკოსთა დიდი ჯგუფი:

1. აკადემიკოსი **ავთანდილ არაბული**
2. აკადემიკოსი **ბაჩანა ბრეგვაძე**
3. აკადემიკოსი **რისმაგ გორდეზიანი**
4. აკადემიკოსი **გუჩა კვარაცხელია**
5. აკადემიკოსი **ჯუმბერ ლომინაძე**
6. აკადემიკოსი **როინ მეტრეველი**
7. აკადემიკოსი **მერაბ მერაბიშვილი**
8. აკადემიკოსი **დავით მუსხელიშვილი**
9. აკადემიკოსი **აპოლონ სილაგაძე**
10. აკადემიკოსი **ელგუჯა ხინთიბიძე**
11. აკადემიკოსი **ელიზბარ ჯაველიძე**
12. აკადემიკოსი **ოთარ ჯაფარიძე**

„უფალო, მე ღირსი ვარ შენი მოწყალებისა, ნუ ამიქცევ გზასა, მიკადრე, მობრძანდი, დაისვენე ამ ხის ძირში და დანაყრდი ცოტაოდენი საჭმლით“.

მგზავრები დათანხმდნენ და მივიდნენ ჩრდილქვეშ. აბრამი გაეშურა კარავში და უთხრა სარას:

„ჩქარა მოზილე და გამოაცხვე ხმიადები“.

მერე გაიქცა თავის საქონლის ფარაში, თავისი ხელით ამოარჩია უკეთესი ხბო და უბრძანა საჩქაროდ მოემზადებინათ. როცა ყველაფერი დაამზადა, აბრამმა მიართვა თავის სტუმრებს პური, რძე, კარაქი და ხბოს ხორცი. ის თვითონ სთავაზობდა საჭმელს და ემსახურებოდა სტუმრებს. მაშინ ერთმა სტუმართაგანმა უთხრა აბრამს:

„მერმის სწორედ ამავე დროს გეწვევით, შენ და შენს ცოლს მაშინ შვილი ნაშობი გეყოლებათ“. –

სარა ამ დროს კარებში იდგა და რომ გაიგონა ეს სიტყვები, გულში ჩაიცინა. მაშინ სტუმარმა სთქვა:

„რად გაიცინა სარამ და იფიქრა თავის გულში: სიბერეში შვილი როგორღა უნდა მეყოლოსო? განა ღვთისათვის არის რაიმე ძნელი?“

სარამ და აბრამმა ცხადად დაინახეს, რომ სტუმარმა ისიც კი იცოდა, რასაც კაცი გულში იფიქრებდა და უწყიდა მომავალი. მაშინ იმათ იცნეს, ვინ იყვნენ მათი სტუმრები. ერთი მათგანი იყო თვით უფალი, ორნი – ანგელოზნი. სადილის შემდეგ საოცარი სტუმრები ადგნენ და წავიდნენ სოდომისაკენ. გახარებული აბრამი გასაცილებლად თან გაჰყვა მგზავრებს.

ორნი დაწინაურდნენ, უფროსი კი აბრამთან დარჩა და გამოუცხადა აბრამს, რომ სოდომელების ცოდვანი აღწევდნენ ზეცამდე და მე გადავწყვიტე მათი სახსენებელი ამოვაგდო ქვეყანაზედაო. აბრამს შეეშინდა, ჩემი ძმისწულიც სხვებთან ერთად არ დაიღუპოსო და დაუწყო ვედრება უფალსა, რომ მან დაიფაროს უსჯულო ქალაქი, თუ მასში ცოტაოდენი მართალნი მაინც იქნებიან.

„უფალო, შენ ხარ მართლმსაჯული, და ნუთუ მართლებსაც ბიწიერებთან ერთად დაღუპავ? თუ იქ ორმოცდაათი მართალი ადამიანი იპოვება, ნუთუ მათთვის არ დაიფარავ მთელ ქალაქს?“

უფალმა უპასუხა, რომ: „მე ვაპატიებ ყველას, თუ მაგდენი მართალი ადამიანი მათ შორის ერევაო“.

აბრამმა კიდევ გაბედა და ჰკითხა: „ორმოცდახუთი რომ იყოსო? ნუთუ მთელ ქალაქს დაღუპავ ხუთი მართლის დაკლებისათვის?“

უფალმა მიუგო, რომ: „არც მაშინ დავსჯიდიო“. მოწყალე პასუხით წაქეზებულმა აბრამმა თანდათან დააკლო მართალთა რიცხვსა:

„თუ ორმოცი იქნება?“

„თუ ოცდაათი?“

„თუ ოცი?“

„თუნდაც ათიც რომ იყოს!“

უფალმა ბოლოს უპასუხა: „არ დავღუპავ ათი მართალი კაცის გულისთვისაცაო“...

* * *

აი, ძვირფასო მკითხველო! თუ რატომ მაინცდამაინც ათი მართალი კაცის გამოვლენა გვჭირდება დღევანდელ საქართველოში და არა, მაგალითად, ათი საუკეთესო მორბენლის!

ცხადია, ღვთის რისხვას, რაც არ უნდა მარჯვედ დარბოდე, მაინც ვერსად გაასწრებ და, სწორედ იქ დაგატყდება თავს, სადაც უფრო არ ელი!

ამიტომ, ყველაფერს სჯობია, მართალი იყო! მით უფრო, თუ ქვეყანას ათი მართალი კაცი მაინც ჰყავს – ბედნიერია!

ხოლო ერთი პატიოსანი კაცის ამარა დარჩენილს ქვეყანას ღმერთმა რა სასჯელიც მოუვლინა, ამას ქვემოთ ნახავთ!..

სოდომის დასჯა
(დაბ. 19, 1 -28)

საღამო იყო, როცა ორი ანგელოზი შევიდა სოდომში – ლოტი (აბრამის ძმიშვილი) ერთადერთი მართალი კაცი მთელ იმ ქალაქში, წინ მიეგება მათ და გულით სთხოვა, რომ მას სწვეოდნენ და ღამე მასთან გაეთიათ. ანგელოზები დათანხმდნენ და მივიდნენ ლოტის სახლში, რომელიც მათ მშვენივრად გაუმასპინძლდა. ამ დროს მათ კარს მიადგნენ ბიწიერნი და აბეზარნი სოდომელები და მოითხოვეს ლოტისაგან, რომ მას მიეცა მათთვის თავისი სტუმრები შეურაცხყოფისათვის. ლოტმა ხვეწნა დაუწყო:

„ძმებო, ნუ უზამთ მათ ბოროტსა“.

მაგრამ სოდომელებმა მუქარით დაუყვირეს: „როგორ, შენ უცხო კაცი, სხვა მხრიდან მოთრეული, ჩვენ ჭკუა უნდა გვასწავლო? ახლა გიჩვენებთ სეირს!“

სთქვეს ესა და გაექანენ ლოტისაკენ, მაგრამ ანგელოზები მიეშველნენ, ლოტი გამოაცალეს ხელიდან ხალხს, შეიყვანეს შინა და მოკეტეს კარები. სოდომელებს უნდოდათ კარები შეემტვრიათ, მაგრამ ანგელოზებმა მათ სიბრმავე დამართეს. დაბრმავებულმა ხალხმა ვეღარაფერი გაიგო, კარებს ვეღარ მიაგნო და წავიდ-წამოვიდა. ამის შემდეგ ანგელოზებმა განუცხადეს ლოტსა:

„ჩვენ გამოგზავნილი ვართ ღვთისაგან ამ უსჯულო და გარყვნილი ქალაქის ამოსაფხვრელად. თუ შენ აქ ნათესავები გყვანან, ჩქარა გაიყვანე ქალაქიდან...“

მეორე დღეს, სისხამზედ, მზის ამოსვლამდის, ანგელოზებმა უბრძანეს ლოტსა, რომ ის, თავისი ცოლით და ქალიშვილებით, საჩქაროდ გაქცეულიყო ქალაქიდან. რადგანაც ლოტი იგვიანებდა, ანგელოზებმა წაავლეს ხელი, გამოიყვანეს იგი სახლობით სოდომიდან და უთხრეს: „უშველე ჩქარა თავსა, გასწი, უკან ნუღარ მოიხედავ და ნუ გაჩერდები ამ მინდორზედ, თორემ დაიღუპები!“

„ლოტმა გაუგონა ანგელოზებსა და გაიქცა თავის სახლობით“...

* * *

ძვირფასო მკითხველო!

მცირე ხნით შევისვენოთ, სული რომ მოვითქვათ თორემ ქვემოთ ისეთი ამბავი დატრიალდება, – დედა შვილს ვერ აიყვანს ხელში!

ახლა განვაგრძოთ!

* * *

„ამოვიდა თუ არა მზე: ციდან წამოვიდა ცეცხლის წვიმა, მოედო ქალაქებსა, მათ გარშემო არე-მარესა და მთლად გადაბუგა, შემდეგ გასკდა დედამიწა, ქალაქი ჩავარდა ძირს და მის ადგილას გაჩნდა საშინლად მტუტე და მწარე ზღვა...“

* * *

ღმერთო! ამ ცოდვა-მადლის განკითხვის დღეს ჩემს ქვეყანაშიც რომ არ მომასწრო –

შენ მაპოვნინე საქართველოში ათი მართალი კაცი და ათივეს სიგრძე სანთელს ერთად დაგინთებ!..

ეს ჩანართივით! ახლა კვლავ განვაგრძოთ!

* * *

„ლოტის ცოლმა არ აასრულა ღვთის ბრძანება, წინააღმდეგ ანგელოზის დარიგებისა, იგი გზაზედ გაჩერდა, მიიხედა უკან და თითქო ნანობდა სოდომის დატოვებას. ამისთვის მასაც საშინელი სასჯელი მიადგა: მისი სხეული უცებ გადაიქცა მარილის სვეტად“.

* * *

ძვირფასო მკითხველო!

მეტს არც არაფერს ჩავურთავ და არც არაფერს ჩავამატებ!

მაღალმა ღმერთმა მეც რომ არ დამსაჯოს და ლოტის ცოლის გვერდით მეორე სვეტად არ ჩამასოს!..

* * *

„აბრამმა თავის ბინიდან დაინახა უშველებელი სვეტი კვამლისა, რომელიც სოდომიდან მაღლა ადიოდა და ამით გაიგო, რომ მართლმსაჯულ უფალს ვერ უპოვნია იმ წაბილწულ ქალაქში ის ათი მართალი კაცი...“

* * *

ძვირფასო თანამემამულენო!

აი, რისთვისაა საჭირო სასწრაფოდ გამოვლინდეს საქართველოში ათი ყველაზე მართალი კაცი!

აი, რისთვის მოვაწყვეთ საკონკურსო გამოკითხვა იმ ათი პატიოსანი კაცის გამოსავლენად, საჭიროების შემთხვევაში ჩვენზე განრისხებულ უფალს წინ რომ დავახვედროთ და ვუთხრათ!

– აჰა, უფალო, ათი ყველაზე მართალი კაცი საქართველოში!

თუნდაც ამათი სიწმინდის გამო გვაპატიე ცოდვანი ჩვენი და ნუ დააქცევ წილხვდომ ქვეყანას ღვთისმშობელ მარიამისას!..

* * *

ძვირფასო მკითხველო!

ყურადღება: ვიწყებთ იმ ათი პატიოსანი კაცის ჩამოთვლას!

მიხეილ სააკაშვილი!
ვანო მერაბიშვილი!
ზურაბ ადეიშვილი!
გიორგი ბარამიძე!
გიგი უგულავა!
გიგა ბოკერია!
ბაჩო ახალაია!
გივი თარგამაძე!
დავით კეზერაშვილი!
...

მე-10 ვაკანტურ ადგილზე კიდევ 10 კაცი აცხადებს პრეტენზიას და მათი შერჩევა და დახარისხება თქვენთვის მომინდვია, ძვირფასო მკითხველო!..

ჩემს თანამემამულეებს კი პირდაპირ მინდა მივმართო: აი, საქართველოს დამაქცევარნი!

ღმერთო, შეგცოდე! მაგრამ თავის დროზე ამათ დედებს მუცელში ნაყოფი რომ გაწყალებოდათ, გარწმუნებთ – ჩვენს ქვეყანას დღეს ქვეყანა ვერ აჯობებდა!..

* * *

და, ბოლოს, ძვირფასო მკითხველო, ისიც უნდა ავხსნათ, თუ რატომ დაასწრეს უფალს და წინასწარ რატომ დააქციეს ამ უკუღმა დღეზე გაჩენილმა სააკაშვილმა და მისმა ბანდამ ყველა ქართველისთვის საფიცარი საქართველო!

მე პირადად, ამ მოვლენის ასახსნელად ორი ვერსია მაქვს!

პირველი ის, რომ „ძე ღმერთი“ არაფრით დააქცევდა საკუთარ დედის – ღვთისმშობელ მარიამის წილხვდომ ქვეყანას!

და, მეორეც: უფლისთვის, ამ დედის კალთისხელა სახელმწიფოში ერთი მართალი კაცის (ჩვენს შემთხვევაში – ივანიშვილის!) არსებობაც კი საკმარისი საბუთი იქნებოდა იმისათვის, საკუთარი რისხვა ქართველი ხალხისთვის თავს არ დაეტეხა!..

სწორედ ამის შეეშინდა სააკაშვილის ფაშისტურ რეჟიმს, ვაითუ, ამ ორი საპატიო მიზეზის გამო საქართველო ღვთისაგან დაუსჯელი დარჩესო!

ამიტომ ადგნენ და, ვიდრე მაღალი ღმერთი ღვთიურ სამსჯავროზე საქართველოს საკითხს გაიტანდა, ზემოთ ჩამოთვლილმა ამ ნაძირალებმა და არამზადებმა: სააკაშვილმა, მერაბიშვილმა, ადეიშვილმა, ბარამიძემ, უგულავამ, ბოკერიამ, ახალაიამ, თარგამაძემ, კეზერაშვილმა – ახლაც გთხოვთ, ძვირფასო მკითხველო, მეათე არამზადა თქვენი შეხედულებისამებრ ჩაამატეთ! – საკუთარი ქვეყანა საკუთარი ხალხის თვალწინ მოსრეს და გაავერანეს!..

სხვა ახსნა მე მათი საქციელისთვის ვერ მომიძებნია!..

მიმართვა საქართველოს მწერალთა კავშირის დღევანდელ და ამ ორგანიზაციიდან პროტესტის ნიშნად ადრე წამოსულ წევრებს!

ბატონებო და ქალბატონებო!

სამწერლო ორგანიზაციაში სამოქალაქო მშვიდობის დამყარების მიზნით, მე, საკუთარი ინიციატივით, ვიხსნი იმ ორწელიწადიან ვადას, რომლის ჩამოთავებაც მწერალთა კავშირის თავმჯდომარის პოსტზე სააკაშვილის ხელისუფლებამ არ მაცალა!

მე ნებაყოფლობით ვიხსნი საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის სტატუსს!

მე ასევე ვიხსნი 700 მწერლის, აქედან 403 დღევანდელი მწერალთა კავშირის წევრთა, მიერ ჩემთვის მონიჭებულ ამ ორგანიზაციის თავმჯდომარის ტიტულს!

ვითხოვ ერთადერთ პირობას – მწერალთა კავშირის რიგგარეშე ყრილობა, როგორც წესდებით არის დადგენილი, ჩატარდეს არაუგვიანეს ორი თვისა – როგორც მეუბნებით, და გაზეთის ამ ნომერშიც არის მითითებული – თუ იმ მოპარულ ერთ წელიწადს არ ჩავთვლით, მწერალთა კავშირის დღევანდელ ხელისუფლებას ზუსტად ამ დღეს ეწურება ყრილობის მიერ მინიჭებული ვადა!

ყველა სხვა შემთხვევაში, მე, თამაზ წივწივაძე, გპირდებით: საქართველოს ეროვნული აკადემიის, ჯერ-ჯერობით, დაახლოებით, 500-მდე მწერალი ერთდროულად დავტოვებთ მწერალთა კავშირს და ამ ძველისძველ სამწერლო ორგანიზაციაში დარჩება ორი წევრი – მაყვალა გონაშვილი და ვაჟა ოთარაშვილი, რომლებიც ჯერ ერთი, არც ერთი მწერალი არ არის და მეორეც, დანასისხლად გადაკიდებულნი, ერთმანეთს არც ელაპარაკებიან!..

„ავს თუ ავი არ ვუწოდეთ“...

საპმაოდ მპვახე და... ნაღვლიანი ბ-ამოძახილი ანუ ღია წერილი „მწერალთა კავშირის მესვეურებს“

ამ ბოლო დროს, კულუარებში, ზოგიერთმა ძვირფასმა კოლეგა-მწერალმა გაავრცელა ჭორი, რომ თითქოსდა ჩვენ –„საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის“ დაარსებით ვშლიდეთ ძველ „მწერალთა კავშირს“ და ყოველივე ამით მტრის წისქვილზე ვასხამდეთ წყალს!...

ეს რომ ასე არაა, ძნელი მისახვედრი როდია, უბრალოდ, მხოლოდ კეთილი თვალი და ნათელი გონი სჭირდება!

დიახ, ჩვენ ვშლით ძველი –„პოსტსაბჭოური მწერალთა კავშირის“ სისტემას და არა, მწერალთა რომელიმე გაერთიანებას, მათ სრული უფლება აქვთ იარსებონ დამოუკიდებლად, რათა ერთად ვემსახუროთ იმ დიდ საქმეს, რასაც მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობა ჰქვია!

დიახ, ჩვენ უარს ვამბობთ იმ სისტემაზე, რომელსაც ტირანიის ჩექმების ქვეშ უამრავი ქართველი მწერლის სიცოცხლე ემსხვერპლა, რომელიც ლაქიად ედგა და ხელს უწყობდა დამპყრობლის განუკითხავ პარპაშს საქართველოში.

ძვირფასო კოლეგებო, დროა სამართლიანობა აღდგეს!... ვგონებ, თქვენც გსურთ ეს სულითა და გულით, მაშ, რაშია საქმე, რამ გამოიწვია ასეთი გულისწყრომა?

შეგახსენებთ, რომ სააკაშვილის ქართველთმოძულე მთავრობის მოსვლის პერიოდს ემთხვევა მაშინდელი მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის დათხოვნა – ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მათ საქმიანობას ვადა არ გასვლია, არც მაშინდელ, მწერალთა ყრილობას ჰქონდა უფლება, გაეყარა ისინი და მათ მაგივრად თქვენ დაესვით! არც საკუთარი ნებით უთხოვიათ წასვლა!... უბრალოდ, ეს იყო სამეფო ტახტის მცირე გადატრიალება!

იურიდიული ენით შეგახსენებთ: საქართველოს „მწერალთა კავშირის“ ხელმძღვანელებად კვლავ რჩებიან ის მწერლები, რომლებიც ადრე იყვნენ და არსად წასულან!

გარდა ამისა, თქვენ დაარღვიეთ საქართველოს მწერალთა კავშირის წესდების ყველა მუხლი, როცა თვითნებურად გაიხანგრძლივეთ „თბილ სკამზე“ ჯდომა, როცა „ძეხვებითა და სოსისებით“ ატარებდით ყრილობებს და პირზე ნერწყვმომდგარ მწერლებს, მოწვეული „თამადის“ სახით, მრავალგზის „ადღეგრძელებინებდით“ თავს!

იქნებ, არ იყო ასე?

დიახ, ჩვენ შეგვეძლო ბევრი რამ მოგვეკითხა თქვენთვის, მაგრამ ასე არ წავედით, გავაცნობიერეთ, რომ სისტემა, რასთანაც ურთიერთობა ქართულ მწერლობას უწევდა, კარგახანია მოძველებულია, სრული ანაქრონიზმია და საქართველოს დღევანდელ ვითარებას არანაირად შეესაბამება!

ვითარება, რომ მართლაც რთულია, ამას დიდი ფილოსოფია არ სჭირდება!

საჭიროა ახალი გზების ძიება, საჭიროა მწერლებმა დაიბრუნონ ის კუთვნილი და ისტორიული ადგილი ერის ცხოვრებაში, რაც ათეული საუკუნეების მანძილზე ეკავათ და რაც სავალალოდ წაართვეს!...

სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ სრულიად ახალი მიზნებითა და ამოცანებით დაგვეარსებინა „საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია“ – განსხვავებული და ჭეშმარიტად მამულიშვილური მისწრაფებით და რომელიც, ამ წერილის დაწერის მომენტში, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ უკვე გაატარა რეგისტრაციაში!...

ის სისტემა, რომელშიც, სავალალოდ, თქვენ და ჩვენც გვიწევდა არსებობა, აწყობდა სააკაშვილის ხელისუფლებას, რადგან კარგად უწყოდა: თუ ჩაჰკლავდა ქართულ სიტყვას, თუ ჩაწიხლავდა სულს, იოლად სამართავი იქნებოდა მთელი ერი!

მათი საბოლოო მიზანი კი საქართველოს სრული გაქრობა იყო!

და შეეცადნენ კიდეც!...

ძვირფასო კოლეგებო! ეს ყველაფერი თქვენც კარგად გქონდათ გაცნობიერებული, პირველად, – და არცთუ დიდი ხნით, – „ამოიკნავლეთ კიდეც, მაგრამ შემდეგ „კუჭის კანონი“ უფრო ძლიერი გამოდგა!

გადმოგიგდეს გამოხრული ძვლები და თქვენც დაკმაყოფილდით ამით!...

ხანდახან, ე.წ. „ქაცარავას“ და „სამადაშვილის“ ფონდიდან მსუყე ლუკმაც გიწევდათ!

ისე თქვენ არ აგიდგეთ გვერდები!

მერე, ცოტა რომ „წამოფერიანდით“ ერთმანეთსაც დაერიეთ კიდეც!

საქართველოს ტელევიზიით გასული თქვენს შორის ატეხილი „დაკა-დაკა“ რად ღირდა მარტო!

მთელი საქართველო თუ თქვენ არ გაფურთხებდათ, თავისთვის იფურთხებდა მაინც: – ვაი, ჩვენს თავს და ვაი, ჩვენს პატრონს, ესაა ქართული მწერლობაო?

არადა, როგორ შეგვიძლია დაგვავიწყდეს პატრიარქის გულისტკივილიანი სიტყვები:

ყოველივე ამან ერთი ნამდვილი, მაგრამ თითქმის ანეკდოტური ამბავი გაგვახსენა:

იყო ასეთი, სამხრეთაფრიკელი (თუ არ ვცდებით) დიქტატორი – ბოკასა, რომელიც გაასამართლეს იმიტომ, რომ... ადამიანებს ჭამდა!

მირთმეული ჰქონდა, დაახლოებით ასე: რამდენიმე ათეული, ფერუმარილიანი გოგო-ბიჭი!

სასამართლო პროცესზე მშვიდად იჯდა, ხმაც არ ამოუღია, იჩიჩქნიდა კბილებში დარჩენილ ხორცის ნაგლეჯებს და ღიმილით ადევნებდა თვალს, მოწვეული მოწმეები როგორ ამხელდნენ!

ბოლოს, მის ძმისშვილსაც (ისიც ბოკასა იყო) გამოუძახეს!

კიო! – დაადასტურა იმანაც, კი, ნამდვილად მიირთმევდაო ადამიანის ხორცს! თუ რა?... განა, შენ არ გაძლევდი ყველაზე საუკეთესო ბარკლებსო“?

ხედავთ, ჩვენო ძვირფასო კოლეგებო?

რა ჭკვიანი ყოფილა ბოკასა, – მარტო კი არ ვჭამდი, ერთად ვჭამდითო!

თუკი თქვენც ერთად „ჭამდით“, სატელევიზიო ეთერში რაღა გაღრიალებდათ მაშინ?

სხვა ადგილი ვერ მონახეთ?

თქვენ მიერ „ნაჭამ“ სხვა მრავალზეც, ალბათ, მომავალშიც მოგვიწევს ერთად მსჯელობა და ესეც სამართლიანობის აღდგენის საფუძვლად მიგვაჩნია!...

ხმა არ ამოგიღიათ, როცა თბილისის ქუჩებში ქართული წიგნების გაყიდვა აკრძალეს, როცა უგულავას ზონდერბრიგადები უმოწყალოდ ხევდნენ: შოთას, აკაკის, ილიას, ვაჟას, გალაკტიონის... კრებულებს და ქართველ მწერალს სასამართლოში ისტუმრებდნენ იმისთვის, რომ იგი... წიგნებს ყიდდა!

ხმა არ ამოგიღიათ მაშინ, როცა თქვენი მეგობარი მწერლები თავს სასიკვდილოდ წირავდნენ, რათა სიმართლე ეთქვათ ხალხისთვის!

ხმა არ ამოგიღიათ მაშინაც კი, როცა ყველას თვალწინ, დღისით-მზისით სიცოცხლეს გამოასალმეს საქართველოსთვის გულანთებული შვილი – მწერალი გურამ შარაძე!

ხმა არ ამოგიღიათ, როცა ქართველი მწერლები გაუსაძლისი პირობების გამო ცხოვრებას თვითმკვლელობით ამთავრებდნენ, როცა მრავალი მათგანი, უბრალოდ... შიმშილისგან დაიღუპა!

რატომღაც საეჭვოდ დუმდით, როცა მანქურთები, შვიდ ნოემბერს, ოცდაექვს მაისს სასტიკად უსწორდებოდნენ ქართველ ერს!... როცა მის საუკეთესო შვილებს, სრულიად ახალგაზრდებს დაუნდობლად ისტუმრებდნენ იმქვეყნად!...

თითქოსდა, მშვიდად უცქერდით, როცა სააკაშვილის „ხელისბიჭები“, ვითომ „მწერლები“ – დეისაძე-ბურჭულაძეები თავიანთი ღვარძლიანი მონაჩმახით ჩირქს ცხებდნენ მთლიანად საქართველოს, მის ისტორიას!...

არსად გვსმენია, რომ ვინმე, ჩვეულებრივი მოქალაქეც კი ჩვენს მეგობარ და მეზობელ სახელმწიფოს – აზერბაიჯანს –„პერსონა ნონ გრატად“ გამოეცხადებინა!

და თქვენ ეს მოახერხეთ – საქართველოს „მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ“!

აქ ხომ მოილიეთ საქმე და ახლა... გასასეირნებლადაც მოიცალეთ!

ან რა გინდოდათ ყარაბახში ან რა თქვენი საქმე იყო ყარაბახელი სეპარატისტებისთვის გუნდრუკის კმევა?

არავინ გყავდათ გვერდით, ერთი ჭკვიანი მაინც, რომ თქვენთვის ერჩია: ამგვარი საქციელი მიუღებელია და პირდაპირი დარღვევაა აზერბაიჯანის სისხლის სამართლის კოდექსისა (რაზედაც თავის ნოტაში მიგითითათ მათმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ) და თუ თქვენზე სისხლის სამართლის საქმე არ აღიძრა, მეზობლების დიდსულოვნებას უნდა მივაწეროთ!

ამგვარი „ვოიაჟი“ ოკუპირებულ სამაჩაბლოსა და აფხაზეთში რომ ჩაეტარებინა ვინმეს, არ გვგონია კარგ ხასიათზე დავმდგარიყავით!...

აქ შევჩერდეთ, რადგან მიგვაჩნია, რომ ჯერ არ დამდგარა დრო ქვების სროლისა, ამიტომაც ნუ შეეცდებით ხელი შეუშალოთ იმ დიდ საქმეს, რომელსაც „ქართული მწერლობის გადარჩენის პროგრამა“ შევარქვით და უახლოეს დროში წარვუდგენთ, როგორც მთელ ქართველ ერს, ასევე ხელისუფლებას!... გულწრფელად გეუბნებით, რომ ეს მართლაც დიდი და საჭირო პროგრამაა და მის განხორციელებას საკმაო ძალისხმევა სჭირდება!

კიდევ ერთხელ ვიმეორებთ ზემოთ ნათქვამს: ჩვენ ვცდილობთ შევცვალოთ ძველი სისტემა და კანონიერების აღდგენის საფუძველზე, შევქმნათ ახალი – ერისთვის აუცილებელი და სასიცოცხლო!

სწორედ ამან განაპირობა „საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის“ დაარსება!

სწორედ ამან განაპირობა, რომ ჩვენს რიგებს მრავალი ქართველი მწერალი უკვე შეუერთდა და მათი რიცხვი ყოველდღიურად იზრდება!

უბრალოდ, ადამიანური რჩევა იქნება: გონივრული თვალით შეხედეთ მომავალს, გამოაცხადეთ თვითლიკვიდაცია, ერთად ჩავატაროთ ყრილობა და ახალი არჩევნები, რათა შევძლოთ ქართული მწერლობის გადარჩენა და ვიზრუნოთ მისი საუკეთესო მერმისისათვის!

ნება თქვენია!

ჩვენ კი, მხოლოდ, კეთილი სურვილები გაგვაჩნია! – გვჯერა, ყველაფერს თქვენგან გადადგმული, დაფიქრებული ნაბიჯი გადაწყვეტს!

ღმერთი გფარავდეთ!

P.S. *ეს წერილი ახალი დაწერილი გვქონდა, როცა საქართველოს „მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ“ სასწრაფო „კრება“ მოიწვია (რომელსაც რამდენიმე მწერალი „ესწრებოდა“!) და ასეთი „ზეპირი უსტარი“ გვაახლა: თუ უარს არ ვიტყოდით ჩვენს „ჩანაფიქრზე“ (ალბათ, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის დაარსებას გულისხმობდნენ!) გავირიცხებოდით საქართველოს მწერალთა კავშირიდან!*

ყოველივე ამან შოთა ჩანტლაძის ერთი ლექსი გაგვახსენა:

„ღენერალი ქალაქიდან დამპირდა გასახლებას,
ღენერალი მილიციის!...
ვინ იცის, რა მოხდება ამქვეყნად,
ვის გაასახლებენ ვინ იცის“!

ყოჩაღ, ძვირფასო კოლეგებო!

რა კარგად აგითვისებიათ „პროლეტკულტელი მწერლების“ ხელწერა!

შემთხვევით, 1936-37 წლები ხომ არ გაგახსენდათ?

არადა, როგორ ნაცნობია ეს ტერმინები: „გაირიცხებით“... „დაისჯებით“... „დაიხვრიტებით“!...

ეს ხომ თქვენ ერთხელ უკვე მოახერხეთ, როცა მრავალი ქართველი მწერალი აიძულეთ „დაეტოვებინა“ საქართველოს მწერალთა კავშირი, ზოგიც კი თავად გარიცხეთ!...

იგივე მეთოდი, იგივე ტონი?...

ნამდვილად არ გშვენით!

ისე, თქვენს ადგილას ცოტათი დავფიქრდებოდით: საფუძვლიანად გადახედეთ თქვენს „მრავალწლიან საქმიანობას“ მწერალთა კავშირში – რაიმე ხომ არ გენიშნებათ ისეთი, ცოტათი მაინც რომ ასდის სისხლის სამართლის კოდექსის სუნი?

ეს ისე, სხვათა შორის – მხოლოდ და მხოლოდ კეთილი სურვილებით და არა თქვენნაირი – მუქარის ტონით, მწერალთა კავშირიდან გარიცხვით რომ გვაშინებთ!...

ძვირფასო კოლეგა-მეგობრებო!

ჩვენთვის ცნობილი გახდა (გონივრული ეჭვი!), რომ ჩინეთის კულტურული რევოლუციონერების მიბაძვით, თქვენი რიგების შესავსებად, სასწრაფოდ დაიწყეთ მწერალთა გაწვევა!

კერძოდ, ბოლო დღეებში სამტრედიაში 17 „წერა-კითხვის მეტ-ნაკლებად მცოდნენი“„ გიკურთხებიათ“ მწერლად!

ცოტათი ადრე, ჭიათურაშიც იგივე ჩაგიდენიათ!

ისე, რომ ვთქვათ, სინგაპურშიც არაა 17 მწერალი, არათუ სამტრედიაში!

ისიც კარგად ვიცით, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელებს ცალ-ცალკე, დასტა-დასტად რომ გელაგათ მწერალთა წევრების წიგნაკები და ვისაც სურდა, და როგორც სურდა, თქვენივე ხელმოწერით (ცალ-ცალკე) გასცემდით იმ პირებზე, ვისაც არავითარი შეხება გააჩნდა მწერლობასთან!

ასე შეივსო თქვენი რიგები 525-მდე!!!

525 მწერალი, ხომ ისეთ ვეშაპ-სახელმწიფოსაც შეშურდებოდა, როგორიც... ინდოეთია!

ალბათ, ეს „გაითვალისწინა“ ცხონებულმა შოთა რუსთაველმა, როცა მისი გმირები ინდოეთშიც ამოგზაურა!

კი, ბატონო! ყველამ უწყის, ქართველები „ძაან ნიჭიერები“ რომ ვართ, მაგრამ ჩვენ შორის დარჩეს, ცოტა მეტი ხომ არ მოგვიდათ?

ჩავხედეთ თქვენ მიერ გამოცემულ „მწერალთა წიგნს“ და ისეთი გვარები აღმოვაჩინეთ, მგონი, მათი არსებობა საკუთარ ნათესავებსაც აღარ ახსოვთ!

ან ასე იოლი რატომ გახადეთ გაწევრიანება?

ხომ არსებობდა კავშირის გამგეობაც?

წესდებით: გასაწევრიანებული ყველა კანდიდატის შეფასება მას უნდა მოეხდინა და თანაც საკმაოდ მძიმე წესების დაცვით: გამოცემული წიგნები, სამი რეცენზია და... საბოლოო დასკვნა!

კარგი, ვთქვათ ყველაფერი „წესრიგშია“:

წიგნის გამოცემა ხომ ადვილია – გადაიხდი ფულს და მორჩა, რაც გინდა იბეჭუტურე და იგლახავე!

დავუშვათ, რეცენზენტებიც „გადაირივნენ“: ამისთანა მწერლები (კვლავ, ცხონებული შოთა რუსთაველის შემდეგ) არსად შეგვხედრიაო!

მაგრამ, რა ვუყოთ იმას, რომ წესდების მიხედვით: გამგეობამ უნდა იმსჯელოს კანდიდატურების ავკარგიანობაზე და ისიც... ძირფესვიანად!

არ გვგონია მისი წევრები ასე აჭრილიყვნენ ცაში სიხარულით!

და იცით, რატომ?

არც კი განგიხილავთ მისაღებ კანდიდატთა შესაბამისობა წესდებასთან შეფარდებით!

და თუ განიხილეთ;

ამასობაში, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის წევრთა რაოდენობა ყოველდღიურად მატულობს! – თქვენგან ხელნაკრავი და მართლაც ნიჭიერი მწერლებით!

თუ სურვილი გექნებათ. გეპატიჟებით საქართველოს მწერალთა საერთო ფორუმზე, რომელიც ამა წლის 22 მაისს, ოთხშაბათს, სამ საათზე მწერალთა სასახლის ბაღში ჩატარდება!

იქ ხომ არ გავაგრძელოთ საუბარი?

უპრიანი იქნებოდა!

ალეკო გაბელაია
ავთო ჩხაიძე

გენო კალანდია

გენო კალანდია რუსთაველის პრემიის laureatia!

ჩვენი ღრმა რწმენით, ეს არის აღიარება და დაფასება მისი მრწყინვალე პოეტური სიტყვისა და იმ გზისა, რომელსაც ის გადის თავის დევნილ თანამემამულეებთან ერთად.

კომპოზიცია დედის პორტრეტისთვის

ნიკო ლორთქიფანიძის ინტერპრეტაციით

იყიდეთ საქართველო, –
საბრალო დედაჩემი,
იყიდეთ პოეტის გული.
იყიდეთ სათვისტომო,
სახამრო, სანავარდო –
სხივების წრიული წნულით.

იყიდეთ ჰარმონია –
ჰიმნები, სიმღერები,
არაგვის, ალაზნის რიტმი,
იყიდეთ გაზაფხული,
ზაფხული, შემოდგომა,
ზამთარი – დევნილის ფილტვი.

იყიდეთ აფხაზეთი,
მესხეთი, სამაჩაბლო, –
მამათა უხორცო ძვლები,
იყიდეთ ტაბაწყური,
იკორთა, ივრისხევი –
სადაფის ძვირფასი თვლებით.

იყიდეთ შადრევანი,
პალმა და მაგნოლია, –
ფერადი ზურმუხტის სთველი,
იყიდეთ ჩანჩქერები, –
ქართული ფლეიტები
შროშნების რძისფერი ხემით.

იყიდეთ სამეგრელო, –
ბედკრული ანტიგონე
ალივით მცხუნვარე სისხლით,
იყიდეთ ოდოია, –
თიბათვის ლიტანია –
ბიბლიის პირველი წიგნი.

იყიდეთ ქარ-წვიმები, –
ბებერი მებუკენი
ჯიბეგახვრეტილი შარვლით,
იყიდეთ მარტოობა,
ცრემლები, უძილობა
მარტოდ დარჩენილი ქალის.

იყიდეთ ლაჟვარდები,
ტყეები, ვარსკვლავები,
იყიდეთ ირაო ორბის,
იყიდეთ ღვთისმშობელი
თორმეტი ანგელოზით,
თორმეტი მზისფერი კორდით.

იყიდეთ ოპიზარი, –
ხატები, მინანქრები, –
თვითგამოცხადება უფლის,
იყიდეთ მეტაფორა, –
რტოები იასამნის
მეტეხის უტეხი უბნის.
იყიდეთ ქარვასლები,
ტაძრები, ჩუქურთმები
დავითის სამეფო გერბით,
იყიდეთ იადონი –
ქართული ყელ-კისერით,
ქართული საერო ხმებით.
იყიდეთ საქართველო, –
საბრალო დედაჩემი,
იყიდეთ პოეტის გული!

კომპოზიცია ფორთოხლის გამყიდველი

გოგონას პორტრეტისთვის

– იყიდეთ სოფლის ვარსკვლავები!
– ზღვის ზურმუხტები!
– დილა მშვიდობის, ბაზრის ჩიტო,
დილა მშვიდობის!
– დილა მშვიდობის!
ო, ნუ გაყიდი მაგ ფორთოხლებს –
ზღვის ზურმუხტებს, –
შიგ გაზაფხულის ჩიტები სხედან.
ო, ნუ გამიყრი მკერდში დანას ასე უეცრად,
გთხოვ, გევედრები...
ისეც მკვდარი ვარ, დარდით სნეული.
ის გულს გამითბობს ცეცხლის ალივით,
ის ბაგეს გახსნის – თაფლით სავსე სკას,
ის წმინდა არის, ვით ძმის ხსოვნა და
დის ცრემლები,
ის ათონის ბაღებს მაგონებს.
ო, ასე მუქთად, ასე სწრაფად, ასე იაფად,
ვით ეს მშვიდი, ტკბილი მზეები,
სხივჩაფენილი ოქროს სთველი და დაისები
იყიდება... იქ, ჩემს მხარეში.
ო, ნუ გაყიდი იმ ფორთოხლებს, –
ზღვის ზურმუხტებს, – შიგ გაზაფხულის ჩიტები
სხედან.
იყავი ასე უცოდველი, ლაღი და სუფთა,
ოღონდ, ო, ოღონდ საკუთარი ძუძუს თავივით
გაუფრთხილდი, ჩემო ნარჩიტა,
ქართული ბაღის მზეს და შარავანდს.
ეგ ხელისგული, – პაწაწინა მიწის ნაჭერი,
დაე, ჰყვაოდეს გაზაფხულზე ფორთოხალივით.

კომპოზიცია ცხენებზე

ნოდარ ებრალიძეს

ცხენები – სანაოზე,
ცხენები – მდინარეში, –
ზვირთივით მაღალი მკერდით,
ცხენები – უდაბნოში,
ცხენები – ტრამალებზე
მამათა მხედრული ბეჭდით.

ცხენები – მოედანზე,
ცხენები – არენაზე
წარსულის მშფოთვარე დროშით,
ცხენები – ვარსკვლავები,
ქარები, ქარიშხლები, –
ნალებით, – მეფეთა ქოშით.

ცხენები – ბარიერთან,
ცხენები – სამიზნეზე,
ალისფრად მფეთქავი ომით,
ტაძრიდან სასახლემდე,
სენიდან ნილოსამდე
ცხენივით ჭიხვინებს რომი.

ცხენები – ეიფელთან,
ცხენები – ელადასთან,
ფლოქვებზე წითელი ბრელო,
ცხენები – ფანტომები,
დოღები, ნახტომები,
ყაბახი, დაფდაფი, ლელო.

ცხენები – სააბატო,
სამეფო, სანავარდო,
მონარქის თავნება შუბლით,
ცხენები – თვითმკვლელები,
მძევლები, მარტოსულნი, –
მორჩილნი ღვთიური შუქის.

ცხენები – აკროპოლთან,
ცხენები – კვარცხლბეკებზე
ბრინჯაოს მბზინავი კვერით,
ცხენები – ცხენისწყალთან,
ცხენები – საძოვარზე
ფაზისის ჭაღარა სერით.

ცხენები – მუსტანგები,
ზარები, უზანგები,
ძინ – ძინ – ძინ! – არმაზის კართან,
ქართული აბრეშუმი,
ქართული მინანქარი
ისპაჰანს გაზიდეს ნარდად.

უფალო, შემიწყალე,
უფალო, შემიბრალე,
უფალო, მაცალო, იქნებ,
ცხენივით ტანჯული ვარ,
ცხენივით სევდიანი,
როდესაც წარსულზე ვფიქრობ.

უფალო, შემიწყალე,
უფალო, შემიბრალე,
უფალო, მაცალო, იქნებ,
ცხენივით გულადი ვარ,
ცხენივით უღალატო,
როდესაც მამულზე ვფიქრობ.

სხალთა

შოთა ზოიძეს

თოვლი მოსულა სხალთაში, თოვლი,
გაჭაღარავდა შენსავით ისიც, –
საგალობლების და დაფნის ღირსი,
თოვლი მოსულა სხალთაში, თოვლი.

დაგიკრეფია ხელები გულზე,
ვით ჭირისუფალს ქართული სისხლის.
თოვლი მოსულა სხალთაში, თოვლი,
გაჭაღარავდა შენსავით ისიც.



გოგი ხარაბაძე

ჭუნტად, ჭოტოლო, ჭუნტად!

მარტოხელა მგელმა, ასე ვეძახი თამაზ წივწივაძეს, ამას წინათ მთელი გვერდი შემომთავაზა „ლიტერატურულ საქართველოში“, რომელიც აღადგინა და რასაც ვულოცავ მთელი სულითა და გულით. თავდაპირველად შევცბი, შევშინდი... მერე ნელ-ნელა გავუშინაურდი ამ აზრს და დავთანხმდი... მგონი ღირს მოსაგონრად ის დრო, მე რომ ვცხოვრობდი და ის ადამიანები, რომლებიც მას ქმნიდნენ.

დრო უცვლელია, ის მიდის, მიედინება თავისთვის.... ეს ჩვენ – ადამიანები – ვიცვლებით, ვბზრიალებთ, ვცოდვილობთ, ბევრ სიკეთესთან ერთად ხან რა ცოდვას ჩავდივართ და ხან რას... საბოლოოდ კი, არაფერი რჩება ჩვენგან, გარდა სახელისა, რომელსაც, როგორც ვაჟა ამბობს, შოვნა უნდა, ვერ იყიდი.

„ნუ იტყვი: წარსული დროება აწმყოს რად სჯობდაო, რადგან სიბრძნე არ ახლავს ამ ნათქვამს“, – ამბობს ეკლესიასტე. არ ვუღალატებ ამ ბიბლიურ შეგონებას, მით უმეტეს, რომ მხოლოდ კარგი არ შემოინახა მეხსიერებამ.

„ლიტერატურულ საქართველოს“ თავისი მკითხველი ჰყავდა, რომელიც ყოველ პარასკევს ელოდა მის გამოსვლას. იქნებ, მათ გული გაუთბოს „ჩვენი დროის ამბების“ ერთად ჩაკითხვამ... და თუ „შვილებიც“ შემოგვიერთდებიან, მეტს შეიტყობენ კარგზეც და ავზეც, სამაგალითოზე და გაკიცხულზე, ახდენილ და აუხდენელ ოცნებებსა და საქმეებზე... მეტად შემწყნარებლები გახდებიან, მეტად დაუახლოვდებიან „მამების თაობას“.

აკელდამა ანუ სისხლის ყანა

როცა იუდამ, რომელმაც იესო გასცა, დაინახა, რომ მას მსჯავრი დასდეს, ინანა და ოცდაათი ვერცხლი უკან მიუბრუნა მღვდელთმთავრებს და უხუცესებს.

უთხრა: „შევცოდე, მართალი სისხლი რომ გავეცი.“ მათ კი უთხრეს: „ჩვენ რა? შენ იცი.“ დაყარა ვერცხლი ტაძარში, გამოვიდა, წავიდა და თავი ჩამოიხრჩო.

ხოლო მღვდელთმთავრებმა აიღეს ის ვერცხლი და თქვეს: „დაუშვებელია ამის საგანძურში დადება, ვინაიდან სისხლის საფასურია.“

მოითათბირეს და იყიდეს იმით მეთუნის მინდორი გარეშეთა სასაფლაოდ. ამის გამო იმ მინდორს დღემდე ეწოდება სისხლის მინდორი.

მათე 27, 3-8.

„ეს ცნობილი შეიქმნა იერუსალემის ყველა მკვიდრისთვის, ასე რომ, ამ მიწას, მათ საკუთარ ენაზე ეწოდა აკელდამა ანუ სისხლის ყანა.“

მოციქულთა საქმეები, თავი I, 19.

უცნაურია...

მაგრამ გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ნანახი და განცდილი მას შემდეგ არასოდეს მომგონებია...

არც მაშინ, როცა ბიჭებთან ერთად, რუსთაველის გამზირზე, მთავრობის სახლის წინ ვსეირნობდი.

არც 1989 წელს, როდესაც ღამის სამ საათზე აპრილის თბილი წვიმა წამოვიდა და მიკროფონში საქართველოს პატრიარქის სიტყვები გაისმა „საშიშროება მოდის, გვიახლოვდებაო...“

არც მაშინ, როცა ეს საშიშროება მართლა დაგვატყდა თავს და რუსთაველზე საბჭოთა „ბეტეერები“ გამოჩნდა, უკან ნიჩაბმოღერებული ჯარისკაცებით...

არც მაშინ, 91-92 წლებში, როდესაც ის ადგილი – მთავრობის სახლის წინამდებარე ტერიტორიას ვგულისხმობ – ბეტონის ლოდებით და დიდი თვითმცლელი მანქანებით შემორაგული, – ბრეზენტის კარვებით იყო დაფარული...

იქ გავარდა მაშინ პირველი ტყვია, იქვე დაიღვარა სისხლი. და მხოლოდ, 2003 წლის 22 ნოემბერს, როცა ტელევიზიით ვუყურებდი საქართველოს უდღეური პარლამენტის სხდომას – სადაც სხდომათა დარბაზში შეჭრილ ასობით ადამიანთან, ზოგი სკამებს აყირავებდა, ზოგი მერხებზე დახტოდა, ზოგი „კოკა-კოლას“ ნარჩენებს სვამდა, ზოგიც პრეზიდენტის ჩაის, ერთი ახალგაზრდა კი სპიკერის ჩაქუჩს მომეტებულად უბრახუნებდა მაგიდას – ჩემს მეხსიერებაში უცებ ინათა, აღდგა ბავშვობაში ნანახი საოცარი სურათი, რომელსაც თითქოს ამ დღისთვის ეძინა ჩემს მეხსიერებაში.

ზამთარია. საღამოს ექვსი საათი იქნება. თბილისში უკვე ბნელა. პირველი ვაჟთა სკოლის დაწყებითი კლასის მოსწავლე ვარ. გაკვეთილები დაგვიმთავრდა, დამრიგებელმა სკოლის კარამდე გამოგვაცილა. გარეთ დედა მელოდება. გამოვდივარ. ვხედავ, რაღაც ჩოჩქოლია, რაღაც უჩვეულო ხდება, დედაჩემიც აქვეა, ისიც ჩვეულებრივზე მეტად აფორიაქებული და მზრუნველია. ხელს მკიდებს და ოპერისაკენ, მარცხნივ მექაჩება, ვგრძნობ, რომ რაღაცას, რაც მარჯვნივ, ე.ი. მთავრობის სახლის წინ ხდება, უნდა მომარიდოს.

ბავშვის ცნობისმოყვარეობა მოგეხსენებათ, კისერი იქით მეღრიცება, სადაც ვხედავ, რომ უამრავი ხალხია შეკრებილი... დედას წინააღმდეგობას ვუწევ, ხელიდან ვუსხლტები და გავრბივარ.

მთავრობის სახლის მშენებლობაა გაჩაღებული და, როგორც ყველგან და ყოველთვის, სამუშაოები ღობის შიგნით მიმდინარეობს.

ჩემთვის ეს ღობე იქაურობის ისეთივე აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, როგორც სკოლის შენობა, ცა და მიწა.

პირველი და უჩვეულო, რაც თვალში მხვდება, მორღვეული ღობეა. მის ადგილას უამრავი ხალხია შეჯგუფული.

ჩემსკენ ზურგით დგანან. წვალებით მივიკვლევ გზას მათ შორის. შემზარავი სურათი იშლება ჩემ თვალწინ.

ზუსტად იმ ადგილას, სადაც მრავალი წლის შემდეგ, 9 აპრილს ხალხი დაიღუპება უზარმაზარ თხრილში, ვხედავ ჩამწკრივებულ კუბოებს...

გამცრა. ვერაფერს მივხვდი. წარმოიდგინეთ, პატარა ბიჭის შიში და განცდა. როცა გონს მოვედი, დედას ვყავდი მიხუტებული და შინ მივყავდი.

მხოლოდ, კარგა ხნის მერე, მიამბო მან სობოროს შესახებ, რომელიც დღევანდელი მთავრობის სასახლის ადგილზე მდგარა და რომელიც გასაბჭოების შემდეგ ბოლშევიკებს დაენგრიათ. თუმცა, 1921-ში მათვე მიუღიათ მოულოდნელად ჰუმანური გადაწყვეტილება და ნებართვა გაუციათ – „სობოროს“, ტაძრის ეზოში, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპული იუნკრების დასაფლავებისა.

სწორედ, იმ თავდადებულ მებრძოლთა სასახლეები ვნახეთ მე და იქ შეგროვილმა ადამიანებმა მაშინ, როცა წარსულზე ქვაფენილის დაგებას იწყებდნენ.

დიახ, ეს ადგილი სასაფლაოა.
XX საუკუნის სისხლიანი
სასაფლაო, ქართველთა აკელდამა ანუ სისხლის ყანა.
ფრთხილად იყავით!

ოსტატის რჩევა



საბჭოთა ეპოქაში ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი რომ ააშენეს ვერაზე კომუნისტებმა, მისი ძირითადი და ყველაზე საპატიო მოვალეობა იუბილეებისა და სადღესასწაულო კონცერტების გამართვა იყო.

მთელი საქართველოს ელიტა იყრიდა იქ თავს, ზოგი სცენაზე, ზოგიც პარტერში.

ამ კონცერტებში მონაწილეობის მიღება მეტად საპატიო რამედ ითვლებოდა.

ზოგი ამ საღამოებს სამთავრობოებსაც ეძახდა.

და, აი 60-იანი წლების შუაგულში, გალაკტიონის საიუბილეო საღამო იმართება.

მე, სრულიად ახალგაზრდა მსახიობს, წილად მხვდა ბედნიერება ამ კონცერტში მონაწილეობისა.

„ვით არ მიყვარდეს“ – ეს გახლდათ ჩემი არჩევანი, ამ შედევრით წარვსდექი საზოგადოების წინაშე.

მეორე დილით რეპეტიცია მაქვს რუსთაველის თეატრში. მივედი... სერგო ზაქარიაძე, დამწყებ მოსწავლესავით, უკვე მაგიდას უზის, რეჟისორის მოსვლამდე თავის ტექსტს ჩაჰკირკიტებს.

ჩემი ადგილი მოვძებნე.

ცოტა ხნის შემდეგ გამომხედა... დიდხანს მიყურა..

დიდი ხათრი, შიში და სიყვარული გვქონდა მისი და ერთი კი გავიფიქრე, ნეტა რა დავუშავემეთქი?.. და არც დააყოვნა:

– ბიჭო, წუხელ ტელევიზორს ვუყურე და... რო გამოხვედი, მაყურებელმა ტაში დაგიკრა, ხო?

– დიახ, ბატონო სერგო, – წავიკნავლე მე.

– რო დაამთავრე, მაშინაც კაი ტაში იყო... კი.

– დიახ... ბ... სერ... – ბრალდებულივითა ვარ, განწირული... განაჩენს ვუცდი, რომ თქვას, მე არ მომეწონაო, ხომ დამენგრა ყველაფერი...

– ჰოდა, მაგ ტაშს მოფრთხილება სჭირდება! გაუფრთხილდი! და ერთი რამეც დაიმახსოვრე, ხალხს თავი არ მოაბეზრო! მაყურებელს უნდა ენატრებოდე!

სულ მახსოვდა მისი ეს გაფრთხილება, ტელევიზიაში ხან სახარების, ხან ილიას, ხან აკაკის, ხან ვაჟას, ხან კლდიაშვილის ენით ვესაუბრებოდი ჩემს ხალხს, მათ სახელებს ვიყავი ამოფარებული, მეშინოდა, მერიდებოდა ჩემი სახელით საუბრისა, სულ მახსოვდა რამდენი წიგნიერი, განათლებული, დახვეწილი მაყურებელი ჰყავდა ტელევიზიას...

სახლში არ უნდა შეუვარდე ადამიანს, თავი არ უნდა მოაბეზრო.

სესილია

საბჭოთა ეპოქაში კინოსტუდია „ქართულ ფილმთან“ არსებობდა „დუბლაჟის“ სტუდია, სადაც უცხოურ ფილმებს ქართულ ენაზე ახმოვანებდნენ. ამას პროფესიონალი რეჟისორები და მსახიობები ახორციელებდნენ. არ იყო იოლი საქმე. ცვლა ცხრა საათს გრძელდებოდა. ბნელ ოთახში, სადაც თითქმის ყველა ეწეოდა, ფეხზე იდექი. თვალი დაძაბულია, არტიკულაციას უყურებ, რომ ზუსტად ჩასვა ფრაზა რომელიმე ფრანგი ან რუსი მსახიობის ბაგეებში, სმენა – კიდევ უფრო, სახმო აპარატი სრულ მოქმედებაშია. ცოტა ნიჭიც საჭიროა, რომ გმირისა და მისი შემსრულებელი უცხოელი მსახიობის ბუნებასაც ჩაწვდე და ამ სამკუთხედში ორგანულად ჩაეწერო.

მიუხედავად ამ სირთულეებისა, ჩვენ მაინც „ხალტურას“ ვეძახდით ამ სამუშაოს, თუმცა ეს ერთადერთი ადგილი იყო, სადაც კანონიერად შეგვეძლო ფულის გაკეთება, სრულიად უჩინარი უწყინარი საქმე გახლდათ.

და აი, ერთ-ერთ ფილმზე ქალბატონი სესილია თაყაიშვილიც შემოიტყუეს. ჩვენ გმირებს დიალოგი ჰქონდათ და გვერდიგვერდ ვიდექით. თავისთავად ეს, უკვე დიდი მოვლენა იყო ჩემთვის.

– ბიჭო, რაღაცა ვერ ვხედავ დღეს კარგად, ჩემს გმირსაც დააკვირდი და პირს რომ გააღებს, ხელი მომიჭირე მხარზე, – მითხრა მან.

ხელი გადავხვიე...

ასე ხელგადახვეულებმა ჩავწერეთ ეს დიალოგი.

რა იყო ჩემთვის, დამწყები მსახიობისთვის, ამ ფანტასტიკურ ქალბატონთან ხელგადახვეული დგომა? არ ვიცი?! ამის აღწერა ჩემს შესაძლებლობებს აღემატება. აქ დადუმება სჯობს...

ქალბატონ სესილიას დიაბეტი სჭირდა და იძულებული გავხდით, მისთვის შესვენება გამოგვეცხადებინა.

იქვე ჩამოჯდა, სკამზე. ჩანთიდან ერთი ნაჭერი შავი პური და კიდევ რაღაც ამოიღო...

– ცუდად მეძინა... – შემომჩივლა, – წუხელ ტოვსტონოგოვმა დამირეკა, გოგამ. არა, ჯერ ადრე წერილი მომწერა, ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონს“ ვდგამ ლენინგრადში, БДТ–ში, და მინდა ბებია ითამაშოო...

– მერე? – ჩავეკითხე მე.

– მერე, უარი შევუთვალე, რუსულად ვერ ვითამაშებ-მეთქი.

– მერე?

– მერე, მეორედ შემომითვალა. პრემიერამ კარგად ჩაიარა, ახლა ინგლისში მივდივართ გასტროლებზე და თუ შენ დამთანხმდები და ბებიას ითამაშებ, ამ სპექტაკლს წავიღებ ლონდონში. პატრიოტი ხომ ხარ, არ გინდა ქართული პიესა ინგლისელებმა ნახონო?

– მერე?

– მერე, უარი შევუთვალე, ინგლისი შორია, მგზავრობას ვერ ვიტან-მეთქი.

– მერე?

– მერე, დამირეკა წუხელ და მითხრა, შენ ქართულად ილაპარაკე, სხვები რუსულად ითამაშებენ, ოღონდ დამთანხმდიო.

– მერე? – არ ვეშვებოდი მე.

– მერე, მე მაინც უარი ვუთხარი!

– რატომ? რატომ? ქალბატონო სესილია?! – აღმომხდა გაოცებულს.

– შემეშინდა ბიჭო...

წარმოიდგინეთ, სესილია ჩააფიქრა, შეაშინა მის მიერვე ვირტუოზულად ნათამაშები როლის გამეორებამ უცხო სამყაროში.

შენ, შენ არაფრი გაფიქრებს, გაეჭვებს, არაფრის გეშინია?

ანზორ აბულაშვილი

ლაზარე

„და სახარებასა შინა ამასა ენასა ლაზარე ჰქვიან“.
„ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“
იოანე ზოსიმე

დაცემულ რწმენის, გინა სიმართლის,
კვლავად აღდგომად – აღსდექ, ლაზარე!
ვიდრე ბოლომდე ნათლის კარს – რკინის
ბნელის ურდულით ჩაგვირაზავენ.
წმიდისა მისი ნება-შეწევნის
რათა ვირწმუნოთ – აღსდექ, ლაზარე!
ვიდრე ცრუთა და ფარისეველთა
მზეი ცხოველიც არ შეგვაზარეს...
ძველ ზარებს არსად აღარ რეკავენ,
ახლა ზრიალი გააქვთ სხვა ზარებს,
კაცთა, მართალთა, სულის სალხენად,
სულის მეოხად – აღსდექ, ლაზარე!
ისევ განივრცე ქართლსა ფრიადსა,
მაშრიყ-მაღრიბი დაისამზღვარე;
ბნელეთის ბჭენი შენი მაისის
ჭექა-ქუხილით შეაზანზარე.
თორემ დამაშვრალ ფუტკრების სკაში
ავი ბზუილი გააქვთ კრაზანებს
და ჰა, საცაა ნათლისმგმობელნიც
რწმენის ნათლის კარს ჩაგვირაზავენ.
და ვიდრე ცრუთა – ეშმას მსახურთა
სიცოცხლეც ჩვენი არ შეგვაზარეს,
წამოდექ რისხვად და ძლევად მათდა,
სასწაულებრივ აღსდექ, ლაზარე!

გამოფხიზლება

„ო, როგორ მღუპავს გრძნობა...“
გალაკტიონი

რაც მიწერია, ის უნდა ახდეს!
გულში სიცხადემ დაიდგა ტახტი,
მზაკვართან ჯიბრით რას უნდა
გავხდე,
თუკი დათმობით ვერაფერს გავხდი.
ბედს რაც ესურვა, ის უნდა ახდეს,
ეს ღვინო მაინც დამიდგით ნაღდი;
სიავით ჩემით რას უნდა გავხდე,
თუკი სიკეთით ვერაფერს გავხდი.
დეკემბრის ღამეც წუხილში გატყდეს!..
ჩემს გზებზე – ყველგან ჭრილობად
მახლდი...
თუნდაც ღალატით რას უნდა გავხდე,
თუ ერთგულებით ვერაფერს გავხდი.
ფეხზე ვდგავარ და რად უნდა წავხდე,
გულო, აწ თვალთმაქცს სხვაგვარად
დახვდი,
ან სიძულვილით რას უნდა გავხდე,
თუ სიყვარულით ვერაფერს გავხდი.
გულქვათა მხარეს გადავსახლდები,
სოფლის სიმუხთლეს ბოლომდე ჩავხვდი,
სად სიკვდილითაც ვერას გავხდები,
რაკი სიცოცხლით ვერაფერს გავხდი.

* * *

სხვა რა ვილონო, ზოგზოგისათვის
რაკი დრო მოდგა მსუყე და ფუყე,
მთვარეს რომ ვუყეფ, ეგ არაფერი,
ნუ გაიკვირვებთ, მზესაც რომ ვუყეფ.
ხშირად – ზურგიდან სამიზნედ მაძღრის
ქირქილს თუ ტყვიას შეიგრძნობს კეფა
და ყეფით ვიკლებ ქვეყანას შიშით,
მაგრამ არავის არ ესმის ყეფა.

გალაკტიონის უკანასკნელი გაზაფხული

„ვინა თქვა შენი გარდაცვალება,
არა, სწორედ დღეს შენ დაიბადე“.
გალაკტიონი

დღეს ხარებაა,
ნათლის ხარება,
ისევ გვეღირსა გამოდარება.
გვიხმობს შემთბარი მზე
გაზაფხულის.
ყვავილთ თოვაში მიყვარს გარება.
ცისკრიდან წმიდა რეკონ ზარებმა,
მხევალს უფლისას ესმა ხარება...
მოჰყვება ტყემლის წკრიალა
სიცილს
მთლად გაზაფხულის ახარხარება.
მზე მოგვეახლა და სახარება,
ნისლ-ჯანღი როგორ გაგვეკარება.
მძივად ასხმულა ლოცვის
სიტყვები,
დღეს ყველა ლოცვა შეიწყნარება.
მე გაზაფხულის მიყვარს გარება,
ოდეს ატმის რტო აემგზავრება.
გატყდა სუსხი და ჩამოდნა ღამე,
დაგვიდგა, მართლაც, სხვა ვითარება.
ჭმუნვა უზომო განგვექარვება,
სულს ყოველს
წმიდა ესმა ხარება...
რაა სიცოცხლე, ნათელს – ბნელეთის
ძლევაში თუ არ მიეხმარება...
მე გაზაფხულში მიყვარს გარება,
ფერადი თოვის არდამთავრება.
შეჩერდი, მზეო –
ზეცის თავანზე,
დასავლით რადღა მიგეჩქარება,
მიწა ვარდ-იით დაიფარება,
კვლავ მოგეახლა რაკი ხარება,
ბნელში დაინთქა
ავი ზამთრების
მარადი გლოვა და მწუხარება.

უბედურების ზონა

ამ უღატაკეს ჩვენს ქვეყანაში,
სიძვირით ყოველს ცეცხლი უკიდია,
და ზის გლახაკი მათხოვრის საშვით,
შიმშილი ტვირთივით აუკიდია.

* * *

თუ გსურს, ჩემს ჯანმრთელ სიტყვას
გაჩუქებ,
სულის ნათება რომ არ უქრება,
როგორაც ძალუძს, ისე აშუქებს
და ბედით ლაღით რომ მემუქრება.
მდინარესავით მიდის დრო-ჟამი,
მდინარესავით მიიტალღება,
მაინც ზე ფრენენ ჩვენი დროშანი,
ყველა დახურულ გულის გაღებად.
ჩემი ჯანმრთელი ჰყვავის ვენახი
და სიყვარულებს ყოველს დაჰხარის –
ჩემი ნესტანი, ჩემი ზევახი,
ჩემი ათასი მზეთუნახავი.
ვისაც არავის არა აქვს შური
და სასიკეთოდ ირჯება მუდამ,
ვისაც სიცოცხლე ჯანმრთელი სურის,
ვისაც ჯანმრთელი სიკვდილი უნდა.

„ჯარისკაცის მამა“

რევაზ ჩხეიძეს

საუკუნის კიდევ ერთმა აბსურდულმა დრამამ
მოლოდინის ოთხ წელიწადს დაუკარგა ძილი...
შეერია ომის ქარცეცხლს ჯარისკაცის მამა,
იდგა სისხლის მდინარეში ჯარისკაცის შვილი.

მზე ერთხელაც იმქვეყნიურ სიზმრებშიაც ჩავა,
სიკვდილს თავად დაეცემა
სხვა სიკვდილის ჩრდილი,
სიკვდილებშიც ძებნად ივლის ჯარისკაცის მამა
რომ იხილოს უკვდავმყოფი ჯარისკაცის შვილი.

გული

ასაკმაც ვერ თქვას ხანმოყრილმაც –
როდის რა გველის,
იქნებ მდაღველიც კვლავ მოგვეჭრას
რაღაც ორი დღე...
გულში ჩასობილ ეკალს ნემსით ვერ ამოიღებ,
მით უფრო ვარდის – სისხლისფერის
და დამდაგველის.
დილის მზის სხივო, ღამის ცრემლ-ნამ-ნაღვლის
ამშრობო,
თავად ამურის იქნებ გული გიკვნესს ნაისრი...
ნუ ეწყინება ოქროს წვიმას შირაზ-მაისის,
მაინც გულია ეკლიანი ვარდის სამშობლო.



გამოიცა კობა არაბულის მეტად მნიშვნელოვანი წიგნი „მითების გაღვიძება" (Awakening of myths). მკითხველს ვთავაზობთ რამოდენიმე ლექსს ამ კრებულიდან. უახლოეს დროში „საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია" მოაწყობს წიგნის პრეზენტაციას, რომლის თარიღსაც საგანგებოდ შეგატყობინებთ.



კობა არაბული

ჰალეის კომეტის ჩავლა

მწარე წელიწადია!..
წელს მხოლოდ იელი ყვაოდა ჩემთვის,–
ჭკნებოდა ბუჩქები ღვიის და დეკის...
ჩემთვის და (შენთვისაც) თეორდება სისხლი,
თაფლი რომ თაფლია – მწარეა ისიც!
მწარე გემო აქვს თავთუხის პურსაც...
ჩაივლის ჰალეის კომეტა ცაზე:
იელის ყვავილებს მიარწყევს მიწას...
მე თიხის კირბებზე მივაწერ სიტყვას,–
რიმელიც არასდროს არავის უთქვამს!
დრო სულში ჩამიმსხვრევს შხამიან ქოთნებს,
მიწაზე გადმოყრის ავადმყოფ ლეკვებს: –
ვერავინ შეხვდება დარდს სხვაზე ნაკლებს,
ვერავინ იპოვის სიწმინდის ლანკნებს...
ზაფხულობით, ლომების თვეში,–
ვარსკვლავები ჟრიალით ჩავლენ...
წამოვა უცნობი წვიმების თქეში
და სავლე უეცრად იქცევა პავლედ!..
მზე, რა გინდ კირჩხიბის კალთაში იჯდეს –
ღამ-ღამ თრთვილს დაგაყრის მეცხვარის
ტყავზე...
ზეცისკენ მიშვერილ ჟანგიან ყურებს –
ჩაესმის მუსიკა ვარსკვლავთა ჩაშლის...
მოგორავს...
მოგორავს ადამის ვაშლი –
და (ჟამი?) სიკვდილში სიცოცხლეს გაცვლის!..

ლოცვა უდაბნოში

ილოცეთ უდაბნოში: კაცთა მოდგმის მოყაყანე
ჭაობში...
ილოცეთ ჭაობში: კაცთა მოდგმის მყრალ
უდაბნოში...
ილოცეთ ტრამალზე – კაცთა ცოდვილი
სისხლით
მორწყულ მიწაზე...
ილოცეთ, ილოცეთ ნამდვილ უდაბნოში,
სადაც სიჩუმეა უფლისა
და არ უფობს კაცთა მოდგმა...
სადაც არ წირავს შემწირველი...
სადაც არ დიან მდინარენი – ხედეკელი და
ფიშონი...
სადაც ღვივის უწვიმარი ღრუბელი...
. . . . . .
ილოცე და იყავი ჩუმად,
დაინახე უფალი უდაბნოს სიჩუმიდან...
გაერიდე კაცთა უდაბნოს და დაივანე წმიდა
იოანეს უდაბნოში!
დაუძლეველია კაცთა უდაბნოს ბოროტება...
გადაულახავია ფარისეველთა წინაღობა...
განუსაზღვრელია მედროვეთა ამბიცია,
მაგრამ უცვლელია დროის განაჩენი მათ
მიმართ,
რომელიც აღესრულება უფლის ნებით!..

ძველი ნივთეგი ბებერ სივრცეში

სწრაფად ვაძველებ სახლსა და ნივთებს,
დროს ვერ ვაძველებ, ასე რომ ითქვას,–
ვითმენ სამყაროს დახურულ სივრცეს
დაძველებული ლექსების რითმებს...
და სულ ახალი აზრის სათქმელად –
ბებერი სიტყვა მშველის – უფალი!..
„გამომაჩინა" ჩემმან საქმემან –
როგორც ტალახში მუნ ჩავიფალი...
დროში დავიწვი და მთლად ჩავფლავდი –
მწარე დარდში და საძმო საფლავში...
როგორც სიცხეში ფშანის ლელქაში (ლაქაში)
გავშავდი ბედის მწარე საფქვავში(?)
როცა წისქვილი ბრუნავს ჩემს თავზე,
და კიდევ ბრუნავს ბედის ბორბალი,–
მინდა უფალთან დროში შევთანხმდე:
ეს რა დროა და რა საზორვალი?!1
ვხედავ ნაცნობი ბუხრების ბოლვას –
(სულ მრუდე კვამლი ადის ბუხრიდან!?)
დროში ჩარჩენილ სიტყვათა ბრძოლას
და მათ სივრცეში კვდომას უხილავს...
როცა ლექსს მიწერ და ზღაპარს მითხზავ:
ერთი მისხალი არ გრჩება იჭვად?! –
ერთი მითხარი: რა უნდა მითხრა,–
რომელი სიტყვა გამიხსნის კრიჭას?!

სურათი

დაშნით მოჭრილი მკლავი – ქალუნდაურის
კოშკზე...
პაპის ალი და კვალი, ბალღი მობმული თოკზე...
გზა სათავაჩოს თავზე – დღე გადასულა
მოკლე...
ღმერთმა ნუდა თქვას კიდე – თორდვა ძაგანი
მოკვდეს...
არ დაითოვლოს მოებზე – თოვა ჭილყვავთა
როკზე...

სიბრძნეთა შეკრება

ორ სიბრძნეს ვუმატებ ერთმანეთს –
მიცვალებულთას...
ორს – ცოცხალთას,
ორს –უშობელთას,
ანუ ჯერ არ მოსულთას სამზეოზე –
და ვშველი ქვეყანას...
უნდა გამოჩნდეს ლომის თვეში –
წელიწადის მეექვსე ჟამზე –
ჩვენს წილში – წილი...
უნდა გამოვჩნდე მეშვიდე დღეს
ამ წილის ყრისთვის!..
. . . .
დასტურნი დროშაო ჩაბრძანებას რომ
დაიწყებენ,
მიიქცევიან რიტუალნი მისაძინებლად...
შეისვენებენ მაგანძურნი ქრისტე შობამდე,
ახალ მარხვამდე –
ახალ ცოდვებს დაიგროვებენ...
დაიბევებენ ახალ წაწლებს ძველი სწორფრები,
ქალ-ქულები ულაყებზე იბერტყენ კალთებს...
. . . .
მაშინ შემოვალ წილის ყრაზე ლექსთა
შეკრებად,
ქვათა დაკრებად...
„დაკრებილთა" სულის სახსნელად...

გაუცხოვება

„იმ ზამთარს შატილში
მერცხალმა თავი მოიკლა..."
(ბერდედას ტექსტიდან)

იხრება საათის ისარი ჩემსკენ –
სხვისი დრო დგება ჩემს სივრცეში...
ჩემი ადგილი მოსჩანს ფრესკის –
სინათლის მიღმა – სამკუთხედში...
ორი მერცხალი სინათლეს კენკავს –
შატილის კოშკზე წვრილი ნისკარტით (?!)
ცას არ აქვს კარი, მაინც ცის კარი –
იხსნება, როგორც ლურჯი ეკრანი...
სიტყვა-სიტყვაზე შევდგი და, შედგნენ
სიტყვის გოდოლზე ზარის მრეკავნი!..
რეკავენ ზარებს და, ამის შემდეგ,
ქვებზე მერცხლები სხივებს კენკავენ...
. . . .
თუ კი მერცხალი თავს მოიკლავს –
სხივი დარჩება ასაკენკი...
გულზე დარჩება მერცხლებს დარდი –
მხოლოდ სინათლის ერთი წვეთი!?
თუ გადაშენდა სამერცხლეთი –
მერცხლის სანაცვლოდ მოვა ყვავი...
დარჩება „ვერცხლის მაკრატელი"
და გაზაფხული მოსაყვანი...
ჩიტის დარდი და ჩემი ლექსი –
მხოლოდ ხოგაის მინდის ესმის...
მხოლოდ ხოგაის მინდიმ იცის
ჩვენი ამქვეყნად ყოფნის მითი!..
. . . .

იხრება საათის ისარი ჩემსკენ:
ჩემი დრო დგება წაშლილ კადრში...
ჩემი ადგილი მოსჩანს ფრესკის –
სინათლის სხივთა თეორ კვადრატში...

29. V. 1998წ.



ქალი

ყვითელ ბორცვებზე,
ცხენის სამარხთან,–
ფერისცვალების თვე იდგა ჭრელი,
და ასპარუხის სურათით შუბლზე –
ქრისტეს შემდგომი სამასი წელი...
ვერცხლის რგოლებით,
ცხვირზე სამაგრით,
ქარვის სავარცხლით და თავის ქალით,
რომელსაც ისევ ახსოვდა რაღაც,–
ერთ შავ ლარნაკზე „ელაგა ქალი" ...
დგა ნათლის ღამე...
და ორ სვეტს შორის –
ცას ანათებდა მზე და სამარხი,
გაბრწყინებული სპეტაკი თოვლით
იდგა თიბათვის ხმელი ბალახი!
მერე, ახალი მთვარით კმაყოფილს,–
მთლად უცნობს, მოსულს ძალიან შორით –
მოჰქონდა მითი ჩვენი აქ ყოფნის,
და საკუთარი დაღუპვის ჭორი!

საუკუნის სიკვდილი

პირველი საუკუნე...
მოკვდა მეოცე საუკუნეში!
ორი ათასი წელი გაატარა ფხიების თემში –
ბებერ ხევისბერთან
და ფერისცვალება დღეს წავიდნენ ერთად:
დრო და ხევისბერი...
დარჩა გადახრილი საკარცხული –
მრუდე ჯვრით და გაღუნული ნალით...
ღმერთო ჩემო, თითქოს
რა ჩვეულებრივია ეს დღე დედამიწაზე,
მაგრამ რა მწუხარეა
ასეთი გარდუვალობის განცდა.

* * *

ფარაონის აკლდამაში შენახული თაფლივით
გიპოვნე შენ
მეოცე საუკუნის „აკლდამებში"
და შეგიყვარე...
და ამის მერე
ტკბილ-მწარე სიხარულით ვცხოვრობ ამ
ქვეყანაზე.

ლევან ზარიძე

პოეტი

პოეტი ჩუმია, ჩუმია დროებით,
ვითარებით და გარემოებით,
წლები არ ეტყობა, ასაკი სრულებით,
ცელქია ბავშვივით და დიდობს სულელი.

პოეტი ლექსია, ეძებენ სანთლებით,
საშველი არ დადგა მზის გამონათების.
პოეტი ღმერთია და ღმერთიც პოეტობს,
სიბნელეს ცისკარი აჩუქა – მოერგო...

პოეტი ცეცხლია, უცეცხლო ბუხარიც,
რომ არაფერია, მიდი და უთხარი.
მიდი და უთხარი: ტყუილად დაათრევს
სიზმრების ხურჯინით ოცნების ბარათებს,
გულმზიან დღეებს და მთვარიან ღამეებს
და რიყის ლოდებზე დაფერფლილ კარატებს.

პოეტი ცა არის და ცასაც უხდება
იმედის შოლტებით მზის წამოხტუნება.
პოეტი ბევრია, ბევრია სამყაროც,
სათქმელი ერთია, ვის უნდა აკმაროს.

მაშ, რითი დავიწყო, “ანით” თუ “ჰოეთი”,
პოეტი ერთია, დღეს მე ვარ პოეტი.

* * *

სული სამადლოდ ხომ გადმოგიგდეს,
არც შენ არა ხარ მაგის გამცვეთი,
ბედი რად უნდა ნეტა შენნაირს,
ჩიტივით გყოფნის დარდის ნამცეცი.

ვიცი, იძინებ ზედმეტად ხშირად,
დღეებს იბევრებ გაღვიძებებით
და ახლა უკვე ყოველი წამის
დროა შენახვის და დაძველების.

ხელებგაშლილი დგას სასაფლაო,
ქარქაში ხორცის და სულის შვება,
გიყეფს ცხოვრება, როგორც სახადი
და ეგ სახადიც უთუოდ შენ ხარ.

ქარის დაკრულზე ცეკვავს ღრუბელი,
ზარებს აცვიათ შენი კანკალი,
მარადისობას ფლანგავ, არადა,
წამიც აღარ გაქვს დასაკარგავი.

* * *

ქუჩაში გეძებს ქარი ცალფეხა,
ყბებით უჭირავს ზარების სუნთქვა,
ვიცი, ვინცა ხარ და უკვდავ დღეებს
ვფიქრობ დილიდან: ვუთხრა, არ ვუთხრა.
ვუთხრა? მიიღონ იქნება ჭორად,
ჩამოგატარონ დაღმართი უკან,
სულ სათითაოდ დაგათვლევინონ
ცაზე ვარსკვლავი და ჯამში ლუკმა.

არ ვუთხრა? იქნებ ქარის წესია
სული არხიოს ხმელი მკლავებით,
გახსოვს? მინდოდა, მეთქვა ადრევე
ბედზე დაგეშილს რომ მაკავებდი.

ქუჩაში გეძებს ქარი ცალფეხა,
ყბებით უჭირავს ზარების სუნთქვა,
ვიცი ვინცა ხარ და უკვდავ დღეებს
ვფიქრობ დილიდან ვუთხრა, არ ვუთხრა.

* * *

წუხელ ჩამოყრილ ფოთლებს გაფიცებ,
იმ დღეს გაფიცებ, რომ დაგაღამდა,
სანამ მზე სივრცეს წამოაფიცხებს,
ცასთან იდექი დაბალ-მაღალთან.

ეს ერთი ღამეც წეღან დამთავრდა,
ქარო, დასამარხ ფოთლებს გაფიცებ,
არაფერი ხარ არაფრის გარდა,
სანამ მზე სივრცეს წამოაფიცხებს...

ქარი ქარს უტევს და სივრცე სივრცეს,
ფეხზე იდექი, დედას გაფიცებ,
არაფერი ხარ არაფრის გარდა,
სიკვდილი თუღა წამოგაფხიზლებს.

* * *

უღელტეხილი ღამეთა ტეხვის,
უფსკრული ფიქრის, ცა აღმაფრენის,
ცოტაა ყველა გამოცხადება,
შენი გზა მინდა, ან არაფერი.

ბერწდება ღამე სიზმრის კაკანზე,
უკუღმა დადის დრო აქაური
და სიმართლისთვის აყეფებული
სხვა საუკუნე გულში ხმაურობს.

ცანცარა ბედი ძაღლივით გერჩის,
სიმაღლეს ბევრი პოულობს გავლით,
იქ, ცაზე დაყრილ გზა-აღმართებზე
ჩოქვით სწავლობენ სიარულს ნამდვილს.

უღელტეხილი ღამეთა ტეხვის,
უფსკრული ფიქრის, ცა აღმაფრენის,
ცოტაა ყველა გამოცხადება,
შენი გზა მინდა, ან არაფერი.

* * *

წუხელ ბარბაცით თოვდა,
ჭრელი სიზმრები წუხდნენ
და ქარი ნასწავლ ლოცვას
იძახდა სხაპა-სხუპით.

ერთხანს წუხილიც წუხდა,
ცა ღამეების თევით,
წუთებს ვიგებ და ვაგებ,
არ მრჩება არაფერი.

თუ ცხადი აღარ ცხადობს,
აღარც სიზმარი მზეობს,
თქვენი დასტური მინდა,
ჩემო პატარა ძმებო.

წუხელ ბარბაცით თოვდა,
ჭრელი სიზმრები წუხდნენ
და ქარი ნასწავლ ლოცვას
იძახდა სხაპა-სხუპით.

* * *

მილაგდებიან წლები თავისით,
გზებიც თავისით ალაგდებიან,
რა სუსტები ვართ სხვის სიხარულში,
სხვის სინანულში რა მაგრები ვართ.

თენდება ისევ დაუკითხავად,
მთვარეს სიმაღლეს ემართლებიან,
ასე მსუბუქი და ასე მძიმე
ეს სული სადმე მიმაგდებინა.

ქარებიც წავლენ კისრების ტეხვით,
ზეცას შევცქერი ისევ ქვევიდან,
სხვის სინანულში ოხვრის კონა და
სხვის სიხარულში ცრემლის ქვევრი ვარ.

სიზმარელი ვარ და სიმართლისთვის
ვიზოგავ ლოცვას ალავერდიანს,
მილაგდებიან წლები თავისით,
გზებიც თავისით ალაგდებიან.

* * *

და
ისევ, ისე,
გზაჯვარედინი,
გოლგოთა - მარჯვნივ,
არ უხვევს არსად გზა საცალფეხო,
გზაჯვარედინზე დგები შენ მარტო,
ორივე ფეხით და ნიშანს ელი.
გასვლაა ღამით და მამლის ნაცვლად
იკივლებს ჭოტი.
ღამეა ზამთრის,
იძინებს წყალიც,
გზა გრძელია და მზეც არის შორი.
გზაჯვარედინი,
გოლგოთა მარჯვნივ.
აბა,
მზე ჩადის!

* * *

არავინ გვისმენს და ვატყუებთ ერთმანეთს ისევ
და ვაბზრიალებთ ენის წვერზე წამოცმულ სიტყვებს,
მე მოვალ ისევ, დაგასიზმრებ შორეულ სიზმრებს,
გამოვიყოლებ მზეს - მიჭედილს საკუთარ სხივზე.

ბედნიერს მივცეთ, უბედურმა გააპოს სივრცე,
ყველას თავისი მიეცემა ასეც და ისეც,
რად გავატანეთ სიხარული გულის ფრიალებს?!
არავინ გვისმენს და ვატყუოთ ერთურთი ისევ.

* * *

შენც რომ ჩემნაირად ენთო,
და ცას ჩემებურად გრძნობდე,
გადაევლებოდი სტვენით
ღმერთის შემოვლებულ ღობეს.

შენც რომ ჩემნაირად წვიმდე,
ქარში არეულად თოვდე,
უკვე გამტყუნებულ სიზმარს
უნდა უკვდავებას სთხოვდე.

შიში სიკვდილია მეფის,
ყეფა არ უხდებათ მგოსნებს,
ფრთები დამყოლია მუცლით,
ჯვარზე როგორ უნდა მოვკვდე.

სიტყვა შემოქმედ ახალგაზრდობას!

ძვირფასო ახალგაზრდა კოლეგებო!

როგორც გაზეთის რედაქტორს, მაქვს პატივი, დღევანდელი ფორმატის „ლიტერატურული საქართველოს“ ყოველი ნომრის ოთხი გვერდი სულგრძელად დაგითმოთ!

ამ რამდენიმე ფურცელზე, კონსტიტუციის ფარგლებში, თქვენი სურვილისამებრ წერეთ რაც გინდათ, ხატეთ რაც გინდათ და ბეჭდეთ რაც გინდათ!

მოაწყვეთ შეხვედრები, მრგვალი მაგიდები, იდებატეთ და იდისკუსიეთ ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე – გნებავთ, იუმორით დაკავდით, თქვენ თვითონაც რომ გალაღდეთ და მკითხველიც მხიარულ გუნებაზე გყავდეთ!

ამისი ათასი საშუალება მაინც არსებობს!

ერთი სიტყვით, „ლიტერატურული საქართველოს“ ყოველი ახალი ნომრის ოთხი გვერდი ახალგაზრდა შემოქმედებს გეკუთვნით!

მერე და მერე, გამოცდილებისა და ჭკუა-გონების მომატების კვალობაზე, შეგვეძლება გაზეთის ფურცლები ძველმა და ახალგაზრდა ლიტერატორებმა თანაბრად გამოვიყენით!

და, ბოლოს, მწერლები კი ვართ, მაგრამ რაკი უკვდავი ვერავინ ვიქნებით, ეს გაზეთიც თქვენი იყოს და ეს ქვეყანაც!..

თამაზ წივწივაძე

დიმიტრი ბახუტაშვილი

ვის მიართვეს მერანისა?

შესავალი

ჩვენი წმინდათაწმინდა კავშირის (მწერალთა, რა თქმა უნდა) მიერ 2012 წელს გამართულ პოეზიის კონკურს მერანში მონაწილე „საუკეთესო ნიმუშებით“ შედგენილი ამავე სახელწოდების წიგნი ბ-ნი ჯანსუღ ჩარკვიანის ძალზე მაღალფარდოვანი შესავალი სიტყვით იწყება, სადაც იგი იუწყება, რომ ჩვენში მწერლობის ისეთი მაღალი დონეა, შეუძლებელია რომელიმე პოეტს ხუთბალიანი სქემიდან სამიანი – ავტორის ნაცვლად კაბიანებთან ბოდიში – „მიართვა“... შემდეგ იმასაც გვასწავლის, რომ „ღმერთი არის სიყვარული“ და ამ ზოგადსაკაცობრიო სიბრძნის გამხელიდან პირდაპირ ქადილზე გადადის, მწერალთა კავშირს ვერავინ დაშლითო.

თუმცა, ამ სიკეთეების მიუხედავად, მე როგორც მკითხველი, ვისურვებდი ისეთ რედაქტორს და ჟიურის თავმჯდომარეს, რომელიც პოეზიის კონკურსს „პოეტური კონკურსისგან“ განარჩევს.

თავი პირველი – ასე გააგრძელეთ და მაგასაც ნახავთ!

წიგნს რომ აიღებ, ბუნებრივია, პირველად ორმოცდამეცამეტე გვერდზე გადაშლი, სადაც ქართული, დარბაისლური გამოხედვით აღჭურვილი პიროვნების ფოტო მოგხვდება თვალში, რომელსაც ძირძველ მეჯოგეთა გვარი (კვარაცხელია) უმშვენებს გვერდს, ესეც წიგნის ყდაზე მოკუნტრუშე მერნები, ასე აგიხდეთ ყველაფერი...

და აი, იწყებს...

„სოფლის ორღობეში უგულოდ გავთელე ყვავილი“

სხვა შემთხვევაში, ალბათ, არ ვისურვებდი ამ დაუნდობლად ტრივიალური დრამატიზმის გაგრძელებას, თუმცა იმ კაცის ტექსტს, რომელსაც ყველაზე მეტმა ჟიურის წევრმა „მიართვა“ მისართმეველი იგი, რა სინდისით მივატოვებდი?! მართალია, გარდა ბანალური სარითმო წყვილებისა, რომელთაც საერთო კითხვა დაესმის (ყვავილი-ჩხავილი, წყაროზე-თაროზე, მიჭირდა-მიჭრიდა, ვხატავდი-ვფანტავდი და ა.შ.) და უგერგილო რიტმისა, ფორმის მხრივ არაფერს გავუოცებივარ, მაგრამ შინაარსობრივმა მხარემ ჩემში სრული კათარსისი გამოიწვია. რამდენიმე მაგალითს მოვიტან: ლირიკული გმირი აღსარების დასაწყისში („ბავშვობადაკარგული მოზარდის აღსარება“ ტექსტის სათაურია) ამბობს, რომ „არაფრად ჩავაგდე პრანჭია ჩემი დის ჩხავილიო“ თუმცა, დის ჩხავილის მიზეზები, ისევე, როგორც პრანჭვისა – გაუგებარია წინა ან მომდევნო ფრაზასთან კონტექსტშიც; და მივხვდი: ესაა ფრაგმენტულობისა და ბუნდოვანების შეხამება, როცა ავტორი არ გიმხელს არსებულ მოტივს, და გტოვს – მტირალა, მაგრამ პრანჭია გოგოს წინაშე, შენი ესთეტიკური ხედვის და სინდისის ამარა... განვაგრძე, მაგრამ რა განვაგრძე... მეტაფორებისა და პოეზიაში ჩამძვრალ იდიომათა ზღვაში შევედი. რა მოხდა მერე, თუ ვერ გავიგე, რისი მოლოცვა უჭირდა გმირს კვირა დღეს ილორში, იქნებ ახალი წელიც იყო, ან ვარდების რევოლუციის 8 წლისთავი (თუმცა ისიც დასაშვებია, რომ ავტორს უნდოდა ეთქვა – ილორის მოლოცვა მიჭირდაო, უბრალოდ ქართული მოიბულბულა ასე), სამაგიეროდ შევიცანი „ზღვის პირას სასახლის ხატვა“ აღსარების თემა რატომაა და მზის სხივი (და არა სხივები) რა მაკრატლით და ხელობით უჭრიდა ნაბიჯ-ებ-ს გაურკვეველი მიმართულებით მიმავალ ღრმად პოეტურად ჩაფიქრებულ პიროვნებას, თანაც იმ მუხანათ დროს, როცა კაცი სამოთხის ენძელებს ფანტავდა. მოკლედ, პოეტმა იცის და მისმა პოეტობამ. ჩვენ ახლა ესენიც ვნახოთ: „გულის უძიროდ დაწყვეტა“, „მთასავით ბებია“, რომელსაც გულის ფიცარი პირდაპირ ბუხართან გაუპო ტყვიამ, „სიმორცხვით აჭრელებული აპრილი“ ა.შ...

უნდა აღინიშნოს, რომ ფინალისკენ ბ-ნი ჯანსუღის მიერ დაწყებული ტენდენცია ღირსეულად გაგრძელდა და ერთი ორზღვათაშორისი სიბრძნე მამა პეტრემაც გაგვიმხილა – „ცხოვრება ომიაო“. მადლობა მამა პეტრე!

მთავარი კი დამავიწყდა, ლექსის ლირიკული გმირი, ავტორს „მამაოთი“ მიმართავს. ხოდა, თან ტექსტსაც კონკრეტული ადრესატი ჰყავს (ეპიგრაფად მითითებული) და თუ ეს ამბავი აღსარების საიდუმლოა, აფერუმ... და თუ თქვენი ფანტაზიის ნაყოფია, ვერ მოუსხამს რიგიანად, მამაო.

მეორე ლექსის პირველი ღირსება, რაც თვალში მომხვდა – არის ზომა, თუმცა შემდეგაც არ დაკლებია სხვა „მისართმეველი“ ღირსებები:

„მე მოვედი, მაპატიე ღალატი,
მაპატიე, მაპატიე ყოველი,
მე, უფალო დამიფარე მარადის,
ვიტანჯერბი შენი უარმყოფელი“.

ამდენი „მე“ რომ არ ეხმარა ავტორს, როგორ შეეშლებოდა უფალს და სხვას დაიფარავდა? თუ, მკითხველი ვერ მიხვდებოდა რომ „მოვედი“ ისედაც პირველი პირის ხმაა?

„რაც მომეცი ყველაფერი წავიდა
და არ დამრჩა მცნება ხელუხლებელი“

აქაც ჩავფიქრდი, ნეტავი რა მისცა ისეთი მამაზეციერმა ამ დალოცვილს, თავისი ფეხით რომ წავიდა და შემდეგ ათივე მცნების დარღვევა აიძულა-მეთქი, თუმცა ქართულ კულტურაში მსგავსი სინტაქსით ერთი ცნობილი სიმღერის ტექსტი კი გამახსენდა – „წავიდა ჰეეეეე, ეს ცხოვრებაااა...“ ალუზიაა-მეთქი, ვიფიქრე და გავჩერდი.

შემდეგაც ვერაფრით მივხვდი: საყდრის „კარებთან“ ტირილით, დაკარგული კრავის დაბრუნებით და ათასი მსგავსით... ვის ააქვითინებ, პოეზიის გარდა... ეგ კი არა, თავხედობა მეყო და ფინალის სიღრმე და მხატვრული ლოგიკაც ვერ გავიაზრე:

„მე პეტრე ვარ შენი უარმყოფელი“

ხარ და იყავი!

საერთოდ, ცოტა თუ დავსერიოზულდებით და ამ ავტორის პოეზიას თეოლოგიური კუთხით განვიხილავთ, მასში მრავლად მოიპოვება არათეისტური შეფერილობის სტრიქონები (მაგ.: „ადამიანად ყოფნა უფრო ძნელია, ღმერთო“), მაგრამ ამ გაგანია პოსტმოდერნიზმის ეპოქაში ანტიმართლმადიდებლური განწყობების ლიტერატურულ ნაკლად მიჩნევა არ შეიძლება, ამიტომ, მე ვერ ვუსაყვედურებ მამა პეტრე კვარაცხელიას, ათეისტი რატომ ხარ-მეთქი.

პეტრე კვარაცხელია

პარადოქსი კია, მაგრამ მაინც დავასკვენი, რომ მამა პეტრეს კონკრეტულ კონფესიაში იერარქიული სტატუსი იწვევს დამატებით ასოციაციებს და სწორედ ამ „ბურჟგლომეტრით“ იხელმძღვანელეს ჟიურის წევრებმა, ან... ან აღარ მინდა... ემანდ რამე თავხედური არ წამომცდეს, ამ უბრალოების შემდეგ. თანაც, მიუხედავად, ჩემი ძალიან დაბალი წარმოდგენისა მათ კომპეტენციაზე, მაინც მწამს გულის სიღრმეში, რომ „პრანჭია გოგოს ჩხავილს“ პოეზიისგან არჩევენ.

თავი მეორე – აჰა, ფლავი.

მოლა ნასრედინის ცნობილი ანეკდოტია ერთი: ღარიბულად ჩაცმულს სუფრაზე არაფერს სთავაზობენ მოლას, კარგი ქურქით რომ შეიმოსება, მერე, არიქა, თავზე დააყრიან, ხოდა, მოლაც დადებს ქურქს და ეტყვის, – ჭამე, შენ გეკუთვნისო.

ეგრეა ჩვენი ამბავიც, მამა პეტრეს ადგილას კი, ამ კონკურსზე მიღებული თანხით კაბას ოქრომკედით მოვქარგავდი, ძალიან ნიჭიერი კაბა აქვს, როგორც ჩანს, და იმიტომ.

p.s. *ერთხელ ამ წიგნში შეყვანილ კარგ ავტორებსაც განვიხილავ, ალბათ, მას შემდეგ, რაც მამა პეტრე rock-ფესტივალსაც მოიგებს.*

სიყვარულით,
დიმიტრი ბახუტაშვილი

ცხენის პისერზე შემოჭდობილი პაცის ხელები

ოთარ ჯიერკვალიშვილი

დასაწყისშივე შევთანხმდეთ, რომ ცხენი არ არის ირაციონალური არსება. ქალს და ცხენს ხშირად ადარებენ ერთმანეთს, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მე არ შევადარო.

კაცობრიობის ისტორიაში მართლაც იყო რამდენიმე ქალი და კიდევ უფრო ცოტა ცხენი, რომლებიც აშკარა მსგავსებას ამჟღავნებდნენ. რომ არ თქვა, ცოდნით თავს იწონებსო, სულ, ერთ ცნობილ ცხენს, ბუცეფალს, ორ ცნობილ ქალს ვიქტორია კოლონასა და ლუ ანდრეას-სალომეს დაგისახელებ. რახან ასეა, იმასაც კი არ გეტყვი, ვინ იყო ვიქტორია კოლონა, კეთილი ინებე და თავად გაარკვიე. რაც შეეხება ლუ სალომეს...

ფრიდრიხ ნიცშე! გეთანხმები, გაცვდა ეს სახელი „ვით ძველი გროში“ და „უდაბურებადაც იქცა“, მაგრამ მე იმ ნიცშეზე არ გელაპარაკებით, ვინც თქვა, „ღმერთი მოკვდაო“.

ეს წუთია სახლიდან გამოვიდა და ფიქრობს, ღმერთი გაცოცხლებულა ტურინის ქუჩებში. გამოჩნდა ტურინის საკათედრო ტაძარი, იოსებ არიმათიელი, ნიკოდემოსი, ქრისტეს სხეული; ნეტა თუ არსებობს ამის მატერიალური მტკიცებულება?.. ხალხის ხელები თეთრია, არავითარი ღმერთის სისხლის კვალი. სუფთა ხელებში მხოლოდ მათრახები, მაგრამ ეს ნორმალურია, ახალი მორალი: „ქალებთან მიდიხარ? მათრახი არ დაგავიწყდეს!“, ადრეც ასე იყო, ქალს უყვარს მათრახი, მაგრამ ცხენს? ცხენს – არა! აბა რატომ ადარებენ?

მაკედონელი ერთს ჩაუსტვენდა, ბუცეფალი წამში იქ გაჩნდებოდა, ცხენს, რომელსაც საკუთარი ჩრდილის ეშინოდა, რამდენჯერ გადაურჩენია, ერთად გადაშვებულან სახიფათო ჯურღმულებში, – ოღონდ ერთად, და ყოველთვის გადარჩენილან!

ქალი კი უფსკრულის პირას დგას, ცდილობს მიგიტყუოს, შენ მათრახით უახლოვდები, რადგან გიყვარს ხიფათი და თამაში, ის კი მშვენიერი სახიფათო სათამაშოა... მათრახის პირველივე მოქნევისას ან გადაგჩეხავს, ან გადაიჩეხება, ესეც სივრცესთან ინფანტილური შეთამაშებით სიცოცხლის ფასად მიღებული სიამოვნება! არა, მაინც რატომ ადარებენ ცხენს, განა ცხენი ბევრად ჭკვიანი არ არის?

მე გეძახოდი, გეძახოდი, ლუ! და შენ ბუცეფალი კი არა, ნამდვილი ძუ ლომი აღმოჩნდი. მე ახალგაზრდა, აღელვებული, მოტყუებული, მაშინ უშედეგოდ ვნერგავდი „მათრახის ფილოსოფიას“, ახლა კი, როცა თავად მექეცი მათრახად, როცა თავადაც აღარ მჯერა ამის, ყველას მათრახი აქვს მომარჯვებული და გამეტებით აგლეჯენ ერთმანეთს ხორცებს. ქალებზე გაბრაზებული მამაკაცები ცხენებზე იყრიან ჯავრს, შენც ჩემი ცოლივით ურჩი ხარო! ვეღარ უძლებს ჩემი ბუნება ასეთ სისასტიკეს, არადა ყველას ღმერთის მკვლელი და მათრახის დამნერგავი ვგონივარ, ჰგონიათ ზარატუსტრა მე ვარ, სინამდვილეში მე აჰურამაზდას, სიკეთისა და მშვენიერების ღმერთის მსახური ვარ, ზარატუსტრები თავად შვეს და მოიმკიან კიდეც შედეგს!..

ვიქტორია კოლონა . . . „განკითხვის დღე“!

ლუ სალომე – ჩემი განკითხვა, რომელსაც უფსკრულის პირას ველოდი. არ მინდოდა, სამყარო რომელიღაც უცხო განზომილებიდან შენ გარეშე შემოსულიყო ჩემს ცნობიერებაში. არადა, კაცობრიობის სიჭრელეს, უსუსურობას, დიონისურ სიშიშვლეს და მიუსაფრობას მთის მწვერვალზე ასული ხვდები ყველაზე უკეთ. თითქოს სიმაღლე, სივრცე და შიში ერთდროულად კოსმიურ გონში გახედებს, მაგრამ ირაციონალური ტალღა წაგლეკავს თუ ამ დროს შენ სიახლოვეს კოლოსალური ძალის ვნებას ვერ გრძნობ, და გრჩება რაღაც მარად შეუცნობელი!..

ამ მთის მწვერვალზე გელოდებოდი ლუ, ზღვას გადავხედე, ჩემსა და ზღვის შუა კიპარისი ირწეოდა, თრთოდა, ნიავს ემორჩილებოდა. სადღაც კიპარისსა და ზღვას შორის გამოჩნდა შენი სილუეტი. ამაყად გადაკვეთე ჰორიზონტი, ყველა სიდიდე დაპატარავდა შენ წინ, როგორც პლანეტის ბატონ-პატრონმა ჩაგვიარე და მაშინ შევიგრძენი სიცოცხლის უპირატესობა სხვა ყველაფერთან. წამით გამოჩენილი და გამქრალი სიცოცხლე მეტია, ვიდრე მკვდარი კოსმოსის მარადიული არსებობა. ამ ჰარმონიაში შენმა ირაციონალურმა შემოჭრამ მათრახი ხელიდან გამაგდებინა, შესაძლოა ეს იყო ჩემი წარმოსახვა!.. თან ხომ ვიცი, იცოდი, რომ იქ ვიდექი მწვერვალზე, გიყურებდი, იცოდი ჩემი მოლოდინი, განცდები, ჭეშმარიტების შეცნობის გარდუვალობის შეგრძნება და შენი ერთი გაელვებით მიმახვედრე, რომ თვით ჭეშმარიტებაშიც კი არაა ჭეშმარიტება! სწორედ მაშინ შემოხვედი ჩემში, სწორედ მაშინ მიანიშნე ბუნებას, როდესაც შევაბიჯებთ მის ფილოსოფიაში, ჩვენ გვბურავს ჩრდილოვან ხეთა ტყე, ველური და დაუსაზღვრავი ბუნების საუცხოო მცენარეულობა. და გაქრი...

ახლა გამოვედი სახლიდან და ვხედავ, ევროპის ქუჩები სულაც აღარ ჰგავს ჩემი ახალგაზრდობისდროინდელ აპოკალიფსს, რელიეფურ გრავიურას ფრესკიდან, „განკითხვის დღე“, როგორც ჰაინემ მოსწრებულად უწოდა, მიქელანჯელოს: „საშინელი სამსჯავროს მძვინვარე მეხთამტყორცნელი!“, არა, ევროპა ჩემსავით ასაკშია უკვე და დიდი ჩაძინებისთვის ემზადება. ახლა უფრო ხშირად ვამთქნარებ, როცა ევროპაზე ვფიქრობ. ეს უკვე სამგლოვიარო დუმილია ევროპის ქუჩებში, ისევე, როგორც მედიჩების საგვარეულო აკლდამა სან ლორენცოში; წამოწოლილი შიშველი ქალი და წამოწოლილი შიშველი მამაკაცი -

ქალი – „ღამე“. მამაკაცი – „დღე“.

ქალის ქანდაკებაზე მიმაგრებულ ქაღალდზე ვიღაცას ლექსი მიუწერია:

„ღამე, რომელსაც შენ აქ ხედავ
ტკბილად მძინარეს,
თვით ანგელოზმა გამოჰკვეთა
და სძინავს ჯერა,
მაშ ცოცხალია, რაკი სძინავს!
თუ არა გჯერა,
გამოაღვიძე და იხილავ
პირმომცინარეს.“

მისი გამოღვიძება შეუძლებელია, რადგან დაღლილია და თავად არ სურს, ამიტომ მიქელანჯელომ ქაღალდი გადააბრუნა და წააწერა:

„მხიბლავს ძილი, მით უმეტეს –
რომ ვარ ქვა და ქანდაკი,
ვიდრე მეფობს ძალადობა,
სირცხვილი და სიავე,
არც ვიხილო, არც ვისმინო – აი,
ჩემი სიამე!
ამიტომაც ნუ მაღვიძებ, წყნარად
ილაპარაკე.“

დღეს ევროპა მიქელანჯელოს სხეულივით უხრწნელი და მუმიად ქცეულია. მისი სხეული 150 წლის შემდეგაც იმავე მდგომარეობაში იყო, როგორშიც დაკრძალვის დღეს, ამას ამბობს ვაზარი. მიქელანჯელოს სხეულივით მუმიად ქცეული ევროპა... ტურინი!..

ვიქტორია კოლონამ და შენ, ჩემო ლუ, ჩააძინეთ ჩვენი ორიგინალური მოხაზულობის მატერიკი თქვენი ირაციონალიზმით. ბუცეფალმა კი ევროპა მთელ მსოფლიოს გადაატარა თავისი დიდი, შორსმჭვრეტელი თვალებით, ზოგი ფილოსოფოსი კი ნებაზე და რაციონალიზმზე საპირისპიროს გვიმტკიცებდა ლუ, აი, აქ დაიმსხვრა ჩემი იდეალები! ისე დამემართა, რომ სოდომიდან გამოვიქეცი და გომორაში აღმოვჩნდი... ბუცეფალი კი დღესაც განაგრძობს მადონას იდეალით პლანეტის ირგვლივ სირბილს, არ იღლება, ძლიერი ზურგი, ბარძაყები და მაგარი კისერი აქვს. თქვენ კი დიონისე გამოფიტეთ, ჩააძინეთ, ამიტომაც შეგიჯავრე მაშინ! ახლა სიძულვილიც აღარ შემიძლია. სახლიდან გამოვედი, ვფიქრობ ამ ყველაფერზე და ვათვალიერებ ლეთარგიაში ჩაძირულ ევროპის ქუჩებს.

ახლა ვნანობ, რომ მე მაშინ მწვერვალზე ასე ვირწმუნე სიცოცხლის და მათრახი ხელიდან გამივარდა. სასაცილო ვიყავი, აპოლონმა ჩინელ ბრძენს დამამსგავსა, მაშინ მოვკალი ზარატუსტრა, რითაც ევროპაში ტონუსი დაეცა, ამიტომაც ვიმეორებ: მაინც მაჯობე ნაზარეველო! დამამარცხე არა შენი იდეებით, არამედ ჩემი ადამიანური, ერთობ ადამიანური სისუსტეებით. მე მოგენდე შენ და ვენდე ქალებს, შენც ხომ ძალიან გიყვარდა ისინი: მართა და მარიამი, დედაშენი მარიამი, მარიამ მაგდალელი... მარიამები დომინირებს შენს მეგობარ ქალებში, ნეტა მომავალში თუ გამოჩნდება ვინმე მარიამი?..

ეს იყო ჩემი აქლემობის პერიოდი, როცა აპოლოგეტების მჯეროდა, სული თავისი არსით ქრისტიანულ-ქალურიაო, გვიან მივხვდი, რომ სული თავისი არსით დიონისურ-მამაკაცურია, მაგრამ რაღა დროს, შენ და ლუ სალომე უკვე ღრმად იყავით ინკრუსტირებული ჩემი სულიერი სტრუქტურის შრეებში და მე იმ პერიოდიდან ვცდილობ თქვენ წინაშე არ შევცოდო, გული არ გატკინოთ – საჯაროდ თავს არ ვუტყდები, თუმცა მეც ბუცეფალზე ამხედრებული, სუსტთა მორალის „რაინდი“ ვარ!

აგერ, ტურინში ჩემი მეზობელი თავის ულამაზეს შავ ანდალუზიურ ფაშატს ფორანს ადგამს, თვითონაც როგორ შავებში გამოწყობილა, ცხენისა და ფორნის შესაბამისად.

– გამარჯობათ. ალბათ ახლო მანძილზე აპირებთ წასვლას, შორი გზებისთვის, როგორც წესი, ასეთი ცხენები არ ემეტებათ.

– გაგიმარჯოთ, დოქტორო ნიცშე! გეთანხმებით, თუმცა ამ ბოლო დროს ახლო მანძილებზეც გაჭირვეულდა, ამ ჭირვეულობისთვის კი მუდამ მზადა მაქვს აი ეს, – და შორიდან მტკიცედ ნაჭედი, გამძლე ტყავის მასიური მათრახი დაანახვა, ცხენი ოდნავ შეკრთა.

– თქვენს მოსაზრებებს აქტიურად ვეცნობი და რაღა დაგიმალოთ, ბევრ რამეში გეთანხმებით კიდეც. – ეს თქვა და ციინიკურად ჩაიქირქილა.

– გმადლობთ, ამისთვის რომ იცლით. მეც რაღა დაგიმალოთ და ძალიან მომწონს თქვენი ცხენი. – ნიცშემ ოდნავ შესამჩვევად დაუკრა თავი და გზა განაგრძო, მეზობელი კი ფაშატზე ფორნის დამაგრების საქმეს მიუბრუნდა...

ესეც შენი ევროპა, ფიქრობდა იგი, ცხენს ფორანს ადგამს და თან ჩემს იდეებზე ფიქრობს მათრახით ხელში, ძალაუფლების ნების გამოსახატავად ყველას წინაშე, თავის თავსაც უმტკიცებს საკუთრებაზე განუსაზღვრელ უფლებას, საცოდავი კაცუნა...

ამ ფიქრებში ღრმად ჩაფლულ ნიცშეს შავმა ფორანმა დიდი სისწრაფით ჩაუქროლა, თუმცა მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ აქ მოხდა გაუგებარი რამ: ფილოსოფოსისაგან მოშორებით, დაახლოებით ასე 20-30 მეტრში ფორანი გვერდზე გადაიხარა, შემდეგ გასწორდა და ისე მყისიერად შეჩერდა, კინაღამ ადგილზე დაიმსხვრა! ცხენი, რაღაც უცნაური მოძრაობით, ნიცშეს მხარეს შემოტრიალდა, დაიჭიხვინა და ქანდაკებასავით გაქვავდა.

პატრომა, როგორც კი გონს მოეგო, არაადამიანური ძალით დასცხო ცხენს მძიმე მათრახი, რომლის მსხვილ ტყავშიც ჩატანებული იყო წვრილი რკინის ბურთულები და ცხვრის ძვლის ნამსხვრევები, ისე, რომ ყოველ დარტყმაზე ცხენის ტანზე სისხლის ზოლები ჩნდებოდა. ნიცშე ამის შემხედვარე ცხენის მიმართულებით გარბოდა და თან ღრიალებდა: რას გიშვრებიან იესო ნაზარეველო, ეს კაცუნები! ეს კაცობრიობის მტრები!.. იესო ნაზარეველო, ხორცებს გაგლეჯენ, ეკლის გვირგვინს გადგამენ თავზე!..

ცხენი უძრავად იდგა, თითქოს ვერც გრძნობდა პატრონის დარტყმებს, ნიცშეს მიახლოებისას მოეჩვენა, რომ ცხენი ფიქრობდა, ის მათრახით არ იტანჯებოდა, ის იყო ბუცეფალი! მას ნიცშე ტანჯავდა, ამიტომ რაღაცნაირად კისერი მისკენ მიატრიალა, ნიცშემ ხელები მთელი ძალით შემოაჭდო და აი ამ დროს კი მოწყდა ცხენი ადგილიდან, ისეთი ძალითა და სისწრაფით, რომ ძალაუფლების ნებით შეპყრობილი პატრონი ანდალუზიურმა შავმა ფაშატმა ფორნიდან ბურთივით მოისროლა!..

– ო, რა ჯიუტი ყოფილხარ, იესო ნაზარეველო, როგორ არ მიმატოვე... რა ძლიერი კისერი გქონია, მე არ მაქვს ეგეთივე ძლიერი მკლავები! – ეს თქვა, მთელი ძალა მოიკრიბა, ოდნავ მაღლა აიწია, ცხენს თვალებში აკოცა და გონება დაკარგა...

ანეკდოტია თუ უღიმღამოა ჟანერი?!

„დღევანდელ ჩვენს ქართულ მწერლობას რომ ვაკვირდებით, ერთი სამწუხარო მოვლენა აღინიშნება: ოციანი თუ ოცდაათიანი წლების ქართველი მწერლები გაცილებით ფართოდ და ღრმად იყვნენ განათლებულები, ვიდრე მათი მომდევნო თაობები“.

გრიგოლ აბაშიძე

ამასწინათ ერთმა სათნო ბუნების პოეტმა გულისტკივილით შემომჩივლა. რომ ერთ-ერთ გახმაურებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ენერგიულად შეაგულიანეს, საფუძვლიანი რჩევა-დარიგებებით დახუნძლეს, ჟიურის შემადგენლობის ავტორიტეტი წმინდანთა ღვაწლს გაუთანაბრეს და ხატოვნად გაისტუმრეს შემოქმედებით მოუსვლეთში, პროზაულად ლიტერატურულ სარბიელზე ძალების მოსინჯვა რომ ეწოდება და სინამდვილეში ეშმაკების ფერხულს წააგავს. აქ დღისით ყველა უწყინარი კრავივით გამოიყურება, წყვდიადის დადგომა ფერხულის მოყვარულებს თვალისდახამხამებაში გარდაქმნის და ისინიც, „გვამნი პატიოსანნი“, უხილავი ზემდგომის ბრძანებისამებრ სხვადასხვა ფერის, ზომისა და მოყვანილობის წუღებს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე დაუნანებლად ცვეთენ, მზის ამოსვლამდე როკვის დამათრობელ ზარხოშში იძირებიან. როგორც კი ინათებს, არაქათ გამოცლილები თავ-თავიანთ სადგომში შეილალებიან და შთამბეჭდავ ნიღბებს ამოფარებულნი სოლიდურად იქცევიან.

ეს ამბავი ერთ-ერთი ცნობილი ზღაპრის შინაარსს ჩამოჰგავს. თუმცა მასში მონაწილე „ალქაჯები“ კარუსელის პრინციპით შედგენილ კონკურსის მესვეურთაგან დიდად არ განსხვავდებიან. თავად განსაჯეთ, ჟიურის ერთ-ერთი წევრის იატაკქვეშა აღსარების თანახმად ავტორების ანონიმურობა ფორმალობას ემყარება, მათი ვინაობა სათავეშივე ცნობილია რათა ჟიურიმ სხვის დარახტულ ბედაურს, უკაცრავად და რჩეულს შემთხვევით თვალი არ დაადგას და წინასწარ დაგეგმილ-გაწერილი გამარჯვება უცხოს არ მიაკუთვნოს.

კულუარებში მსგავსი მიკერძოების (უფრო თანამედროვედ ჟღერს: ჩაწყობა) მწერლების უმრავლესობა თვალს ხუჭავს. დიდი ვერაფერი ნუგეშია დროდადრო ჟიურის რომელიმე წევრს განუწყვეტელი ზეწოლის პირობებში ნებისყოფა თუ ღალატობს და საფუძვლიანი ეჭვი დასაბუთებულად გრგვინავს. ვითარება უცვლელია: ლიტერატურული კორუფციის სისტემა კვლავ შეუფერხებლად მოქმედებს.

შარშან, ელექტრონულ სივრცეში, მოულოდნელად აღზევებულმა ახალგაზრდა პოეტმა, რომელიც მწერალთა კავშირის ყბადაღებული გამომცემლობის დირექტორად დანიშნეს, ასი ყველაზე რეიტინგული პოეტის გამოსავლენად გამოკითხვა ჩაატარა. ესოდენ ღირსშესანიშნავი მოვლენა ყურადღების მიღმა დამრჩა, რადგან ინტერნეტში ყარიბივით იმპროვიზაციულად შევისეირნებ ხოლმე იმჟამად ჩემდამი კეთილგანწყობილმა კოლეგამ საგანგებოდ დამირეკა და აღელვებულმა მამცნო, რომ ახალგაზრდა პოეტების იღბლიანი ჯგუფი პირველობის მოსაპოვებლად ინტერნეტ რეიტინგს აწარმოებდა, სადაც „რჩეულთა“ კასტაში მისი მეცადინეობით დავსახელდი. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ჩამონათვალში მოსახვედრად პოეტს სულ რამდენიმე წუთი თუ წამი ეძლეოდა. ზუსტად აღარ მახსოვს. ინსტრუქციის თანახმად ორგანიზატორებს დრო მკაცრად შემოეზღუდათ. ჩემდა გასაკვირად, კოლეგას მეც გავახსენდი. „ძველმოდური“, მოურჯულებელი მწერალი, რომელიც ნებისმიერ ჩარჩოში მოთავსებაზე აცრილია. მოკლედ, კეთილშობილური მიზნიდან გამომდინარე, მან ასი რეიტინგული პოეტის სიაში ჩამწერა და ქულების შესაგროვებლად თვითონ უნდა მეზრუნა. მისი შემართება ხუმრობას შევუფარდე, რითაც ლიტერატურულ დოღში ჩაბმული შემოქმედის გულისწყრომა დავიმსახურე. კოლეგას მშვენივრად მეხსენებოდა მსგავს გამოკითხვებს როგორ ვეკიდებოდი. არასდროს აღმძვრია სურვილი სამთავრობო ეგზიტპოლების თარგზე აჭრილი რეიტინგები სერიოზულად აღმექვა. უწყინარი წამოწყების უკან მზაკვრული ჩანაწერი ინიღბებოდა. ახალგაზრდების ჯგუფი, მწერალთა კავშირში ზარზეიმით რომ გააერთიანეს და ორგანიზაციაში გაწევრიანებისთანავე უცხოეთის რიგი ქვეყნები ოპერატიულად შემოატარეს, უფრო მსუყე დივიდენდების მოლოდინში სახელის მოხვეჭასთან ერთად კომერციულ წარმატებასაც „უმიზნებდა“. ე. წ. რეიტინგ-ლისტის გამარჯვებულის უფასო წიგნს გამოსცემდნენ. ორგანიზატორებმა ქულების შესაგროვებლად წინასწარ იზრუნეს, შესაბამისი მექანიზმი ჩართეს, რაც მათ სანაცნობო წრეზე ჯეროვნად აისახა. ეფექტური მოგების ამბავი სწრაფად გავრცელდა და გამოკვლევის მესვეურთა წინააღმდეგ ფრონტის ხაზი გაიხსნა. ელიტარული ეგზიტპოლის შემდგენლებს ეშმაკობას მიუხვდნენ.

კოლეგა ჩემს პუბლიცისტურ სტატიებს კითხულობდა. იცოდა, რომ მწერალთა კავშირის თემაზე საგანგებო ციკლზე შევქმენი და ბუნებრივია მიხვდა, ორგანიზაციის ახალი ფრთის უზურპატორულ „გამოხტომებს“ დუმილით არ შევეგებებოდი. ამ რეიტინგდოღში მართლაც სავალალო შედეგი გამოკვეთილიყო: ზოგიერთებმა პირველობისათვის ბრძოლაში მხოლოდ საკუთარი თავი დაასახელეს. ობიექტურ სინამდვილესა და მეგობრობასაც აღარ გაუწიეს ანგარიში. „რჩეულთა კასტიდან სიის სათავეში დიდი ქართველი მწერლისა და რეჟისორის გოდერძი ჩოხელის მოქცევამ შეაწუხა და ირიბი იერიშის მეშვეობით ძმაკაცის წინ წასაწევად (ჟარგონულად გასაქაჩად) დაიწუწუნა. აქაოდა, წიგნის გამოსაცემი თანხა არ გააჩნია და უმაღლესი ქულების შეგროვებაში თუ შეეწევით, საწადელს უთუოდ აისრულებსო. მეორე ადგილი ცნობილ მსახიობს, ნიკო გომელაურს ხვდა წილად. ამ გარემოებამ გამოკითხვის ორგანიზატორებს ნირი წაუხდინათ. მიზნის მისაღწევად, სულ მცირე შვიდი მოწინავე ადგილი სჭრიდებოდათ. „შესანიშნავ შვიდეულს“ ტყუილად ხომ არ ბაძავდნენ. ამ მარათონში გამომცემლობის ახალი დირექტორი ძალზე აქტიურობდა. საკუთარი წამოწყების დასაგვირგვინებლად თავს არ ზოგავდა. მოარული ხმების თანახმად, წინა ხელმძღვანელის გაძევებისთანავე ქაჯეთად წოდებულ „ეროვნულ მწერლობაში“ ფეხი შედგა თუ არა, მაშინვე არც თუ ურიგო მანქანა შეიძინა და მფარველები ბალანსის არამიზნობრივი ხარჯვისათვის ქვეითად რომ გამოდევნებოდნენ (ეს ხუმრობით, თორემ ფეხით მოსიარულე ხელმძღვანელობა ვის გაუგონია?) ახალგაზრდის სიცქვიტით გაწბილებულებს აზიზი ფილტვებით შარაგზაზე ავარდნილი მტვერი „ლექსის“ გაცვეთილი რითმასავით ბლომად უნდა ეყლაპათ. ეს ახალთაობელის ერთგვარი ავტოგრაფი გახლდათ. ძველებს დაუნანებლად რომ უსახსოვრა.

წელან ფეხით მოსიარულე უფროსობა ვახსენე და გონებაში 2-3 წლის წინანდელი ამბავი ამომიტივტივდა. სახელმწიფო ტრანსპორტით მგზავრობისას (სახელმწიფო ჯერ არ არსებობს და მიკვირს, ეს ავტობუსები არშემდგარი ქვეყნის ეპოლეტებად ვინ დააკერა?!) ნაცნობი ხმა მომესმა. ვიღაც მწერლებზე ხმამაღლა საუბრობდა. ცნობისმოყვარეობის მიუხედავად აზრად არ მომსვლია უცნობის მონოლოგი ჩემეული კომენტარით გამეფორმებინა, უბრალოდ, ჩასვლა მიწევდა და წინ გადავინაცვლე. ამასობაში ძვირფას ქურქში ჩაცმულმა სრულმა ქალმა ლაპარაკი დაასრულა და თვითონაც დაწინაურდა. გზის დათმობა ორივეს მოგვიხდა. ჩემ წინ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იდგა. სიმართლე გითხრათ, დავიბენი. ქ-ნ გონაშვილს ყბადაღებულ ყვითელ ავტობუსში პირველად ვხედავდი. მან იმარჯვა და ბილეთი ამიღო. მადლობის თქმა დამცალდა, უკვე ფილარმონიის სიახლოვეს ვიდექით. ქ-ნი გონაშვილი აღელვებული ჩანდა. რატომღაც გამენდო, მითხრა, რომ კულტურის ახალ მინისტრთან მოლაპარაკებისას, შენობის დაბრუნების საკითხი ვის სასარგებლოდ გადაწყდებოდა. არ იცოდა, ათას მითქმა-მოთქმასაც გაკვრით შეეხო. საზოგადოებაში მოარული ხმები საფუძვლიანად ადარდებდა.

ბოლო დროს არც თუ იშვიათად ერთობლივ ღონისძიებებზე ერთმანეთს შემთხვევით ვხვდებოდით. ჩემი განდგომილობა კარგად მოეხსენებოდა. თუმცა მისთვის სალამი არასდროს დამიმადლებია, არც პირადი საქმეების მოსაგვარებლად შემიწუხებია. მოუცლელობის გამო ისიც არ იცოდა, რომელ თაობას მივეკუთვნებოდი. ფაქტია, მის „ბომონდში“ არ ვირიცხებოდი, თუმცა კავშირის ხელმძღვანელობის საქმიანობაზე რასაც ვწერდი, აშკარად ინფორმირებული იყო. არ ვიცი შემთხვევითმა შეხვედრამ განაპირობა თუ რაიმე ზეგრძნობიარე ძალამ იმოქმედა. უცებ მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ არც აცია, არც აცხელა, უცნაური რამ განმიცხადა:

– მწერალთა კავშირიდან მხოლოდ ორი თარო წამოვიღე! – წამით გუნებაში გავივლე. ძალით წაგვრილი თუ წაგლეჯილი შენობის მცველი ან წარსულიდან გამოხმობილი ენთუზიასტი აჩრდილი ხომ არ ვგონივარ მეთქი. მაგრამ ფაქტია, საჭიროდ მიიჩნია აფორიაქებულ ხელმძღვანელს ეს სცოდნოდა. თაროების შემადგენლობისა რა მოგახსენოთ ეს საიდუმლო არ გაუხმაურება. ბავშვობაში ერთ ოინბაზ გოგონასთან ვამხანაგობდი. ერთხელ სპორტულ შეჯობრში რომ დავამარცხეთ და ინტელექტუალურ პაექრობაშიც უღმერთოდ დავჯაბნე, გაბრაზებული დამემუქრა, რომ ნათესავს მომიყვანდა, ვინც აუცილებლად ჩამჭრიდა. „ბრისხანე ურჩხულის“ ცოდნის დონის ჩემზე არანაკლებ მეზობლის ბავშვებიც დაინტერესდნენ. ისინი ზურგსუკან წიგნის ჭიას მეძახდნენ და ვერ წარმოედგინათ, ჩემ გარდა დედამიწაზე მეორე „უბედური“ თუ დაიარებოდა, ვისაც გართობას წიგნით თვალებით ამოღამება ერჩივნა. მოკლედ „მოწინააღმდეგეს“ კითხვები სეტყვასავით დააყარეს და მოსთხოვეს, „ფალავნის“ განსწავლულობა დაეკონკრეტებინა.

– სახლში უამრავი წიგნი აქვს, დიდი ბიბლიოთეკის პატრონია და ნახავთ, თუ არ ჩაგჭრით! – ის თავისას გაიძახოდა.

– მაინც რამდენი წიგნი წაუკითხავს?– მოუსვენარ თანატოლებს დავასწარი და ამხანაგს გამომცდელად დავაცქერდი.

– რამდენი და, – იგი წამით დაიბნა და რიხით განაგრძო: ორი თარო წიგნებითა აქვს გამოტენილი. ყველა წაკითხული აქვს. მართლა! –

მახსოვს მაშინ ჩემი ხარხარი ბავშვებმა პირველად გაიგონეს. ეს ორი თარო ისე ჟღერდა. ამ „წვრილმანით“ მოგვრილ მხიარულებას კალმით ვერ აგიწერთ!

ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი ამდენი წლის შემდეგ ეს საკრალური ორი თარო თავს კვლავ თუ შემახსენებდა!

ასეა, როცა სახელმწიფო ტრანსპორტით მგზავრობ და შემთხვევით მწერალთა კავშირის მესვეურს გზად გადაეყრები!

თავს ვერ დავდებ, ახალთაობელი კავშირელები რამდენ თაროს დასჯერდებიან?! ერთი კია, გამოკვლევის შედეგი მათთვის არასახარბიელო სურათს ქმნიდა.

რეიტინგ-ლისტში გოდერძი ჩოხელის დაწინაურებას ესოდენ მარტივად ვერ „მოუვლიდნენ“ და ჩიხში მომწყვდეულებმა აღარ იცოდნენ სანუკვარი პირველობა რა მანქანებით გაენაღდებინათ.

კოლეგის თხოვნით ესოდენ მიკერძოებული ნეპოტიზმითა და ძმაბიჭობით დამღიერებული „გამოკვლევის“ შესაფასებლად ჩემეული დასკვნა გამოვაქვეყნე. რამდენიმე აღიარებულ კოლეგას პრინციპული, მკაცრი აზრის გამოთქმა უკვე მოესწრო.

– შენეული სიმძაფრე გვჭირდება. ვიცი, უკან არ დაიხევ. სიმართლის თქმით ბევ მომხრეს შეგვძენ! – დაჟინებით მთხოვა. სამაგიეროდ არ დაზარებია ინტერნეტში განთავსებული არც თუ ისე მცირე მოცულობის მასალა ჩემთვის დაწვრილებით (სიტყვა-სიტყვით) გაეცნო.

არასახარბიელო სურათმა დამარწმუნა, მწერალთა კავშირს თავისი საცეცები ინტერნეტშიც ძალუმად გაეშალა. ხელმძღვანელობის მიერ დაფრთიანებული „ყოჩები“ სოციალურ ქსელს საფუძვლიანად დაპატრონებოდნენ და ნაირ-ნაირი გამოკვლევებითა და შოუებით, რაც მათ უპირობო რეკლამირებას მოითხოვდა. უთვალავ ადამიანს თვალში ნაცარს აყრიდნენ.

ეს ახალგაზრდები ენერგიულობითა და ლექსის არტისტული წაკითხვის მანერით დედაქალაქს იოლად შეეჩვივნენ და მალე მათი მონაწილეობის გარეშე მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ღონისძიებები აღარ ტარდებოდა. მათ ბათუმში, პოეტურ თავყრილობაზე შევხვდი, სადაც იქაურმა პოეტმა ბელა ქებურიამ მამა პეტრე (კვარაცხელიას) შემოქმედებითი საღამო შინაარსიანად ჩაატარა. სტუმრებს სათანადოდ დაგვხვდნენ. ახალგაზრდები ქ-ნი ბელას სალონის სასურველი წევრები გამოდგნენ. ერთ-ერთი მისი ნათლული

გახლდნენ, ქ-ნი ბელა მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ახლობელი აღმოჩნდა და დიდი მისახვედრი არ არის, ენერგიული ახალგაზრდების კავშირში გაწევრიანებაზე ვინ და როგორ იზრუნა.

სხვათა შორის, ახალთაობელთა შემართება უყურადღებოდ არ დამიტოვებია და მათ პოეზიას ერთ-ერთი რადიოგადაცემა დავუთმე. ჯანსაღად მოაზროვნე ხელოვანის ვალდებულებაა დაინტერესდეს: „ჰეი, ვინ მოდის, მანდ მომავლიდან!“ ბუნებრივია, უმცროსი კოლეგებისთვის არც ჩემი წიგნები დამნანებია, თუმცა თვითონ უფრო პრაგმატულად მოიქცნენ და თამამად მირჩიეს მათი კრებულები აუქციონზე (საღამოებზე აუქციონებს მართავდნენ) შემეძინა. სხვათა შორის, ეს „ნოვაციური“ მიდგომა არ გამიპროტესტებია. ყველამ თვითონ იცის გზა როგორ გაიკვალოს და თავის დასამკვიდრებლად რა მოიმოქმედოს. ზოგს აუქციონი ხიბლავს, სხვას – ტრიბუნა. ვის ნაჩუქარი წიგნების გადაყრა და ამით ტრაბახი და ა.შ.

მოკლედ, გამოკვლევა ჩარჩულ სულისკვეთებას ასხივებდა. მეტიც ამაოების ბაზარს დამსგავსებოდა. საჭირო ქულების შესაგროვებლად პოეტები ვის აღარ აწუხებდნენ, კოლეგის მხარდასაჭერად რამდენიმე ადამიანს მეც ვთხოვე ხელი გამოეღო, თუმცა ჩემს კომენტარში განვაცხადე, რომ ამ ფარისევლურ მარათონში მონაწილეობას არ ვაპირებდი. ქულების ჩამომათხოვრებას არ ვგეგმავდი და მწერალთა კავშირის ბოლშევიკურ სისტემაში მორიგ ჭანჭიკად ჩახრახვნა მხიბლავდა. საერთოდ, ესოდენ ქორ-ვაჭრული ტიპის დღი ჩემთვის მიუღებელი იყო, რადგან პოეტების დამცირებას ისახავდა მიზნად.

ამ აურზაურმა ინგლისური დეტექტივი „ფავორიტი“ გამახსენა, რომელშიც ჟოკების დრამატული თავგადასავალი შეუღამაზებლადაა აღწერილი. სიმართლის დასადგენად შემართული მთავარი გმირი ღამის სიცოცხლეს გამოესალმა. დღღი კრიმინალურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რასაც სერიოზული მსხვერპლი მოჰყვა. არცთუ ცოტა დეტექტივი წამიკითხავს, მაგრამ დიკ ფრენსისის „ფავორიტი“ ორგანიზებული დანაშაულის ხარისხს ფართო პლანში აანალიზებს და გულუბრყვილო ხალხს აფრთხილებს ვარდისფერი სათვალე უჯრაში გადაინახონ.

მწერლური სივრცის სიღრმე არანაკლებ დრამატიზმს მოიცავს და ღმერთს დიდი გამძლეობით თუ არ დაუჯილდოებიხარ, პრემიას ვინ დაეძებს. გამორიცხული არ არის, გაუთავებელი ინტრიგები სავალალოდ შემოგვიბრუნდეს.

ჩემს მოსაზრებას უმალ გამოეხმაურნენ. მხარდამჭერი კომენტარების ქარავანი დაიძრა. გამიხარდა, მათ შორის ახალთაობელი რომ ერია; ის თავისი თანატოლების მეთოდებს გაბედულად აკრიტიკებდა და „აჯანყებულების“ პათოსს ენერგიულად უერთდებოდა. რჩეულთაგან განსხვავებით მარტოოდენ კარიერასა და კომერციულ წინსვლაზე არ გაფაციცებულიყო, ნიჭიერ მეგობრებთან ერთად მივიწყებულ პოეტებს ქომაგობდა, რის გამოც კავშირის მიღმა დარჩა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ამ ორგანიზაციის მიერ გამართულ კონკურსებში გამორჩეული ახალგაზრდების მიღება მუდმივად „ავიწყდებოდათ“. ძველი მექანიზმი შეუმცდარად მოქმედებდა. ახალ ნომენკლატურას მასწავლებლებისგან ესტაფეტა გადაებარებონა. „გაღლეტილ კავშირს“ პრემიები და პრივილეგირებული მოგზაურობები მხოლოდ იმათთვის ემატებოდა, ვინც ხელმძღვანელობის ხუშტურს მორჩილად ასრულებდა და „ხელდამსმელებს“ გუნდრუკს უკმევდა. პატრიოტობას იფიცებდნენ და ამავდროულად გოდერძი ჩოხელის პირველობა აღიზიანებდათ. აქაოდა მწერალი კაცი პოეტების სათავეში რატომ მოექცაო.

ახალი ორგანიზატორები უფროსობის მსგავსად უფასო წიგნის გამოცემას ფუყეპომპეზურობითა და მალული ოპერატიულობით გეგმავდნენ. როცა „აჯანყებულები“ დავინტერესდით გამოკვლევის უკან რა იმალებოდა. ინფორმაციის დაზუსტების ნაცვლად რეიტინგის მესვეურები გაქრნენ. ახალი რეკვიზიტები მოიმარჯვეს და კითხვებზე პასუხის გაცემა არც უფიქრიათ. სიმართლე რომ ითქვას, ბოლომდე აღარ მივყოლივარ ეს ჩარჩული ფარსი როგორ დასრულდა.

მოგვიანებით, ერთ-ერთ ღონისძიებაზე, გამოკითხვის ორგანიზატორმა და გამომცემლობის აწ უკვე ყოფილმა დირექტორმა მისაყვედურა, შავი დღე რატომ დავაწიე.

ისეთი ფრონტი გამიხსენი, ბევრი პოეტი გადამიდგა. ეს რატომ გამიკეთე? – მისალმებისთანავე დაიწუწუნა, რაზეც მივუგე, ჩემი წიგნები წაკითხული რომ ჰქონოდა, მსგავსი შეკითხვის დასმა აზრადაც არ მოუვიდოდა.

ჩემი შეხედულება, რომ მწერალთა კავშირში (და არა მხოლოდ ამ სამწერლო ორგანიზაციაში) არავის წიგნს არ კითხულობენ, ახლახანს კიდევ ერთხელ დადასტურდა. მწერალთა კავშირის მიერ ჩატარებულმა გურამ რჩეულიშვილის სახელობის ახალგაზრდა მწერალთა კონკურსმა ამაზრზენი სიმართლე გამოამზეურა. აქ მომხდარ საყოველთაო სირცხვილს ახალგაზრდა, ნიჭიერი და გაბედული (ერუდირებული თავისთავად!) პოეტი ლექსო დორეული გამოეხმაურა და ამ ორგანიზაციაში დაკანონებული სისტემის სიმახინჯე წარმოაჩინა.

ფაქტია, ვაჟა ფშაველას ას ორმოცდათი წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული პრემია იმ წიგნს მიეკუთვნა, რომელიც არც მეტი და არც ნაკლები, დაჯილდოებიდან ერთი თვის შემდეგ გამოიცა!

ურყევზე ურყევი ფაქტია აგრეთვე, რომ სახელმოხვეჭილი არგენტინელი მწერლის: ალვარო იუნკეს ცნობილი მოთხრობა: „საფრთხობელები“ ვიღაცამ პირწმინდად მიითვისა და ეს პლაგიატი ჟიურის მხედველობიდან გამორჩა. მსოფლიო დონის ნაწარმოები მწერალთა კავშირის მიერ დაბეჭდილ ალმანახში „ალავერდი“ პერსპექტიული ავტორების ოცეულშიც ვერ მოხვდა. პლაგიატის „გამიამასქნებელს“ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ვერ გაითვალისწინა, რომ ცნობილი მწერლებით დაკომპლექტებული ჟიური „პირზერძეშეუმშრალი“ დებიუტანტების ნაცოდვილარში შედევრს ამოიცნობდა, რომელსაც სხვათა შორის, სათაურიც კი არ ჰქონდა შეცვლილი. როგორც ჩანს პლაგიატის ავტორი ფავორიტად არ მოიაზრებოდა და შურისგების ლიტერატურულ სცენარს შემაშინებელი სერიოზულობით მოეკიდა რათა „ხელდასმულთა“ ცოდნის ხარისხი საჯაროდ გამოემზეურებინა!

საეჭვო ფაქტებით ჟონგლირებამ ბოლშევიკურ ყაიდაზე აწყობილი კავშირი საერთაშორისო სკანდალში გახვია.

ვაი სირცხვილო! ვინ ვინ და ამ კავშირის ნამდვილი სულისჩამდგმელი და დამაარსებელი, დიდი მამულიშვილი და პოეტი, თანამედროვეთაგან „ლიტერატურულ სინდისად“ წოდებული კოტე მაყაშვილი ალბათ საფლავში ბრუნავს, ქართველ მწერლებს საქვეყნოდ ჩირქი, რომ მოეცხო. თანაც ვისგან! მისმა „მემკვიდრეებმა“ წინაპრისგან ერთადერთი რამ უცვლელი თავმჯდომარეობის სურვილი შეითავისეს და თანამდებობასთან (და არა პასუხისმგებლობასთან!) გამოთხოვება შემზარავი მოვლენის განვითარებამაც ვერ გაუქარწყლა.

ახალგაზრდა პოეტისა და კრიტიკოსის სამართლიანი მოთხოვნა, რომელიც მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას მოუწოდებდა უმძიმესი შეცდომის აღმოსაფხვრელად (თუკი ეს შესაძლებელია?!) მათ ბოდიში მოეხადათ ქართველი ხალხის, არგენტინის მთავრობისა და საზოგადოების წინაშე, „ალავერდის“ დარჩენილი ტირაჟი გაენადურებინათ და სამსახურებრივი გულგრილობისა და უპასუხისმგებლობის გამო ამ ორგანიზაციაში დაკავებული თანამდებობებიდან გადამდგარიყვნენ, ისე აღიქვეს, როგორც „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

რომ იტყვიან, ყურიც არავის შეუბერტყავს. კულუარებში ცხარე დაპირისპირებასა და ინტრიგებში გამობრძმედილ გვარდიას ოდნავაც არ ადარდებს მათი უწიგნურობა საქვეყნოდ რომ გამომჟღავნდა და ეს „წვრილმანი“ ახალგაზრდობას უმალ თვალში ეცა.

როგორც ჩანს მწერალთა კავშირში წიგნისადმი სიყვარული ცოდვის ტოლფასია!

სხვათა შორის, მავანმა ახალგაზრდა „მეამბოხის“ წაქეზებაში შარი რომ არ მოგვდოს, საინტერესოა მწერალთა კავშირის ღვაწლმოსილი, უხუცესი წევრი. მეცნიერი და მწერალი ბ-ნი რეზო კვერენჩხილაძე, რომელიც სამოცი წელია აქ მუშაობს, თავის მეორე ოჯახზე რას წერს. სამწერლო-სალიტერატურო ცხოვრებაში უშუალო მონაწილეობამ მას უბიძგა საქართველოს სამწერლო-გაერთიანება-ორგანიზაციათა ისტორია საფუძვლიანად შეესწავლა და გამოეკვლია. ამ თემას ეძღვნება რეზო კვერენჩხილაძის 100-მდე წერილი და ბოლო დროს გამოცემული ვრცელი სოლიდური ნაშრომები: „საქართველოს მწერალთა კავშირი 1917-1982“ („მერანი“, 1983) „XX საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრება“ („უნივერსალი“, 2008), აგრეთვე „ქვიშხეთის ხიბლი“ („უნივერსალი“, 2009) და ახლახანს დაბეჭდილი სქელტანიანი წიგნი „მეოცე საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრების მესვეურნი“. „ახალ პირობები მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა რეორგანიზაციას უნდა შესდგომოდა. თითქოს კიდეც დაიწყეს, კერძოდ, მრავალრიცხოვანი კავშირი მხოლოდ სიტყვაკაზმული მწერლობის შემქმნელთა (ბელეტრისტთა, პოეტთა და დრამატურგთა) ორგანიზაციამდე უნდა დაეყვანათ, მაგრამ ბოლომდე ვერ მიიყვანეს. პირიქით, გაზრდა დაიწყეს, უკანასკნელ წლებში კი უფორმო მასად აქციეს. თავმჯდომარის ხელფასიანი მოადგილეების რაოდენობაც გაადიდეს.

ერთი სიტყვით, ვერც დროის გამოწვევას გაუმკლავდნენ და ვერც მლანძღველებს გასცეს დასაბუთებული პასუხი.

ამის მიზეზი მარტივია: არათუ ფართო საზოგადოებამ, არამედ მწერლების უმრავლესობამ, მათმა ხელმძღვანელებმაც არ იციან თავიანთი შემოქმედებითი ოჯახის ისტორია“.

მკითხველს მწარედ გაეღიმება. თანამედროვე მწერლებს თურმე მოწოდება არ გააჩნიათ, კითხვაზე უკაცრავად და აცრილები არიან და ყველა სიკეთესთან ერთად მშობლიური ორგანიზაციის შექმნის მიზანი და დანიშნულება ყურმოკრულადაც არ სმენიათ!

ამდენი რამ რომ გაეთვალისწინებინათ, ეგებ ოდნავი რიდი დაჰყოლოდათ. ვის ნამემკვიდრალ შენობაში დააბიჯებენ, რომელი წინაპრის აჩრდილს ეხმიანებიან და ვის სავარძელში მოკალათების სურვილი ახრჩობთ! კომუნისტური დროის მაღალჩინოსანმა მათ სულში როდის დაიბუდა და ყალბი ჯილდოების პრემიებისა და კონკურსების მანიამ ძირითად საქმეს წერა-კითხვას როდის მოსწყვიტა!

პლაგიატი რომ თავიდან აიცდინო, სულ მცირე ახალი პროლეტმაფია არ უნდა ჩამოაყალიბო და ნამდვილ მწერლებს (ნაკითხს მაინც) უვიცი ადამიანები სისხლისმსმელი მოხელეებივით არ მიუსიო: ცოდნის გვერდის ავლით კარიერას, ჰონორარს, პრემიასა და მსუყე გასამრჯელოს არ დახარბდე!

კომუნისტური წნეხი ხელოვნურად არ გაახანგრძლივო. გულგრილობითა და უპასუხისმგებლო საქციელით მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ღირსება სირცხვილად არ გადააქციო, ყველგან მეუფების ავადმყოფური ჟინი დათრგუნო, დიდების წრეგადასული წყურვილის გადამკიდემ კითხვაზე ხელი აიღო და მხოლოდ საკუთარი „სიბრძნის“ ხორცშესხმით დაკავდე.

ზოგადად ლიტერატურულ სივრცეში განსაკუთრებით კი მწერალთა კავშირში უცხო ნამდვილად არ ყოფილა სხვისი ნიჭით შეწუხებული ხელოვანების ენერგიული ჩარევა არასასურველი მეტოქის თავიდან მოსაშორებლად.

წიგნში „მეოცე საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრების მესვეურნი“ („უნივერსალი“, 2012), ვკითხულობთ:

„ცნობილია, რომ სიმონ ჩიქოვანი ბევრს ჯაბნიდა მწერლობისა და მხატვრობის ცოდნით, საერთოდ ჭკვიანი კაცი იყო და მასთან საუბრისას ბევრი მწერალი იჩრდილებოდა. ერთხელ ამით გაღიზიანებულ, რომელიღაც მწერალს სიმონის მეგობრის ა. სულაკაურისთვისაც კი უთქვამს, თუ ძმა ხარ, უთხარი რა გააჭირვა საქმე. სუფრაზეც არ ისვენებსო. ყველაფერმა ამან გამოიწვია ს. ჩიქოვანის საყვარელი საქმიდან, წარმატებული რედაქტორობიდან ჩამოცილების გაუმართლებელი გადაწყვეტილება“.

რა გასაკვირია წიგნთან ურცხვად და აფრაკად მყოფ მწერლებს ელვარე ნიჭითა და განსწავლულობით გამორჩეული თანამოკალმის „გასანეიტრალებლად“ თადარიგი დაეჭირათ და ორგანიზებული ინტრიგის დახმარებით თავიანთი წრიდან არასასურველი მოწმე განედევნათ. საიდან უნდა სცოდნოდათ, რომ სიმონ ჩიქოვანის პიროვნული პატიოსნება და თავგამოდება რომ არა, რეპრესირებული მწერლის, ლევან გოთუას შესანიშნავი რომანი „გმირთა ვარამი“ ციხის კედლებს ვერ გასცდებოდა და მომავალ თაობებს პლაგიატების ნაჯღაბნის გარდა არაფერი შერჩებოდათ! არც არგენტინელ ალვარო იუნკეს აღადგენდნენ მკვდრეთით და კავშირის ათასმეერთე წევრობის კანდიდატად არ გაამწესებდნენ!

დემოკრატიული „მიღწევების“ მიუხედავად ჯერ კიდევ შეუძლებელია გამოუცემელი წიგნი წინასწარ კლასიკოსი მწერლის პრემიით დააჯილდოვო და ამ ჟესტით თავი მოიწონი. პლაგიატები დააფრთიანო, მწერლებს სირცხვილი შეამთხვიო და თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ხუთკაციანი ორგანიზაცია წარბშეუხრელად მართო!

XXI საუკუნეში მარადიული თანამდებობები ჩამორჩენილ ქვეყნებშიც უქმდება. რაღა ჩვენ გაგვიწყრა ღმერთი დაქვეითების მიუხედავად ყველაფერი პირწმინდად დავივიწყოთ. რეფორმების ჩატარებას სიკვდილის შიშს გავუთანაბროთ და სულ მცირე, რიგგარეშე ყრილობა მოვიწვიოთ, სადაც კავშირის ბედი ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდება. როცა კავშირის ყველა თაობის წევრს ორგანიზაციაში არსებული უვარგისი სისტემის მიმართ საფუძვლიანი პრეტენზია გააჩნია. არჩევნებს წინ რა უდგას? ცვლილებებს როდემდე უნდა გავურბოდეთ? როდის შევიგნებთ, რომ მავანთა უპასუხისმგებლობასა და გულგრილობას ქართული მწერლობა არ გადავაყოლოთ, უწიგნურთა პარპაშის გამო მწერლობას სახელი ებღალება. ფსევდოხელოვანთა აღვირახსნილ თარეშს ბოლო ხოლო ხომ უნდა მოეღოს?! საბჭოური იდეოლოგიის შხამი თავისით არ გამოიწურება და ფაქტია, კანონიერ ქმედებას გზა უნდა გაეხსნას. უფორმო მასად ქცევის საფრთხე რეალურია, როდესაც პლაგიატი წახალისებულია და უხვი პრემიებითა და ჯილდოებით განებივრებული ხელმძღვანელები წიგნების წასაკითხად თავს ოდნავაც აღარ იწუხებენ!

იკა ქადაგიძე

ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“

30/X/2012წ.

ჩემი მოწყენილი კარგი ქვეყანა

„ღმერთო, მიეცი გონი ქართველებს“

ვაჟა ფშაველა

„აწყმო თუ არა გვწყალობს“...რას გვიქადის ჩვენი მომავალი? ძველნი მიდიან და ახლები შეძლებენ კი დიდების წლების აღდგენას?

როდემდე დავრჩებით განვითარებად, უბადრუკ ქვეყნად, სადღაც აფრიკისა თუ ცენტრალური ამერიკის ქვეყნებს შორის ჩაკარგულნი?

თითქოს კარგად ვხედავთ, რაც დაგვემართა. ისიც კარგად ვიცით, თუ როგორ განადგურდა ქვეყნის ეკონომიკა, განათლება, კულტურა, მეცნიერება, მორალი... თვალით ვიხილეთ და კანით შევიგრძენით ყველა ის უბედურება, რაც ჩვენს თავს დაგვატყდა, მაგრამ გონით ვერ მივწვდით ბოლომდე იმას, რომ ერთ მთავარ კითხვას ვუპასუხოთ:

„რატომ მოხდა ის, რაც მოხდა?“

ეს ძალზე რთული კითხვაა და მასზე პასუხი დიდ გონს მოითხოვს!

უბრალოდ, მარტივად რომ ვთქვათ, „კაპიტალიზმის ქარიშხალმა“ ჩაგვიქროლა, ხალხის ერთი, თუნდაც მცირე ნაწილი სინდისისგან გარეცხა, მეჯღანუაშვილები გახადა და დაიწყო დაუნდობელი, ძმათმოძულე ომი ქვეყნის დოვლათის ხელში ჩასაგდებად!

დაიწყო უსინდისო პრივატიზაცია, რაც ეკონომიკის სრული განადგურებით დამთავრდა. ქვეყნის ძირითადი შემოსავალი ჯართის გატანა გახდა, ხოლო ბიზნესმენთა მთავარ სპეციალობად სპეკულანტობა გახდა. აყვავდა ელიტარული კორუფცია და გაღატაკდა ხალხის უდიდესი ნაწილი.

იფეთქა ომმა აფხაზეთში!

სეპარატიზმი? სისულელეა! ყოველთვის იყო და არის ყველა ეთნიკურ ჯგუფში პრეზიდენტობის მსურველნი, რომლებიც „დამოუკიდებლობის“ დროშის ფრიალით ძალაუფლებისკენ მიილტვიან. ასეა აფხაზეთში, სამაჩაბლოში და ჯავახეთშიც. მაგრამ თუ მათ დიდი ფინანსური მხარდაჭერა არ ექნათ, სეპარატიზმი მიყუჩებული იქნება სადღაც სოფლის შეკრებების დონეზე.

მაშ, რატომ იფეთქა ომმა აფხაზეთში? ვინ ააფრიალა „დამოუკიდებლობის დროშა“?

მარტივი გათვლებით ჩანს, რომ აფხაზეთის ერთწლიანი ომი არძინბას სეპარატისტებს მხოლოდ საომარი მოქმედებებისთვის სულ ცოტა 5 მილიარდი დოლარი უნდა დასჯდომოდა. ამ ფულის ძირითადი მასა რუსი გენერლებისა და რუსეთიდან შემოსეული დაქირავებული ბოევიკების თუ სეპარატისტ გენერლების ხელში გადავიდა. თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ არძინბა მულტიმილიარდერი გახდა, ხოლო მისი ერთგული გენერლები – მილიონერები, აფხაზეთში შესული თანხა შესაძლოა ათეულ მილიარდსაც კი აჭარბებს!

და აქ კიდევ ერთი საინტერესო კითხვა იბადება: **„საიდან შემოვიდა ეს დიდი და საქართველოს დამაქცევარი ფული აფხაზეთში?“**

ცხადია იქიდან, სადაც დიდი ფულია! რუსეთის მთელი ბიუჯეტი იმ დროს 30 მილიარდს არ აღემატებოდა და პირიქით, რუსეთი საკუთარი დამშეული გენერლების დასაშოშმინებლად აფხაზური ფულის ნაწილზე უარს არ იტყოდა. ამდენად, ფული ოკეანისგაღმელებმა შემოგვიგდეს თურქეთის გავლით, მაგრამ რატომ გაიღეს ეს თანხა?

ამერიკელების ქველმოქმედებაზე საუბარი ზღაპარია. ფულს იქ არავინ იხდის, თუ სრულიად გარკვეული მიზანი არ არის მისაღწევი!

1983 წელს ერთმა ჩემმა ამერიკელმა მეგობარმა მითხრა, რომ **ამერიკის მთავარი სტრატეგიული მიზანია რუსეთის მეზობლად ისეთი ზესახელმწიფოს შექმნა, რომელიც მას დაუპირისპირდება**. ამიტომ, ჩინეთის „კულტურული რევოლუცია“ მათ დაახლოებით 8 მილიარდი დოლარი დაუჯდათ, ირანში დემოკრატიის შეტანა და შაჰის ტახტის გამყარებას კი რამდენიმე ათეული მილიარდი დოლარი შეეწირა, თუმცა არაფერი გამოუვიდათ და ეს ფული დაიკარგა. მათი ბოლო იმედი თურქეთია (უკრაინის იმედი არა აქვთ) და რადგან თურქეთი ღატაკი და დაბალგანვითარებული ქვეყანაა, მის ბიუჯეტს ყოველწლიური დახმარების სახით გამოუყვეს ოცდაათი მილიარდი საჩუქრად, რათა ეკონომიკურად მოძლიერდეს, ზესახელმწიფო გახდეს და რუსეთთან დაპირისპირება შეძლოს. თუმცა, მას აუცილებლად სჭირდება საკუთარი ტერიტორიის გაფართოება ყირიმიდან დაწყებული, მთელი კავკასია და მასთან ერთად თურქმენეთი და ყაზახეთი. სწორედ ამ შემთხვევაში გახდება ის ზესახელმწიფო!

შევეკამათე და ვკითხე: „ეს რა სულელური გეგმაა. განა არ იცით, რომ ამ შემთხვევაში საბჭოთა კავშირი კი არა, თვით რუსეთი განადგურდება და დაგავიწყდათ, რომ მათ ატომური ბომბი აქვთ და **და შეიქმნას ზესახელმწიფო თურქეთი, რომელმაც ხელში უნდა ჩაიგდოს ნავთობითა და გაზით მდიდარი ტერიტორიები და დაუპირისპირდეს რუსეთს!**

ამ ამოცანის შესრულებას ნატო ვერ შესძლებს, რადგან რუსეთთან დიდი სამხედრო დაპირისპირება ყველასთვის ძალზე სახიფათოა. ისევ დიდი ფულის ინვესტირება გახდა საჭირო სეპარატიზმში, რაც აფხაზეთსა და ჩეჩნეთში წარმატებით განხორციელდა.

როგორ უნდა აღუდგეს რუსეთი ამერიკელების გეგმას? ცხადია, ის ამერიკელებს ფულით ვერ აჯობებს და ისევ თავილის მოსაგებად კი მამათმავლებსა და ლესბოსელებსაც კი აიტანს, რომ როგორმე „ნატოში“ შეძვრეს, თუნდაც ავღანეთში დაღვრილი სისხლის ფასად.

ეს გზა კი დამღუპველია. ერთადერთი გზა, რაც დაგვრჩენია, **უნდა ვაღიაროთ ოჩამჩირის ბაზის არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე და აფხაზეთსაც დავიბრუნებთ და ცხინვალის რეგიონსაც**.

ცხადია, ეს ძალიან ცუდია, მაგრამ სხვა გზა არ არსებობს და როგორ გავაგებინოთ ეს ქართველებს, რომელთა მოზრდილი ნაწილი გამდიდრებაზე ოცნებობს და მზადაა ევროპასაც და ამერიკასაც ფეხქვეშ გაუწვეს, სამადლოდ გადმოგდებული ცენტების ნაცვლად, ხალხს, რომელიც აღტაცებით შეხვდა ახალქალაქიდან და ბათუმიდან რუსული ბაზების გაყვანას და გონი არ ეყო მიმხვდარიყო, რომ **ეს ბაზები აფხაზეთში შემოვიდოდა**.

თურქულ-ამერიკულ ზრახვებს წინ მხოლოდ ქართველთა გონი აღუდგებოდა და ისევ ბრძენი ვაჟას ვედრება გაიხსენეთ: **„ღმერთო, მიეცი გონი ქართველებს“**.

თუმცა, მტრის ზრახვების განსახორციელებლად, მათ ჯერ ინტელექტი უნდა „ჩაერეცხათ“ საქართველოში და სწორედ ამიტომ გაანადგურეს განათლება, მეცნიერება და კულტურა. ამასთანავე, საჭირო იყო ქვეყნის ეკონომიკის განადგურება და შემოგვისიეს ინვესტორები, დაიტაცეს მიწები, გაანადგურეს წარმოებები და მხოლოდ შარაგზების დაგება მოგვთხოვეს, ნარკოტრანსპორტის გასატარებლად. არც სამშენებლო ბუმს ერჩიან, რათა შემოსულ თურქებს, ინდოელებს თუ ჩინელებს საცხოვრებელი ჰქონდეთ. უკეთესი, თუ ქართველები საზღვარგარეთ გაიქცევიან, რადგან მაშინ მართლმადიდებლობასაც ადვილად მოერევიან.

და თუ ასე გაუბედურდა ეს ქვეყანა და ხალხის უდიდესი ნაწილი, როგორ აღმოცენდა ამ გაუბედურებულ მიწაზე 10 მილიარდერი?

არ გჯერათ? თვით პრეზიდენტმა სააკაშვილმა ასე განაცხადა ამ რამდენიმე წლის წინ გერმანელ კორესპონდენტ გედეონ რიხტერისათვის მიცემულ ინტერვიუში.

ორი მილიარდერი ყველასთვის ცნობილია, მაგრამ ვინ იყო დანარჩენი რვა? მათ შორის თავის თავს და მის წინამორბედ პრეზიდენტსაც ხომ არ გულისხმობდა ბატონი მიშა? იქნებ დღეს მაინც ჩამოგვითვალოს ის მილიარდერები, რომლებიც ამ ეკონომიკურად გაპარტახებულ მიწაზე აღმოცენდნენ?

მაინც, რატომ არ გვიმხელს ოფიციალურად ჯერ კიდევ პრეზიდენტი იმ რვა მილიარდერის ვინაობას? მათ შორის თვითონ რომელ ადგილზეა?

ჩვენი ორი მილიარდერი, როგორც ვიცით, რუსეთში შეიქმნა, მაგრამ დანარჩენმა რვამ ამ გაღატაკებულ ქვეყანაში როგორ მიაღწია იმ აურაცხელ სიმდიდრეს? მგონი ერთი მათგანი დღეს ციხეშია, სასამართლოს მოლოდინში. დანარჩენებს იგივე ბედი ხომ არ ელის?

თუმცა, რადგან ორი მილიარდერი პრეზიდენტის გამოცნობა ადვილია, ხოლო ერთი მილიარდერი ციხეშია, კიდევ სულ ხუთი მილიარდერის დასახელებაა საჭირო და სანამ პოსტი გიკავიათ, იმ მილიარდერებს და მილიონერებს მოსთხოვეთ ის უკანონოდ მითვისებული დიდძალი თანხა და იქნებ საქართველოც გათავისუფლდეს იმ მარწუხებისგან, რომელსაც „სავალუტო ფონდი“ და „მსოფლიო ბანკი“ ჰქვია.

უცხოელთა „ინვესტიცია“ და „ინტერვენცია“ ერთი და იგივეა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ერთი ფულით გიპყრობს და გაღატაკებს, მეორე კი ცეცხლით და განგრევს. ამდენად, ძალზე მიკვირს პოლიტიკოსებისა თუ ეკონომისტ-ექსპერტების განცხადებები: **„უცხოელების ინვესტიცია გადაგვარჩენსო!“**

არ მჯერა „კეთილშობილი ინვესტორების“, გინდ ამერიკელი იყოს და გინდ არაბი თუ ჩინელი. მათი ჩადებული ყოველი დოლარი საკუთარი დიდი მოგებისთვისაა გამიზნული, რომლის გარკვეული ნაწილი ქართველი კორუმპირებულების ჯიბეში გადადის, თორემ ვითომ ჩვენს მილიარდერებს დაასწრებდნენ საკუთარ ქვეყანაში ინვესტირებას? ინვესტიცია-

სასოწარკვეთილებამდე თუ მივიდნენ, მთელი მსოფლიო განადგურდება!“

„მე ეს ვიცი და სწორედ ამიტომ გეუბნები ამ სტრატეგიული გეგმის შესახებ“ – მიპასუხა ჩემმა მეგობარმა პროფესორმა. შემდეგ, რამდენიმე წერილიც გამოვაქვეყნე ამის შესახებ (მაგალითად, წერილი „ორ ზღვას შუა საომარი იყო ლელო“ რუსულადაც კი გადათარგმნეს და ინტერნეტშია მოთავსებული). თუმცა ჩვენი პოლიტიკოსებისა და პოლიტოლოგ-ექსპერტების ყურადღების საგანი ეს ვერ გახდა. ეტყობა, იქაც ამერიკული დოლარის სუნი ტრიალებს და მათაც თავგზა აებნათ.

1996 წელს ჩემი ამერიკელი მეგობრის ბოლო ვიზიტი შედგა საქართველოში და ვკითხე: „როგორც ვხედავ, ამერიკელები მცდელობას არ აკლებენ იმ სტრატეგიული მიზნის განსახოეციელებლად. მითხარი, მაინც რა დაუჯდა ამერიკას საბჭოთა კავშირის დაშლა?“

„დაახლოებით 3-4 ტრილიონი დოლარი“ – მიპასუხა და დაამატა. „ჩვენ მოვისყიდეთ მთელი სახელისუფლო ვერტიკალი პოლიტბიუროდან დაწყებული რაიკომის მდივნებამდე, რომ დანგრეულიყო ეკონომიკა. მათ ჩვენი რეკომენდაციებით უნდა ემართათ ქვეყანა და მიზანსაც მივაღწიეთ, თუმცა, ეს დიდი ხიფათის მომტანია“.

დიახ, გორბაჩოვის და მისი კლანის მილიარდერობას შეეწირა საბჭოთა კავშირი. მას მხოლოდ დიდი ფულის „ინვესტიცია“ შესძლებდა.

მახსენდება, 1993 წელს ჩემი მოსკოველი მეგობარი პროფესორი ვლადიმერ კოშელევი ჩამოვიდა, რომელიც კოროლიოვის ცნობილ ფირმაში სამეცნიერო პერსპექტიული განვითარების განყოფილებას ხელმძღვანელობდა და ძალიან დიდი დახმარება გამიწია უნივერსიტეტში ლაზერების სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის შექმნაში. თავისი გაჭირვება მომიყვა. თურმე, ამ ფირმაში 28 ამერიკელი მენეჯერი ჩამოსულა და ის განაგებს, თუ როგორ უნდა განაწილდეს მათ მიერ ჩამოტანილი ფული. ხელფასს თანამშრომლები კვარტალურად იღებდნენ მას შემდეგ, როცა ცეერუ მათ ანგარიშებს შეისწავლიდა..

ალბათ ხვდებით, თუ რა შეუძლია დიდი ფულის ინვესტიციას. სწორედ ისაა ჩვენი მთავარი, მოსისხლე მტერი, მაგრამ **რატომ ჩადო აფხაზეთში მილიარდები ამერიკამ საქართველოს გასაუბედურებლად?**

ესეც ადვილი მისახვედრი უნდა იყოს: უპირველეს ყოვლისა, უნდა გაწყვეტილიყო ეკონომიკური ძარღვი, რომელიც რუსეთს ამიერკავკასიასთან აკავშირებდა, მოწყვეტოდა მას საქართველო და სომხეთი ჯერ ეკონომიკურად, შემდეგ პოლიტიკურად. სომხეთში „ყარაბახის ომი“ ჯერაც არ დამთავრებულა და არც აფხაზეთის კონფლიქტს უჩანს ბოლო. აფხაზეთი სწორედ ის „შლაგბაუმია“, რომელიც ამერიკელებმა ჩაკეტეს მრავალი მილიარდის ფასად. მიზანი კი ერთია: **უნ**სი ჯარისკაცების იმედი აქვს. მათი მთავარი მიზანი კი კავკასიისა, და, პირველყოვლისა, საქართველოს ტერიტორიის მკაცრი კონტროლია, რათა აქ ვერც ნატო შემოვიდეს და ვერც ამერიკული იარაღი.

სწორედ ეს იყო 2008 წლის სამდღიანი ომის მიზეზი. რუსებმა სწორედ ის წერტილები დაბომბეს, სადაც ამერიკელების მიერ შემოტანილი იარაღი იყო, ხოლო აფხაზეთს მხოლოდ იმისთვის მისცეს სხვების მიერ არაღიარებული დამოუკიდებლობა, რომ მეორე დღესვე, როგორც დამოუკიდებელ ქვეყანასთან, ხელშეკრულება დაედო ოჩამჩირის სამხედრო ბაზის შექმნაზე, რაც, რუსული ტელევიზიის ინფორმაციით, 40 მილიარდი რუბლი უჯდებათ! მამისონზე დადგმული რადარით მათ თურქეთის მთელი ტერიტორიის გაკონტროლება შეუძლიათ. ცხინვალის რეგიონი კი მხოლოდ საჭირო შემთხვევაში გამოდგება თურქეთთან სამხედრო დაპირისპირების შემთხვევაში.

მახსენდება, სამი წლის წინ ერთმა კასპელმა მითხრა: „ვერ წარმოიდგენთ, თუ რა ხდება კასპში. ყოველ ღამეს, რამდენიმე დიდი ტრაილერი ჩაუვლის კასპს ჩვენი პოლიციელების თანხლებით და გაუყვება გზას მანგლისის ტყეებისკენ. იქ ტყე შემოღობილია და ჩვენი მონადირეებიც ვერ შედიან“.

გავიდა სულ ორიოდე კვირა და „კავკასიის“ ეთერში გაჩნდა მორბენალი სტრიქონი, სადაც მანგლისის რაიონის ერთ-ერთი სოფლის მკვიდრი იუწყებოდა, რომ დილით ორი რუსული თვითმფრინავი შემოფრინდა და დაბომბეს ტყის ნაწილი და სოფლის გარეუბანი. ამ დაბომბვას ორი მცხოვრები შეეწირა და რამდენიმე დაიჭრა. აქუბარდიას ყურადღება არ მიუქცევია ამ ინფორმაციისთვის, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, მეორე დღეს ვეძებე და მასმედიაში ვერ ვიხილე ამის დამადასტურებელი ინფორმაცია. ყველა გაჩუმდა, თითქოს არც არაფერი მომხდარა.

მოხდა კი ის, რომ **რუსებმა ჩვენც და ამერიკელებსაც გვითხრეს, რომ თუ იარაღი გამოჩნდება, მას აუცილებლად გავანადგურებთო!**

ცხადია, სამხედრო დაპირისპირებას თურქეთი ვერ გაბედავს, მაგრამ ამერიკული ფულით საქართველოს დაპყრობას ნამდვილად შეეცდება. დაპყრობის გზა კი ერთი თურქული ანდაზით გამოიხატება: „რატომ ებრძვი, გულში ჩაიხუტე და ისე მოახრჩვე“.

სწორედ ამიტომ შემოგვესივნენ „მოღიმარი“ თურქები ჯერ აჭარასა და თბილისში, ხვალ კი, თუ მესხეთიდან განდევნილი თურქების შემოსახლება დაიწყო, ჯავახეთი და მთელი სამხრეთ საქართველო მათ ხელში გადავა, თუ სომხებმა არ ივაჟკაცეს. დოლარის შემყურე ქართველების იმედი კი ნამდვილად არა მაქვს.

რა ქნას ამ გაუბედურებულმა საწყალმა საქართველომ? ის ისევ ამერიკულ დოლარს შესციცინებს, ევროპელების გუ-

ბით რუსებმა ენერგეტიკა ჩაიგდეს ხელში, არაბებმა, თურქებმა და კიდე მრავალმა გადამთიელმა საქართველოს მიწები და ტყეებსაც მუსრს ავლებენ. უფრო მეტიც! ებრაელმა თუ არაბმა ინვესტორებმა ქართლში იყიდეს მიწა, რამდენიმე ჰექტარზე მოხსნეს ზედა ნოყიერი ფენა და გემებით გაზიდეს! ჩვენი მიწა-წყალი ზოგმა თოფით მიიტაცა, სხვამ კი დოლარით და მართლაც **რა განსხვავებაა ინვესტიციასა და ინტერვენციას შორის?** ორივე შემთხვევაში დაპყრობილები ან განდევნილები ვართ საკუთარი მიწიდან!

გემახსოვრებათ, ბრძენმა ილიამ სათავადაზნაურო ბანკი დააარსა, სომხებისთვის მიყიდული მიწები რომ დაებრუნებინა. ჩვენ კი, ათი მილიარდერის პატრონს, ნუთუ საკუთარი მიწების დაბრუნება არ შეგვიძლია?

კიდევ კარგი, პარლამენტმა მორატორიუმი გამოაცხადა 2015 წლამდე მიწების გაყიდვასთან დაკავშირებით და თუ სამართლიანობამ ნამდვილად გაიმარჯვა, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული მილიარდები ქვეყნის ბიუჯეტს დაუბრუნდება.

სამაგიეროდ, ევროპელობა გვინდა და ბარბაროსებივით ვიქცევით. ევროკავშირისკენ მივილტვით და უნივერსიტეტებს ვინღა ჩივის, საშუალო სკოლაც კი გავანადგურეთ, მეცნიერება კი სულს ღაფავს უსახსრობის გამო.

მახსოვს, სამოციანი წლების მიწურულს ფრანგი ახალგაზრდობის დიდი გამოსვლა იყო დე გოლის მთავრობის წინააღმდეგ. მაშინ დე გოლმა ფრანგებს მიმართა: „მე მესმის თქვენი, რომ გსურთ ამერიკელებივით იცხოვროთ, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ თუ ამერიკელებივით ცხოვრება გინდათ, ამერიკელებივით უნდა იმუშაოთ. არ შეიძლება ფრანგულად იმუშაოთ და ამერიკულად იცხოვროთ“.

ჩვენ რა გვინდა? ვიყოთ ქართველები და ამერიკულად ვიცხოვროთ? რადგან ევროპელები ვართ, ინგლისელებივით მუშაობა შეგვიძლია თუ სკანდინავიელებივით შრომა, მათ მსგავსად რომ ვიცხოვროთ?

კარგია ევროკავშირისკენ სწრაფვა, მაგრამ მათ რაში ვჭირდებით? ჩამორჩენილი, განვითარებადი და გაუბედურებული ქვეყნის მძიმე ტვირთად „აკიდება“ მათ რაში აწყობთ, როცა საბერძნეთი, პორტუგალია და ესპანეთიც კი მათი „საბიუჯეტო ორმოდან“ ამოსათრევია? მათ დიდად არც ალბანეთი და რუმინეთ-ბულგარეთი აინტერესებთ და არც ბალტიისპირეთის ქვეყნების კეთილდღეობა და ჩვენ რატომ გვაქვს მათი იმედი? ვერ ვხედავთ, თუ რა „სიმშვიდეა“ დღეს ევროპაში, სადაც 27 ქვეყნიდან 23-ში დიდი საპროტესტო გამოსვლებია ცხოვრების დონის გაუარესების გამო?

რას ველით ნატო-სგან? ვითომ ნატოში შესვლით ის ისეთ ფრთებს გადმოგვაფარებს, რომ ვერც ერთი ჩვენი მეზობელი კენჭის გადმოგდებასაც კი ვერ გაბედავს?

მაინც, რანი ვართ ეს ქართველები, რომ მთელი მსოფლიო თავს ასე გვევლებოდეს?

წარსულში კულტურული, განათლებული ერი, რომელიც თანდათან კულტურასაც კარგავს და განათლებულობასაც!

გადარჩენისათვის ჩვენს თავს ჩვენვე უნდა მივხედოთ, სანამ ჯერ კიდევ ინტელექტუალური პოტენციალი შემოგვრჩენია, მაგრამ ამისათვის პირველ რიგში განათლება, მეცნიერება და კულტურა უნდა გადავარჩინოთ. ქვეყნის ეკონომიკასაც მხოლოდ განათლებულობა ააღორძინებს. **დღეს კი, ჩვენი ქვეყანა ის ყანაა, რომელზედაც გადამთიელი თავიანთი რეკომენდაციებით რასაც უნდა იმას თესავს (ინვესტიციებით და რეკომენდაციებით) და რასაც ვიმკით, ჩვენს დღევანდელ ცხოვრებას კარგად ეტყობა**.

ერთადერთი იმედია, ღმერთს გონი ვთხოვოთ და ვირწმუნოთ, რომ ბატონ ბიძინა ივანიშვილის ახალ ხელისუფლებას სურს და შეუძლია აღადგინოს საქართველოს დიდების დღენი. ამის რწმენას მაძლევს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახალი ინიციატივები და მორატორიუმი მიწების გაყიდვასთან დაკავშირებით.

მერაბ ჯიბლაძე

„ლიტერატურული საქართველოს“ მთავარ რედაქტორს ბ-ნ თამაზ წივწივაძეს

ბ-ნო თამაზ, ალბათ არ შევცდები, თუ საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილის სახელით მოგმართავთ და გამოვხატავ დიდ სიხარულს და თქვენდამი უღრმეს პატივისცემას ქვეყნის ამ უსაყვარლესი გაზეთის – „ლიტერატურული საქართველოს“ აღდგენის გამო, რასაც ქართველი მკითხველი 6 წლის მანძილზე მოუთმენლად ელოდა. ამით თქვენ კიდევ ერთხელ დაამტკიცეთ და შესაბამისი ქმედებით დაადასტურეთ თქვენი ვაჟკაცური შემართება და ძლიერი სული, რადგან მარტოდმარტომ, სხვების დახმარებისა და ხელშეწყობის გარეშე, ამხელა საქმე გააკეთეთ და ქართველ ხალხს ეს დიდებული გაზეთი დაუბრუნეთ.

მჯერა, რომ ახლა მაინც გამოჩნდებიან წესიერი და ქვეყნის პატრიოტი ბიზნესმენები, რომლებიც გვერდში დაგიდგებიან და ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ამ გაზეთს უსახსრობის გამო დახურვა აღარასოდეს დაემუქროს. როგორც არასდროს, ისე სჭირდება დღეს საქართველოს თქვენი ბასრი კალამი, პირუთვნელი კრიტიკა და მართალი სიტყვა, მათ შორის, ახალ ხელისუფლებასაც, რათა წარმატებით თავბრუდახვეულ „მეოცნებეებს“ არ ჩაეძინოთ და ქვეყანას ისევ „ჭილყვავები“ არ დაეპატრონონ.

ბ-ნო თამაზ, ყველას კარგად გვახსოვს თქვენი სამართლიანი კრიტიკით რეტდასხმული ოპონენტები, რომელთაგან ზოგი ამას მოულოდნელ თავდასხმად აღიქვამდა, ზოგი – სიკვდილის ტოლფასად, ზოგიერთი კი – უსამართლოდ. ვერ ვიხსენებ ვერც ერთ შემთხვევას, რომ თქვენი რომელიმე ოპონენტის კრიტიკის ინიციატორი თქვენ ყოფილიყავით, ისინი უბრალოდ პასუხს იღებდნენ, რომელიც შემდგომში მაინცდამაინც აღარ მოსწონდათ და თავიანთ აღშფოთებას სხვადასხვა უსუსური ფორმით გამოხატავდნენ. თქვენს შემოქმედებას ფონად გასდევს საქართველოსა და ქართველი ხალხის სიყვარული. მჯერა, რომ ეს მომავალშიც ასე გაგრძელდება და ბევრ გადაგვარების გზაზე დამდგარ ქართველს თვალს აუხელს.

ბ-ნო თამაზ, თქვენ არა მარტო ლეგენდარულ კრიტიკოსად, არამედ გაბედულ რედაქტორადაც გიცნობენ. იმას, რის გამოქვეყნებასაც ვერც ერთი გაზეთის რედაქტორი ვერ ბედავდა, თქვენ ბეჭდავდით. რა თქმა უნდა, მხედველობაში მაქვს კომუნისტების პერიოდი, როცა ეს გმირობის ტოლფასი იყო, თორემ დღეს ყველა ყველაფერს ბეჭდავს და ამისთვის პასუხს არავის სთხოვენ. ამ ბოლო დროს ჩემს ნაცოდვილარ პუბლიცისტურ წერილებს ვბეჭდავ ხოლმე პრესაში. ამჟამად წარმოგიდგენთ ერთ-ერთ მათგანს. გთხოვთ, გადახედოთ ამ წერილს და, თუ საჭიროდ მიიჩნევთ, დაბეჭდეთ, თუ არა და, თქვენ კარგად იყავით, ამით ქვეყანა ნამდვილად არ დაიქცევა.

დიდი პატივისცემით
ომარ გოცაძე

დაღმავალი ნაციონალების

ჩვენი პრეზიდენტის დამოკიდებულება ნაციონალების სიით არჩეული დეპუტატების მიმართ რომ განსაკუთრებულია და მათი კეთილდღეობისათვის ეს კაცი არაფერს იშურებს, საყოველთაოდ ცნობილია და ამის შესახებ ყველამ ყველაფერი იცის. აქამდე რატომღაც გულუბრყვილოდ მჯეროდა, რომ ბ-ნი პრეზიდენტი ყველაფერ ამას უანგაროდ, პირადი დანაზოგის ხარჯზე უშურველად აკეთებდა. მაგრამ შენც არ მომიკვდე, მისი ეს კეთილი ნება თურმე ჩვენი ჯიბეების ხარჯზე ყოფილა აწყობილი და დაფინანსებაც ქვეყნის ბიუჯეტიდან ხდებოდა. ეს ყველაფერი კი ახლახან გამჟღავნდა და სარწმუნო წყაროს უტყუარი დოკუმენტებით დაადასტურა. საქმე ეხება პრეზიდენტისა და მისი ამალის მიერ დუბაიში გამართულ გრიალს და საახალწლო ნადიმს. ქვეყნის პრეზიდენტს რომ ხალხის რჩეულები უყვარდეს და პატივს ცემდეს, ამაში გასაკვირი არაფერია და ეს ასეც უნდა იყოს, რომ არა მის მოქმედებაში აშკარად შესამჩნევი და თვალშისაცემი ტენდენციური მიდგომები. ამ ხალხის რჩეულთაგან პრეზიდენტმა რომელიმე რომ გამოარჩიოს და მეტი პატივისცემით მოეპყროს, ესეც ნორმალურია, თუ, რა თქმა უნდა, ეს გამორჩეული დეპუტატი სხვებისაგან განსაკუთრებული საქმიანი თვისებებითა და სიბეჯითით გამოირჩევა. ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ამ განსაკუთრებით გამორჩეულ დეპუტატ საჯაიაში განსაკუთრებულად გამორჩეული საქმიანი თვისებები და ქვეყნის კეთილდღეობისათვის მზრუნველი ადამიანის ბრძოლის ჟინი და შემართება ვერ აღმოვაჩინე. ჯერ იყო და, ბ-ნმა პრეზიდენტმა ამ ქალბატონის, უფრო სწორად, ნორჩი სტუდენტი გოგონას გამო კონსტიტუცია შეცვალა. შემდეგ, არიქა პარლამენტს გარეთ არ დამრჩესო, და პარტიულ სიაში გარანტირებულ მე-10 ნომრად ჩასვა. ეს ნორჩი პარლამენტარი, მაჟორიტარად რომ ვერ გაფონავდა, ჩანს, ბ-ნი პრეზიდენტი თავიდანვე მიხვდა, ამიტომ იყო, რომ ეს საკითხი ასე მარტივად და ხიფათის გარეშე, პარტიული სიით უმტკივნეულოდ მოაგვარა.

თავიდან ვიფიქრე, ბ-ნმა პრეზიდენტმა ალბათ პარლამენტის შემადგენლობის ასაკობრივი გაახალგაზრდავება გადაწყვიტა, და მის შემადგენლობაში ნორჩი სტუდენტი გოგონა ამისთვის შეიყვანა-მეთქი. ამიტომ იყო, რომ ბ-ნ პრეზიდენტს არც შევდავებივარ, და მის მიმართ არც პროტესტის გრძნობა გამჩენია. სინორჩის გარდა სხვა განსაკუთრებული თვისებები, მით უმეტეს, საქმიანი, ამ დეპუტატი გოგონასთვის, არც მაშინ და არც ახლა არ შემინიშნავს. ერთი ჩვეულებრივი სტუდენტი გოგონაა, რომლის გამოსვლებიც პარლამენტში ასევე მარტივი და პრიმიტიულია, რაც ძალიან ჰგავს სტუდენტის მიერ დაზეპირებული საკითხებით ლექტორისთვის გამოცდის ჩაბარებას. პრეზიდენტის ესოდენ გადამეტებული ყურადღება საჯაიას მიმართ, იმ ფონზე, როცა პარლამენტში გვყვავს ისეთი მამალი ნაციონალი დეპუტატი ქალბატონები და თავგადაკლული მიშისტები, როგორებიცაა ხათუნა გოგორიშვილი, ჩიორა თაქთაქიშვილი და ირმა ნადირაშვილი, ცოტა გაუგებარია. მე შენ გეტყვი, გამოცდილება აკლიათ თუ პრეზიდენტის დასაცავ სიტყვა-პასუხს დაუწუნებ. ქ-ნი გოგორიშვილი, თუ არ ვცდები, სამი მოწვევის დეპუტატია, ჩვენი ჩიორა კი, თავის გატეხილ ცხვირთან ერთად, – 8 თებერვლის გმირი. ზოგიერთები ირონიულად იხსენებენ მის ცხვირს და ამბობენ, დიდი ამბავი, ცხვირი ოდნავ გაეკაწრაო. არა, ბატონებო! ეს მთლად ასეც არ არის. დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ ჩიორას „საღ ტვინსა და გამჭრიახ გონებას“, მართალია, იმ მომენტში ვერაფერი დააკლო, მაგრამ მიზანს მაინც მიაღწია და ტვინის შერყევა ერთი კვირის შემდეგ გამოიწვია, რაც ჩვენივე თვალით ვნახეთ ტელევიზიით: როგორ შეხვდა ჭრელ ხალათში გამოწყობილი და დივანზე კეკლუცად წამოკოტრიალებული ქ-ნი ჩიორა მის სანახავად მისულ მამა-მარჩენალს, ევროკავშირის სახალხო პარტიის თავმჯდომარის მოადგილეს, ბ-ნ ჰოკმარკს. აბა, იმ დღეს რომ არაფერი დაშავებია და პრეზიდენტის სასახლეში, პირველ რიგში არხეინად მჯდარი, სიცილ-კისკისით ისმენდა ბ-ნი პრეზიდენტის გამოსვლას, ესეც ყველამ ვიხილეთ. ქ-ნი ჩიორა განსაკუთრებით გაამხიარულა პრეზიდენტის მიერ ორატორული ოსტატობით მქუხარედ ნათქვამმა ფრაზამ: „ყველა ადამიანის მუშტის მოქნევის თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება ჩიორა თაქთაქიშვილის ცხვირი“. სამწუხაროდ ჰოკმარკის ტენდენციური მსოფლმხედველობაც ჩიორას გატეხილი ცხვირიდან იწყება და მის გამთელებისთანავე მთავრდება.

საოცარია, ისეთი სიზუსტით როგორ უნდა გათვალოს კაცმა დარტყმის ძალა, რომ მაინცდამაინც ევროკავშირის სახალხო პარტიის წარმომადგენლების ჩამოსვლას დაელოდოს, და მათი ჩამოსვლისთანავე, ანუ დარტყმიდან ერთი კვირის შემდეგ, შევიდეს ძალაში. მოკლედ, ქ-ნ ჩიორას ოინები და ფოკუსები, ალბათ, დიდი გამოცდილების მქონე ცირკის მსახიობსაც კი შეშურდება.

რაც შეეხება ირმა ნადირაშვილს, ეს ქალბატონი ისეა გატაცებული ახალ ხელისუფლებაში ნეპოტიზმის საკითხების შესწავლით, რომ მისი შიშით კალაძესა და ხადურს თავიანთი ნაცნობები ლამის დამლაგებლადაც ვეღარ დაუნიშნავთ.

საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ქალბატონების დამსახურების მიუხედავად, პრეზიდენტი მაინც საჯაიას უფრო სწყალობს, ვიდრე მათ. ესენი აქ მუშაობით იკლავენ თავს, საჯაია კი – დუბაიში გრიალით. პრეზიდენტი ამ ნორჩ დეპუტატს გრიალსაც აღარ აჯერებს და ხალხის ხარჯზე საჩუქრად ძვირად ღირებულ მობილურ ტელეფონსა და 3500$-იან ოქროს სამაჯურს უძღვნის. მოკლედ, პრეზიდენტის მხრიდან ამ გამრჯე, ერთგულ და შრომისმოყვარე დეპუტატების მიმართ ტენდეციურ და უსამართლო დამოკიდებულებას საზღვარი არ აქვს. ხომ შეიძლებოდა, ესენიც წაეყვანა დუბაიში საგრიალოდ, ანდა გოგორიშვილისთვის ტელეფონი მაინც ეჩუქებინა. მაგრამ არა, საჯაიას – ყველაფერი, გოგორიშვილს – არაფერი.

როცა ამ ძვირფას საჩუქართან დაკავშირებით ქ-ნ საჯაიას კორესპონდენტმა კითხვა დაუსვა, დეპუტატმა ცოტა დაიმორცხვა, ვინც კარგად დააკვირდა, შეამჩნევდა, რომ სახეც აელეწა. მართალია, ნორჩ დეპუტატს სრული უმაღლესი განათლება ჯერჯერობით მიღებული არ აქვს, მაგრამ ოთხი კურსის ცოდნაც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ თვითონვე მიმხვდარიყო, მისი საქმიანი თვისებებიდან გამომდინარე, ამხელა საჩუქარს ნამდვილად არ იმსახურებდა, თანაც სახელმწიფოს ხარჯზე. დამსახურების მიხედვით ის გოგორიშვილს უფრო ეკუთვნოდა, მაგრამ რად გინდა, პრეზიდენტის ნება ურყევია: საჯაიას – ყველაფერი, გოგორიშვილს – არაფერი.

მართალია, ქ-ნმა საჯაიამ ეს ყველაფერი მაშინვე ცივად იუარა, და ზედ გაზეპირებული ფრაზაც დააყოლა: ქართულ ოცნებას 19 აპრილისა ეშინია და ყველაფერ ამას იმიტომ იგონებენ, რომ ჩვენზე მორალური ზემოქმედება მოახდინონო. ეს ყველაფერი კი თქვა, მაგრამ ისე რიხიანად ვეღარ გამოუვიდა, როგორც პარლამენტის სხდომაზე გამოსვლისას ახერხებდა ხოლმე. არ იმჩნევდა მაგრამ თვალებში ცოტა ნაღველიც ეტყობოდა. საღამოს ტელევიზიით გამოსვლისას ქ-ნმა იმერ-

ალავალი ნადიმი დუბაიში

ლიშვილმა კომენტარი გააკეთა, ქ-ნი საჯაია სიცრუეში ამხილა და დასძინა, რამდენიც არ უნდა უარყოს ქ-ნმა საჯაიამ ეს ყველაფერი, ამის დამადასტურებელი დოკუმენტები აი აქ, ამ დასტაში დევსო, – და უზარმაზარ ქაღალდის შეკვრაზე მიუთითა, რომელიც სტუდიაში თან წაეღო. ეჭვი არ მეპარება და დარწმუნებული ვარ, ქ-ნ იმერლიშვილის ამ განცხადების შემდეგ, ქ-ნ საჯაიას თვალებში ჩამდგარი ნაღველი ცოტა გულშიც გადაინაცვლებდა და კუჭსაც გვარიანად აუწვავდა.

ამ ნადიმის ერთ-ერთი ძირითადი მონაწილე და სულისჩამდგმელი, შეიძლება ითქვას, ქეიფის ეშხში შესულ თანამეინახეთა გასამხიარულებლად, ალბათ, ჯერ „მიშა მაგარიას", ხოლო შემდეგ „ძრავალჟამიერის" წამომწყები და მისი მამაპაპურად დამაგუგუნებელი ბ-ნი გოგა ხაჩიძე, ამ მოულოდნელმა ამბავმა, ანუ ხალხის ხარჯზე ქეიფისა და დროსტარების გამომზეურებამ და გახმაურებამ, ისე დააბნია, რომ დუბაიდან გამომგზავრების ზუსტი თარიღიც ვეღარ გაიხსენა და 3 იანვარი 1-ში აერია. რას იზამ, ასე იცის ჩემო გოგა ხალხის ხარჯზე დარდიმანდულად ცხოვრებამ და უდარდელმა დროსტარებამ. ისე კი, კაცი, რომელსაც თვითმფრინავის ბილეთში რა უწერია, ის არ ახსოვს, წულუკიანის დიპლომში რა წერია, ის როგორ უნდა გაარკვიოს, ვერაფრით გამიგია.

ჩვენი პრეზიდენტისაც გამკვირებია, შე კაი კაცო, ქრისტიანული წესის თანახმად, მიცვალებულს ჯერ ორმოცს გადაუხდიან და შემდეგ ერთი წელი გლოვობენ. თქვენ კი ასეთმა რა ბზიკმა გიკბინათ, რომ სამარცხვინო დამარცხებიდან ჯერ 3 თვეც არ იყო გასული, რომ ქართველმა ხალხმა ზურგი შეგაქციათ, როგორც უვარგის ხელისუფლებას, უარი გითხრათ და პოლიტიკურ სანაგვეზე მოგისროლათ, თქვენ კი ქეიფობთ. რა გექეიფებათ, თქვე მამაცხონებულებო, ჯერ ხეირიანად ორმოციც არ ჩაგიმთავრებიათ, მკვდარიც არ არის ბოლომდე გაციებული, თქვენ კი უკვე ტაშ-ფანდური გაგიმართავთ. იმის მაგიერ, რომ ხალხის აზრი გაიზიაროთ, ამ მწარე გაკვეთილიდან დასკვნები გააკეთოთ და თქვენი მიცვალებული დაიტიროთ, საქართველოში ქეიფს აღარ სჯერდებით და დუბაიში გარბიხართ საქეიფოდ და დროს სატარებლად. თანაც ამას აკეთებს იმ ქვეყნის პრეზიდენტი, იმ ხალხის ხარჯზე, რომელსაც ერთი წლის ბავშვი, პატარა გოგიტა აბაშიძე, ახლახან შიმშილით მოუკვდა. თუმცა, არცაა გასაკვირი, თქვენ ხალხზე ზრუნვის ნაცვლად საკუთარი დარდი გაწუხებთ, და, ალბათ, ამიტომ იყო, რომ დადარდიანებული გულის გასამხიარულებლად დუბაის მიაშურეთ. თანაც ხალხზე გაბრაზებულებმა მათზე შური იძიეთ, ჯავრიც იყარეთ და მათი ჯიბეებიდან ამოღებული ფული საჩუქრებში, ქეიფსა და დროსტარებაში უშურველად დახარჯეთ. აი ხალხი, ამათ ვენაცვალე, აი, როგორი ხალხზე მზრუნველი მთავრობა გვყვავდა მთელი 9 წელიწადი; ამათმა უნდა თქვან, ხალხისა და ქვეყნის ინტერესებს ყოველთვის წინ ვაყენებდით, მათი კეთილდღეობისათვის ზრუნვაში ვათენ-ვაღამებდით და მუშაობით გადაღლილებს ზოგჯერ ჭამის თავიც აღარ გვქონდა და მშიერი ვიძინებდითო.

ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ამ ნორჩი დეპუტატის განსაკუთრებული გამორჩეულობის მიზეზი მაინც ვერ დავადგინე და გამოცანა ვერ ამოვხსენი. მართალია, ხალხი მისა და პრეზიდენტის დამოკიდებულებაზე ათას ჭორ-მართალს ავრცელებს, მაგრამ ენას ძვალი არა აქვს, ჭორი კი მაინც ჭორია და ჭორებს ხომ არ ავყვები. არადა, ყველაფრით დასტურდება, რომ ქ-ნი გოგორიშვილი ნაცების წინაშე თავისი ღვაწლითა და დამსახურებით, ათი თავით მაღლა დგას საჯაიაზე. მაგრამ რად გინდა, პრეზიდენტის პრინციპი შეუვალია: საჯაიას – ყველაფერი, გოგორიშვილს – არაფერი.

მოკლედ, ამ ქალბატონი დეპუტატების საქმიანი თვისებების ანალიზმა ნათლად დამარწმუნა, რომ ამ ნიშნით ქ-ნი საჯაია დასაჩუქრებას ნამდვილად არ იმსახურებდა.

ბ-ნო პრეზიდენტო, რბილად რომ ვთქვათ, თქვენი მხრიდან ასეთი დამოკიდებულება ამ დეპუტატი ქალბატონების მიმართ ნამდვილად დიდი უსამართლობაა. თუმცა, ამაში გასაკვირიც არაფერია, ეს ხომ თქვენი მხრიდან უსამართლობის გამოვლინების პირველი შემთხვევა არ არის. თქვენ ხომ ქვეყანაში უსამართლობისა და შერჩევითი სამართლის დამფუძნებელი და პირველი დამკანონებელი ბრძანდებით. ამიტომ იყო, რომ ამ უსამართლობით გაბეზრებულმა ხალხმა თავისი არჩევანი გააკეთა, უარი თქვა თქვენი ხელისუფლების მიერ დაკანონებულ ძალადობასა და უსამართლობაზე, განაჩენი გამოგიტანათ და პოლიტიკურ მოუსავლეთში გაგისტუმრათ. მიუხედავად ამისა, თქვენ მაინც თქვენსას აგრძელებთ და იხტიბარს არ იტეხთ, საჯაიას – ყველაფერი, გოგორიშვილს – არაფერი. არ არის ეს მთლად სწორი და სამართლიანი, ბ-ნო პრეზიდენტო, რასაც ალბათ შემდგომში გაითვალისწინებთ და მცირე დოზით მაინც, ნაციონალების წლისთავამდე, ამ 6 თვის განმავლობაში, ცოტათი გამოასწორებთ.

ომარ გოცაძე

P.S. *წერილი დამთავრებული მქონდა, როცა ამჯერად უკვე თბილისში, ვაკეში მდებარე პრესტიჟულ კაფე-რესტორან „ლა ტრუფეში", აღმავალ ქეიფს მიჩვეულ ამ ჩვენს დაღმავალ ნაციონალებს, ქეიფიც დაღმავალი გამოუვიდათ. ესენი რომ ხალხის ხარჯზე კაი ცხოვრებას, ქეიფსა და დროსტარებას მიჩვეულები არიან, არახალია. ახალი მარტო ის არის, რომ თუ ადრე ამათ საზოგადოების რაღაც ნაწილი მაინც მოწიწებით ეპყრობოდა და ბატონობით მიმართავდა, ახლა სოფლის ორღობეში მორბენალი წუწკი ძაღლივით, სადაც კი დაინახავენ, ყველგან დასდევენ, ხან ლაყე კვერცხებს ესვრიან და ხან დამპალ პომიდვრებს, ხოლო თუ მომენტს იშოვიან, კარგადაც მიბეგვავენ ხოლმე. ამ რესტორანშიც ასე მოხდა. ერთმა ბაკურიამ ოცამდე ქეიფის ეშხში შესული ნაციონალი ისე მიბეგვა, რომ საყვარელიძეს თავის ტომოგრამა დასჭირდა, ვაშაძეს – ცხვირის, გოროზიას კი – მხრის. სამხილი რომ ნაღდია და მასში ეჭვის შეტანა შეუძლებელი, ვაშაძის გატეხილი ცხვირიდანაც კარგად ჩანს, რადგან ვაშაძეს ხელს თუ მოუქნევ, ძალიანაც რომ გინდოდეს, მის ცხვირს ვერაფრით ააცილებ. საინტერესოა, სააკაშვილს თავის მხლებელ ქერათმიან ქალბატონთან და მერაბიშვილს თავის მეუღლესთან ერთად, რესტორნის დარბაზიდან დროზე რომ არ გაესწროთ, რა კუთხით დასჭირდებოდათ ექიმის დახმარება. ისე, ყოჩაღ ნაციონალებო, დიდი ნიჭი და ძალისხმევაა საჭირო, რომ ამ მცირე ხნის მანძილზე ხალხს თავი ასე შეაჯავროთ. ბ-ნ ვანოს რომ ეგონა, იმ დღეს გადავრჩიო, ამ ამბიდან ზუსტად 10 დღეში, 21 მაისს, პროკურატურამ გასკვანჩა და სადაც ჯერ არის, იქ მიაბრძანეს. ახლა, ეტყობა, ბევრს დარდობს და ფიქრობს, ნეტავ იმ დღეს თავიც გაეტხათ, ცხვირიც და მხარიც ამოეგდოთ, ოღონდ ეს ამბავი არ დამმართნოდაო. მაგრამ რას იზამ, ასეთია ცხოვრება – ზოგი ადის, ზოგი ჩადის, აღმართს დაღმართი მოჰყვება, უსამართლობას – სამართლიანობა. უსამართლობა და უკანონო ქმედებები არავის შერჩენია და არც არავის შერჩება.*

ძვირფასო ნაციონალებო! კარგად დაიმახსოვრეთ: ქართველი კაცი იტანს და ეგუება გაჭირვებას, შიმშილს, უწამლობას, მაგრამ არავის აპატიებს უსამართლობას, ქვეყნის წახდენას, ღირსების აყრასა და დამცირებას. ასე ჰგონიათ უგულავასა და ალავიძესაც, მაგრამ არც მათ შერჩებათ ამდენი უსამართლობა და ალბათ მალე მოგისვამენ გვერდით. ბ-ნო ვანო, არ იფიქროთ, რომ ნიშნისმოგებით ვწერ, ან მიხარია ვინმეს დაჭერა, თვით მოსისხლე მტერსაც კი არ ვუსურვებ თქვენს დღეში ყოფნას. მაგრამ რაც ტელევიზიით სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადებისას ვნახე, მსგავსი არც არასოდეს მინახავს და არც გამიგონია. ვფიქრობ, ეს უნიკალური შემთხვევაა ქვეყნის ისტორიაში. ქუჩაში მდგარი ასეულობით ადამიანი მქუხარე ტაშითა და ოვაციებით შეხვდა თქვენს დაპატიმრებას. საკვირველია, კაცმა ისე როგორ უნდა იცხოვრო, რომ ხალხს შენი დაჭერა გაუხარდეს და ამ მოვლენას აპლოდისმენტებით შეხვდეს.ეს ძალზე ცუდია და ბევრ რაღაცაზე მიგვანიშნებს. ჩვენი ნაციონალები კი, იმის მაგიერ, რომ ეს შემთხვევა გაითვალისწინონ, აქედან დასკვნები გააკეთონ და სინდისის ქენჯნა იგრძნონ, პირიქით, რიტორიკას ამძაფრებენ და უტიფრად ერთი და იმავეს გაიძახიან, რომ ბიძინა ივანიშვილი თურმე ყველას პოლიტიკური ნიშნით აპატიმრებს და ყველა მათგანი მისი პირადი პატიმრები ყოფილან. ამასაც აღარ სჯერდებიან და ხმამაღლა გაჰყვირიან, რომ ყოფილი პრემიერის დაკავება თურმე ქვეყნის იმიჯის შელახვა ყოფილა. ძვირფასო ნაციონალებო! მინდა დავამშვიდოთ და განვინმარტოთ, რომ ქვეყნის იმიჯის შელახვა პრემიერის დაკავება კი არა, მისი პრემიერობისა და შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები იყო, რასაც ივი ამ თანამდებობებზე მუშაობისას თითქმის მთელი 9 წლის მანძილზე სჩადიოდა. ამიტომ სამარცხვინოა თქვენი მხრიდან ამ ფორმით მერაბიშვილისა და ახალაიას დაცვა, ბოლოს და ბოლოს, უნამუსობასაც ხომ უნდა ჰქონდეს საზღვარი. თქვე კაი ხალხო, დაცვის გარეშე ქუჩაში ვერ გაგივლიათ, რესტორანში ვერ შესულხართ, სასამართლოს დარბაზში შესვლისას როგორ იხვეწებოდით, პოლიციამ კორდონი გაგვიკეთოს, თორემ ხალხი ანგარიშს გაგვისწორებსო. ორმოცდაათამდე დეპუტატი დარბაზში იყავით და ამის შემდეგ ურცხვად აცხადებთ, სასამართლოს ეზოში მდგარმა ასმა თუ ორასმა რიგითმა მოქალაქემ, რომელთაგან უმეტესობა უმუშევარია, თურმე გავლენა მოახდინა მოსამართლეზე და სასამართლომ ამიტომ მიიღო ეს „უკანონო" გადაწყვეტილებაო. კარგით რა, ეს უკვე ცინიზმიც აღარ არის. თქვენი ჭკუით, ქუჩაში მდგარ 100 თუ 200 უმუშევარ რიგით მოქალაქეს თურმე უფრო მეტი გავლენა ჰქონია სასამართლოზე, ვიდრე 50 მოქმედ პარლამენტის წევრს. მოკლედ, როგორც გჭირდებათ, ისე ჭრით და ისე კერავთ. ქოთანს საიდანაც გინდათ, ყურს იქედან აბამთ. მაგრამ ადრე ეს გამოგდიოდათ, ვინაიდან თიხაც თქვენს ხელში იყო და დაზვაც. ახლა კი დაზვა წაგართვეს და მარტო თიხით ქოთანს ყურს უკვე ვეღარ აბამთ. ამასთან, ხალხის მოტყუების მეთოდებიც დაგიძველდათ, ძვირფასო ნაციონალებო; ხალხი უკვე ყველაფერს ხვდება. ამიტომ იყო, რომ 1 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა ნაციონალებს ზურგი შეგაქციათ, უარი გითხრათ და პოლიტიკურ მოუსავლეთში გაგისტუმრათ. მაგრამ თქვენ ამას ვერ აცნობიერებთ და ისევ ძველებურად მიერეკებით, რევანშისათვის ემზადებით და ხელისუფლებაში მობრუნებას აპირებთ. მეტი არ არის ჩემი მტერი, ქართველმა ხალხმა ეს აღარ დაუშვას და თქვენ მხარი აღარ დაგიჭიროთ.

ომარ გოცაძე

ღვაწლმოსილი

დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა მხცოვან, ამაგდარ მწერალსა და ჟურნალისტს ნანა ღვინეფაძეს.

თავის საიუბილეო თარიღს ქალბატონი ნანა ვალმოხდილი ხვდება და თამამად შეუძლია განაცხადოს, რომ მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე მშობელი ქვეყნისა და ხალხის, ქართული ხელოვნებისა და კულტურის უანგარო სამსახურს შეალია.

ნიშანდობლივია, რომ ნანა ღვინეფაძის ლიტერატურული დებიუტი 1968 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" შედგა, როდესაც პირველი ლექსები გამოაქვეყნა.

ქართველი მკითხველი მუდამ ცხოველი ინტერესით ხვდებოდა პოეტი ქალბატონის ისეთ კრებულებს, როგორიცაა „მთაო", „ტირიფი", „ერგასი", „ამეთვისტო"...

ნანა ღვინეფაძემ ჩინებულად თარგმნა ანა ახმეტოვასა და კორნელი ჩუკოვსკის ლექსები. მისი თარგმანები დახვეწილი კულტურით გამოირჩევა და მკითხველს რუსული პოეზიის ამ კორიფეთა სამყაროს წვდომის საშუალებას აძლევს.

ქართული თეატრი ღვაწლმოსილი ქალბატონის გატაცებას წარმოადგენს და, რა გასაკვირია, თუ არაერთი რეცენზია და სტატია უძღვნა მას. მათგან აღსანიშნავია მონოგრაფიული გამოკვლევები „ეფრო კლდიაშვილი – პირველი ქართველი მსახიობი ქალი" და „აკაკი წერეთელი – თეატრალური კრიტიკოსი".

ქალბატონმა ნანამ დიდი ამაგი დასდო საქართველოს თავისუფლებისათვის შეწირული მარო მაყაშვილის ხსოვნას. მისი კრებული „შარავანდედი" მარო მაყაშვილის ხსოვნის ჭეშმარიტ ძეგლს წარმოადგენს.

ქალბატონი ნანა ღვინეფაძე ძალიან დიდხანს მუშაობდა ქართული პრესის სხვადასხვა ორგანოში და სრულიად სამართლიანად აქვს მინიჭებული საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდება.

გამომცემლობა „დილის" შემოქმედებითი კოლექტივი დიდი სიყვარულით ულოცავს ღვაწლმოსილ ქალბატონს საიუბილეო თარიღს და გამოთქვამს ღრმა რწმენას, რომ ნანა ღვინეფაძე კიდევ დიდხანს გაგვახარებს თავის ნიჭიერებით.

ჟურნალ „დილის"
შემოქმედებითი კოლექტივი

ჩემო თამაზ!

ქართული ანდაზისა არ იყოს, „მადლი ჰქენი, ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდებაო“.

მთელი შენი შინაარსიანი სიცოცხლით ქვეყნისა და ქართველი ხალხის სიყვარულით ცხოვრობდი და ცხოვრობ.

იმ ძნელბედობის ჟამს არ შემდრკალხარ. ყოველთვის იჩენდი შენეულ სიმამაცეს და სიმართლისმოყვარეობას.

გაუძელი ყველაფერს და უამრავი წინააღმდეგობები გადალახე. აფერუმ შენს ვაჟკაცობას! კიდევ ერთხელ ვრწმუნდები სამშობლოს მიმართ შენს სიყვარულში.

გულითა და სულით გილოცავ „ლიტერატურული საქართველოს“ ხელმეორედ დაბადებას. ბედნიერებაა, როცა ახალ საქართველოსთან ერთად შენი პირმშო აღდგა.

ღრმად ვარ დარწმუნებული, ახლიდან გალესავ შენს საყვარელ „იარაღს“ – საწერკალამს – და ახლებურად შეუტევ ქვეყნის ფარისეველ და ბოროტ მტრებს.

ყველა ერთად მოვესწრებით ქვეყნის ბედნიერებას და სიხარულს.

მსოფლიო ორგზის ჩემპიონი,

ვეტერან მოჭიდავეთა კავშირის თავმჯდომარე

გურამ სალარაძე

მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთის გამოწერა უკვე შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა დარეკოთ ან მიაკითხოთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: საქპრესა (გურამიშვილის გამზ. №64, ტელ: 2 51 85 18), მაცნე (საირმის ქ. კორპ. №4, ტელ: 2 14 74 22), პრესექსპრესი (ი. ჯავახიშვილის ქ. №86, ტელ: 2 96 23 11), ჯეომედია (გ. ჩუბინაშვილის №50, ტელ: 2 95 51 70), პილონი (წერეთლის გამზ. №113, ტელ: 2 34 77 43), პრესა 2012 (წერეთლის გამზ. №142, ტელ: 2 34 09 35).

საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას!

ვეხმაურები საქართველოს მწერალთა კავშირის გაზეთ „მწერლის გაზეთში“ (№ 4 (221) – 30 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ წერილს. სიაში მოხსენიებულია ჩემი გვარი. უპირველესად უნდა გითხრათ, რომ როცა ასეთ სიებს ადგენთ, ადამიანები ამ სიაში შეგყავთ, ელემენტარული ზრდილობა მოითხოვს, ჰკითხოთ მათ – სურს თუ არა ამ სიაში მოხვედრა. ეს არის არა მარტო პიროვნების გაუფასურება, არამედ ღირსების შელახვაც.

იანვარში 75 წელი შემისრულდა. მწერალთა კავშირმა მომილოცა თარიღი. მოლოცვის ტექსტში წავიკითხე, რომ დამაჯილდოვეს მარიკა ბარათაშვილის სახელობის პრემიით. ნიკო ლორთქიფანიძის სახ. პრემია, რომელიც 2008 წელს მივიღე, მეამაყება, მაგრამ მარიკა ბარათაშვილის (ღმერთმა ნათელში ამყოფოს ამ ღირსეული ქალბატონის სული) უხერხულობას მიქმნის, რადგან მე პროზაიკოსი ვარ და არა პოეტი.

დამირეკა ბუღალტერმა და მაცნობა, რომ გადმომირიცხეს ორასი ლარი, ალბათ სანაცვლოდ შემიყვანეს იმ სიაში. როგორც ჩანს, მორჩათ პრემია და მიწილადეს...

ლეილა მესხი

P.S.

ასევე შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს **გულო კობიაშვილი, ზურაბ თორია და ნოდარ ტაბიძე**, რომლებიც, მათივე განცხადებებით, უკითხავად შეიყვანეს ზემოხსენებულ სიაში.

ვინ არიან და საიდან მოვიდნენ?..

ჩვენ რომ გვგონია, ჩვენი არჩეულია პარლამენტი და პრეზიდენტი მართავს ქვეყანას, „ნურას უკაცრავად!..“ ვერ გამოიღვიძა „გრიშა ბიძიამ“ და ჩათვლემა ლეთარგიაში გადაგვივიდა. „თავისუფლების ინსტიტუტმა“ შვა „კმარა“, კმარამ რამიშვილი, უგულავა, თუთბერიძე, ბოკერია და და-ძმანი მისნი – ასობით არასამთავრობო...

მოკლედ, „თავისუფლების ინსტიტუტი“ „კარგად“ მუშაობს. ჩვენ – სიბნელეში ჩარჩენილებს, ევროპისკენ გვიჭრიან გზას თავიანთი ჭკუით... უკვე იქამდე მივიდა საქმე, ევროპული ღირებულებები ლამის ჰომოსექსუალიზმის დაცვა და, თუ ხელშეწყობა არა, მათი თანადგომაა!

17 მაისის დღეს შერცხვა ქართველობაო, დღესაც გაიგონებ ნეოლიბერალებისგან. ის ორმოცდაათიათასი კაცი, ბრბო და ქსენოფობი ყოფილა, ვერ ჩავწვდენივართ ევროპას და ე. წ. ამერიკულ სულს... თუმცა, ეს ერთიც უნდა ვთქვა, ჩვენი ასაკის ადამიანები დიდად არ აინტერესებს, ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებზე აქვთ ორიენტირი.

ვინმე პუბლიცისტი ქალბატონი – ნათია მეგრელიშვილი წუხს: „მირჩევნია ვიყო მიშისტი და ჰომოსექსუალისტი და არ დაუჭირო მხარი არანაირ აგრესიულობასო“. „მიშისტობა“, ეტყობა, თქვენი არჩევანია, ქალბატონო, და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ, არ მაინტერესებს და არც არასოდეს დავინტერესდები, ვერც იმაში შეგედავები, შინ, საძინებელში, საბანშემოკეცილი იქნები თუ ჰაერში ფაკირივით სამტკაველნახევარზე ჰორიზონტალურად გაწოლილი, თუმცა ქაშუეთის ეკლესიის წინ თუ გაჩახჩახებულ სადარბაზოში შეეცდები ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას თუ რეალიზაციას, ავადმყოფია და მკურნალობა სჭირდება-მეთქი, რომ გავიფიქრო, ამის უფლება მაინც მომეცით.

ალბათ, ლაშა ბაქრაძისგანაც დავიმსახურებ ანათემას, მაგრამ მაინც ვიტყვი. კი, ბატონო, დაიცავი, გადაეფარე, უკაცრაული პასუხია და, ორივე ხელი აააფარე გეებს უკანალზე, ოღონდ ამას ჩვენც ნუ გვთხოვ. მე ლაშას მამას, ბატონ აკაკი ბაქრაძეს 30 წელი ვიცნობდი, ვახლობლობდი, თავად უმცროს მეგობრად მთვლიდა და ამის გამო უფრო შემტკივა გული.

საერთოდ, ევროპული ღირებულებები ქრისტიანულ მორალზეა დაფუძნებული. ქრისტიანობა კი სხვას მეუბნება და სხვას მასწავლის... ყველამ კარგად ვიცით, ნებისმიერი ტრადიციული რელიგია ცოდვად აღიარებს სოდომსა და გომორს. რატომ უნდა გაგიკვირდეს, რომელიღაც არასამთავრობო „იდენტობაზე“ მეტად მართლმადიდებლობის მჯეროდეს. იმის უფლება მაინც დამიტოვეთ, ქალი ქალობისათვის მომწონდეს, კაცი – კაცობისათვის!

ქალბატონი ჩორგოლეიშვილი ამბობს:„სომეხი ჰომოსექსუალისტი მოვდივარო... არ ვიცი, ჰომოსექსუალიზმისთვის დაუფინო ყვავილები თუ სომხობისთვის. არადა, ვფიქრობ, ჩორგოლოეიშვილია და, ქართველია, ამდენს არ ფიქრობს, თავის იდიოტური განცხადებით სომხობას რომ შეურაცხყოფს. ამასთან დაკავშირებით, ერთი ამბავი მახსენდება. ჩემს ყმაწვილკაცობაში ერთი უკრაინელი კინორეჟისორი მეწვია. მეორე-მესამე დღეს მეუბნება – ფარაჯანოვი უნდა მომაძებნინოო. გაგონილი მქონდა, მოვძებნეთ თუ კარგად მახსოვს, მთაქმინდაზე, კ. მესხის ქუჩაზე ცხოვრობდა. სტუმარმა გააცნო ბატონ სერგოს ჩემი თავი, ახალგაზრდა ქართველი მწერალიაო. მასპინძელმა ამომხედა (ღრმა სავარძელში იჯდა), შენ რატომ არ მოდიხარ ჩემთან – სომეხი რომ ვარ თუ პედარასტიო? დავიბენი და – ორივე ერთად-მეთქი. წავკამათდით. მე გენიოსი ვარო, გამომიცხადა. არ დავიჯერე. დაფაცურდა, იქვე ათიოდე წუთში ჩემი ჩანახატი გააკეთა ფანქრით, მაჩუქა...

წამოვედი. ახლაც არ მჯერა, რომ გენიოსი იყო.

ვისაც სჯეროდა და სჯერა, ღმერთმა ხელი მოუმართოს.

ეს თ საზოგადოება თუ „იდენტობა“ ახალი შვილობილია „თავისუფლების ინსტიტუტეს“... მოკლედ, საიდან მოვიდნენ, რას გვერჩიან... რატომ არ ინტერესდება ვინმე, რა უნდათ, ვისგან ფინანსდებიან.

ომბუდსმენი უცხო სიტყვაა და რამდენადაც ვიცი, სახალხო დამცველს ნიშნავს. ჩემთვის დიდი სახალხო დამცველები იყვნენ: ილია, აკაკი, ვაჟა, დიმიტრი ყიფიანი...

მეც მოვსწრებივარ და კარგად ვიცნობდი მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების ნებისმიერ ჩაგრულთა ბრწყინვალე დამცველებს: იოსებ ნონეშვილს, ნოდარ დუმბაძეს, გურამ ფანჯიკიძეს... ახლაც კარგად არიან და ღმერთმა დიდხანს მიმყოფოს ჯანსუღ ჩარკვიანი და თამაზ წივწივაძე...

დამცველ ნანუაშვილზე რა გითხრათ... საიდან მეცნობა ეს კაცი-მეთქი, ჩემთვის ვფიქრობდი. ბატონმა რეზო ამაშუკელმა გამომაფხიზლა, ის ხომ მეტაფორების დიდოსტატია: კაბუკის თეატრალურ ნიღაბს ჰგავსო...

ამ ოცდაათიოდე წლის წინად თბილისს სტუმრობდა კაბუკის თეატრი...

გამახსენდა და ხარხარი ამიტყდა...

...საით მივდივართ?!

სადმე მივდივართ კი?!

ზაურ კალანდია



მთავარი რედაქტორი და გამომცემელი
თამაზ წივწივაძე

E-mail: litsaqartvelo@yahoo.com

გამოდის პარასკევობით